საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№33 (315)
16 – 22 სექტემბერი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

3 საუდის არაბეთი გერმანიას 200 მეჩეთის აშენებას სთავაზობს

# ოდესღაც ქრისტიანული ევროპა, ანუ ვინ მოკლა აილანი, ჰალიპი და რახანი? 4



9 მიხეილ ბაბუნაშვილი:

# «მე დებილი პრეზიდენტი მყავს»



„ჩვენი ცხოვრება ისე წავიდა, სულ გავიძახით — ოღონდ ეს არ იყოს და, ვინც გინდა, ის მოვიდესო. ჰოდა, ეს „ვინც გინდა“ მარგველაშვილი აღმოჩნდა ივანიშვილის მითითებით“

# ლოკომოტივი ჩაიხსნა და შემადგენლობა უკან დაგორდა 6

მიუახლოვდა თუ არა საქართველო დუბაის, სინგაპურს ან შვეიცარიას და რატომ აღმოვჩნდით უფრო მძიმე სოციალურ პირობებში, ვიდრე ვიყავით?

**ივანიშვილმა ყურძნის ჩაბარების ფასზე კომენტარი არ გააკეთა**

ბიძინა ივანიშვილი ქუთაისში მწერალ რეზო ჭეიშვილის დაკრძალვას დაესწრო. ჟურნალისტებმა საქართველოს ყოფილ პრემიერმინისტრს იმ დანაპირების შესახებაც ჰკითხეს, რომელიც მან 2012 წელს ყურძნის ჩაბარების მაღალი ფასის შესახებ კახელ გლეხებს მისცა, მაგრამ ივანიშვილმა კომენტარი არ გააკეთა.

15

# ვაზ-ელინობა, ტარიფები და არიფები...



«Ты его не сажал, ты его не пахал, ты только виноград кушать любишь!»



ამბები

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## აზერბაიჯანი ევროკავშირთან თანამშრომლობის შეჩერების პროცედურას იწყებს



**აზერბაიჯანის პარლამენტმა — მილი მეჯლისმა — მხარი დაუჭირა დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეაში აზერბაიჯანის წევრობის შეჩერების პროცედურა დაიწყება.** აზერბაიჯანის პარლამენტის გადაწყვეტილებით, აზერბაიჯანი ევროკავშირთან თანამშრომლობის საპარლამენტო კომიტეტში მონაწილეობასაც შეაჩერებს, დეპუტატები კი „ევრონესტ“-ის ღონისძიებებს აღარ დაესწრებიან. მილი მეჯლისი, ასევე, ურჩევს მთავრობას, გადახედოს ქვეყნის მონაწილეობის საკითხს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში. აზერბაიჯანმა ევროკავშირთან თანამშრომლობის შეჩერება 10 სექტემბერს ევროპარლამენტის მიერ რეზოლუციის მიღების შემდეგ გადაწყვიტა. ამ რეზოლუციით ევროპარლამენტმა აზერბაიჯანში სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიები დაგმო და დაპატიმრებულ უფლებადამცველთა და ჟურნალისტთა გათავისუფლება მოითხოვა.



## საქართველოს პატრიარქი: წიგნი გაგიკვალავთ გზას ჭეშმარიტებისკენ!

**წიგნს უნდა კითხულობდეთ და ის გაგიკვალავთ გზას ჭეშმარიტებისკენ, — განაცხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სიონის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას.**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ახალი სასწავლო წლის დადგომის გამო პარაკლისი გადაიხადა და ტაძარში შეკრებილ ახალგაზრდებს, სასულიერო სემინარიისა და აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა. პარაკლისის დროს სასულიერო პირებმა შესთხოვეს უფალს, რომ ახალგაზრდებს ღმერთმა გაუხსნას გონება და გული განათლებისა და ყოველივე კეთილის შესამეცნებლად. პარაკლისის დაწყებამდე კი უწმინდესმა ახალგაზრდებს ქადაგებით მიმართა და აღნიშნა, რომ უნდა იკითხონ წიგნები, რომლებიც მათ ჭეშმარიტებისაკენ გზას გაუკვალავს.

„სასწავლებელი ის დაწესებულება, სადაც ადამიანმა შეიძლება ბევრი რამ ისწავლოს და შეიძლება არაფერი არ გამოიტანოს სასწავლებლიდან. ბევრი რამ დამოკიდებულია თქვენზე. პირველი თქვენი თანამგზავრი უნდა იყოს წიგნი, წიგნს უნდა კითხულობდეთ და ის გაგიკვალავთ გზას ჭეშმარიტებისაკენ“, — აღნიშნა პატრიარქმა.

უწმინდესმა შესთხოვა უფალს, რომ ახალგაზრდების მიერ მიღებული განათლება სასარგებლო იყოს მათთვის და ქვეყნისთვის.

## პატრიარქის მიმართვა მრევლს

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია მეორე მრევლს მიმართავს, რომ 21 სექტემბერს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის დღეს, 12:00 საათზე, წარმოთქვას ლოცვა ,,მოწყალებისა კარი განგვიღე, კურთხეულო ღვთისმშობელო“.**

„ა.წ. 21 სექტემბერს მართლმადიდებელი სამყარო აღნიშნავს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის დღეს. ჩვენ, როგორც ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილებს, გვმართებს მისდამი განსაკუთრებული პატივისცემის გამოჩენა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ამ დღეს, 12 საათზე, საქართველოს ყველა ტაძარში დაირეკება ზარი 12-ჯერ და ყველამ, სადაც უნდა იყოს იგი, უნდა თქვას დედაღვთისადმი სავედრებელი პატარა, მაგრამ ძლიერი ლოცვა: ,,მოწყალებისა კარი განგვიღე, კურთხეულო ღვთისმშობელო“, — ნათქვამია საქართველოს საპატრიარქოს განცხადებაში.

ამავე დღეს, 12:00 საათზე, მახათას მთაზე მშენებარე ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძარზე ჯვარს აღმართავენ.

ეს ჯვარი 20 სექტემბერს დასვენდება მახათაზე მშენებარე ტაძრის ეზოში, სადაც 19:00 საათზე მოხდება მისი კურთხევა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია II მიერ. ნაკურთხ ჯვართან მისვლისა და მთხვევის შესაძლებლობა მრევლს ექნება მის აღმართვამდე.

## ირაკლი ღარიბაშვილი: «ნაციონალური მოძრაობა» კახელ გლეხს დანარჩენი რეგიონების მცხოვრებლებთან აპირისპირებს

## სახელმწიფო ჭარბ ყურძენს 60 თეთრად ჩაიბარებს

**პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, პროვოკაციული ქმედებებითა და უსარგებლო ხმაურით ე.წ.ოპოზიცია კახეთს დანარჩენ რეგიონებთან აპირისპირებს.**



„ასეთი პროვოკაციული ქმედებებით, ასეთი უსარგებლო ხმაურითა და აჟიოტაჟით ეს ადამიანები, ვგულისხმობ, ე.წ. ოპოზიციას, „ნაციონალურ მოძრაობას“, აპირისპირებენ კახელ გლეხს დანარჩენ რეგიონებთან. შეგახსენებთ, რომ ვაშლი განადგურდა გასულ წელს, უფრო ადრე ციტრუსების მოსავალი გაუფუჭდათ. ხალხმა ვერ დაკრიფა თხილი სამეგრელოში. ეს, რა ხდება, რა აჟიოტაჟია? ჩვენ ვთქვით, რომ მევენახეობა არის სტრატეგიული მიმართულება და ამდენი ხელშეწყობის შედეგად 4 000 ჰექტარზე მეტია გაშენებული ახალი ვაზი, ნუთუ ეს საქმე არ არის?“ — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე რთველის საკითხის განხილვისას. მისივე თქმით, წელს, ყურძნის მოსავალი, დაახლოებით, 30%-ით გაიზარდა. პრემიერმა გლეხებსა და ფერმერებს მიმართა, არ მისცენ საშუალება ვინმეს, პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენონ.

მისივე თქმით, აჟიოტაჟს „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები ქმნიან.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ კი განაცხადა, რომ „კერძო ქარხნებში თეთრი ყურძნის ჩაბარების ფასი 70 თეთრია. წითელი ყურძენი ღირს 80 თეთრიდან ზევით. ჩვენ გარანტირებულად, იმიტომ რომ შეიძლება ყურძენი იყოს ჭარბი, მზად ვართ, 60 თეთრად მივიღოთ“.

თავის მხრივ, პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ მევენახეობის სუბსიდირება და ყურძნის ჭარბი რაოდენობის ჩაბარება სახელმწიფოს 60 მილიონი უჯდება, კომპანიებში თეთრი ყურძნის ფასი 70 თეთრია. მისი თვითღირებულება 30-35 თეთრს შეადგენს, ანუ გლეხები 100 %-იანი მოგებით აბარებენ ყურძენს.

მთავრობის მეთაურმა ღვინის მწარმოებელ კომპანიებზეც ისაუბრა და განმარტა, რომ მათ რთული ვითარება აქვთ.

„მოსახლეობას უნდა ავუხსნათ, რომ წელს კომპანიებს აქვთ რთული ვითარება. რომ არ გაეთვალისწინებინათ პოლიტიკური სიტუაცია, მოსახლეობის მძიმე მდგომარეობა და მთელი ფაქტორები, არ გამოვრიცხავ, რომ კომპანიების უმეტესობას საერთოდ უარი ეთქვა ყურძნის ჩაბარებაზე. მე მათიც მესმის, რადგან შეუმცირდათ გაყიდვა, რუსეთში ველარ გააქვთ იმდენი პროდუქცია, ევროპაშიც მძიმედ გადის — ექსპორტი შემცირდა. ასე რომ, კომპანიებს აქვთ მძიმე ვითარება. სახელმწიფოს კი რაც შეუძლია, 60 მილიონ ლარამდე, რაც შარშან დახარჯა, წელსაც ხარჯავს. თანაც უნდა აღვნიშნოთ, რომ, კახეთის გარდა, ჩვენ გვაქვს სხვა რეგიონებიც. ყველგან პრობლემებია, რადგან სხვაგანაც იყო სტიქია. ყველა ადამიანს თანაბრად უნდა დავეხმაროთ“, — განაცხადა მთავრობის მეთაურმა.



## მგზავრთა ნაკადმა რუსეთის მიმართულებით მნიშვნელოვნად მოიმატა

**მიმდინარე წელს საქართველოში ტურისტული ნაკადისა და საქართველოს საერთაშორისო აეროპორტებში მგზავრთა ნაკადის მატება აღინიშნა. როგორც ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხადა, 2015 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოს საერთაშორისო აეროპორტების მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობამ 1 501 748 შეადგინა, რაც 2014 წლის ანალოგიურ პერიოდში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობას (1.365.213 მგზავრი) 10%-ით აღემატება.**

„მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში ორი ქვეყნის ავიაკომპანიების მიერ ჯამში 179.602 მგზავრია გადაყვანილი, რაც 81 776 მგზავრით მეტია 2014 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებთან შედარებით. თბილისი-მოსკოვის მიმართულებით რეისებს ოთხი კომპანია ახორციელებს. ყველაზე მეტი მგზავრი – 52 436 გადაყვანილი ჰყავს ქართულ „ჯორჯიან ეარვეიზს“, მეორე ადგილზეა „სიბირის“ ავიახაზები“ 50 516 მგზავრით, მესამეზე კი – „აეროფლოტი“ 47 899 მგზავრით, ყველაზე ნაკლები — 28 751 მგზავრი — გადაყვანილი ჰყავს „ტრანსაეროს“, — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრის შეფასებით, ეს არის შედეგი სწორი პოლიტიკისა, რომელსაც საქართველოს მთავრობა წლის დასაწყისში აქტიურად უწევდა პროპაგანდას და რომლის გათვალისწინებითაც გარკვეული გადაწყვეტილებები მიიღო.

„ჩვენი გადაწყვეტილებების შედეგად, 15 პროცენტით გაიზარდა რუსეთიდან ვიზიტორების რაოდენობა და 2015 წლის იანვარ-აგვისტოს პერიოდში შეადგინა 642 934 ვიზიტორი. ამავე პერიოდში მათმა მთლიანმა დანახარჯმა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში შეადგინა 756 733 318 ლარი“, — განმარტა ეკონომიკის მინისტრმა.

რუსეთის გარდა, მგზავრთა ნაკადმა მნიშვნელოვნად (64%-ით) მოიმატა (54 559 მგზავრი) არაბთა გაერთიანებული საამიროების მიმართულებით, 32-პროცენტიანი მატებაა (67 474 მგზავრი) ისრაელის მიმართულებით და 21-პროცენტიანი (33 649 მგზავრი) — ყაზახეთის მიმართულებით.





## იგორ პალიცა სააკაშვილს: საქართველოს მოქალაქეები მოატყუეთ და გამოიქეცით, ზუსტად ასე დაამთავრებთ უკრაინაშიც!

**ოდესის ოლქის ყოფილმა გუბერნატორმა იგორ პალიცამ პირდაპირ ეთერში დებატისას მიხეილ სააკაშვილი მკაცრად გააკრიტიკა:**

სააკაშვილს კითხვაზე — რისთვის გჭირდებათ ჩაფხუტები და დაჯავშნილი მანქანები, რომლებიც ახლა ლუცკსა და კიევში დგას, იგორ პალიცამ უპასუხა:

— როდესაც ისე ჩააფლავებთ საქმეებს, როგორც საქართველოში, კიდევ ერთხელ უნდა დავიცვათ ქვეყანა. ღმერთი ყველაფერს ხედავს, თუ სიმართლის თქმა არ შემიძლია, ჩუმად ვარ, მაგრამ არასდროს ვიტყუები. ღმერთი გვიჩვენებს, ჩვენს შორის ვინ არის მართალი. საქართველოს მოქალაქეები მოატყუეთ და გამოიქეცით, ზუსტად ასე დაამთავრებთ უკრაინაშიც!



## აშშ-ის სახელმწიფო ვალი 13,91 ტრილიონ დოლარს შეადგენს

**მსოფლიოს ქვეყნების საერთო სახელმწიფო ვალის 29,05%, ანუ 13,91 ტრილიონი დოლარი აშშ-ის წილად მოდის. ეს ინფორმაცია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებზე დაყრდნობით გაავრცელა პორტალმა Visual Capitalist-მა.** საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, მსოფლიოს ყველა ქვეყნის საერთო ვალი 59,7 ტრილიონი დოლარია. ამ ვალის 29% აშშ-ზე მოდის. მეორე ადგილზეა იაპონია — 19,99%, ანუ 11,93 ტრილიონი დოლარი; ჩინეთის სახელმწიფო ვალი კი 3,73 ტრილიონი დოლარია (6,25%).

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «შარლი ებდოს» მორიგი უზნეობა

## სად ხართ, ებდოებო?




**ბრიტანული მედიის მიერ გავრცელებული ცნობით, ფრანგულ სატირულ ჟურნალ Charlie Hebdo-ს სასამართლოს წინაშე მოუწევს წარდგომა. ამის მიზეზი ამ გამოცემაში თურქეთის სანაპიროსთან გამორიყული სამი წლის სირიელი ლტოლვილი ბიჭუნას — აილანის ცხედრის გაშარჟებაა.**

გამოცემის ერთ-ერთ კარიკატურაზე ზღვისგან გამორიყული აილანის ცხედარია გამოსახული წარწერით: „ასე ახლოს მიზანთან", გვერდით ჩანს სწრაფი კვების რესტორნის რეკლამა წარწერით „ორი საბავშვო მენიუ ერთის ფასად"; მეორე კარიკატურაზე — სათაურით „მტკიცებულება იმისა, რომ ევროპა ქრისტიანულია" გამოსახულია იესო ქრისტე წარწერით: „ქრისტიანი ბავშვები წყალზე დადიან, მუსლიმანები — იძირებიან".

ბრიტანელმა იურისტმა პიტერ ჰერბერტმა ჟურნალს რასისტული, ქსენოფობიური, საფრანგეთის მორალური გახრწნის გამომხატველი გამოცემა უწოდა და განაცხადა, რომ Charlie Hebdo-ს მოუწევს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში წარდგომა.

**P.S. როგორც ჩანს, მალე დაავიწყდა მავანს, მიმდინარე წლის იანვარში ამავე გამოცემის უკბილო ხუმრობას შეწირული 12 ადამიანის სიცოცხლე.**
**სად ხართ, ებდოებო?**



## პუტინმა დასავლეთს შეიძლება შესთავაზოს პოლიტიკა «არც — ომი, არც — მშვიდობა!»

**„გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ვიზიტისას, დასავლეთის ქვეყნებთან მოლაპარაკებების ჩაშლის შემთხვევაში, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი შეიძლება აღმოსავლეთ უკრაინის კონფლიქტის გაყინვის ინიციატივით გამოვიდეს", — წერს ცნობილი რუსი ჟურნალისტი ევგენი კისელიოვი „ეხო მოსკვის" ვებგვერდზე.**

„პუტინი ემზადება 28 სექტემბერს გაეროში გამოსასვლელად. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა უკვე დაადასტურა, რომ პუტინი ილაპარაკებს უკრაინაზე, სანქციებსა და სირიაზე. მას განზრახული აქვს, ამერიკელებსა და ევროპელებს შესთავაზოს გარიგება: „მე წავალ დათმობაზე დონბასში, ვწყვეტ ცეცხლს, გამყავს სამხედროები. მზად ვარ, ვიტვირთო ომის წარმოება „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ, მაგრამ თქვენც გადმოდგით შემხვედრი ნაბიჯი. შეამსუბუქეთ სანქციები, უმჯობესი იქნება, საერთოდ თუ გააუქმებთ. აღიარეთ, რომ ყირიმი ჩემია".

და, თუ პუტინი ვერ შეძლებს დასავლეთთან მოლაპარაკებას უკრაინის მიმართ პოლიტიკურ გაცვლებსა და კომპრომისებზე, ის განაგრძობს ამჟამინდელ პოლიტიკას „არც — ომი, არც — მშვიდობა". ის შეეცდება უკრაინაში შექმნილ ვითარებაზე გავლენის ბერკეტების შენარჩუნებას, რათა დროდადრო ააგიზგიზოს ჩამქრალი ცეცხლი და ამით შეუქმნას პრობლემები კიევსაც, ვაშინგტონსაც და ბრიუსელსაც. რას დაუპირისპირებენ ამას დასავლეთი და უკრაინა, სხვა საკითხია და ამაზე ცალკე უნდა ვიფიქროთ და ვილაპარაკოთ", — წერს ევგენი კისელიოვი.



## არგენტინას ბრიქს-თან გაერთიანება სურს

**არგენტინის პრეზიდენტმა კრისტინა დე კირშნერმა ბრაზილიის ყოფილ პრეზიდენტს — ლუის ინასიუ ლულა და სილვას თხოვნით მიმართა, დაეხმაროს არგენტინას ბრიჩს-ის (ბრიჩს (BRICS) — ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) ჯგუფში გაწევრებაში.** „ლულა, შენ უნდა გახდე ელჩი იმისათვის, რომ არგენტინამ მოახერხოს ბრიჩს-ში ინტეგრირება და ბრიჩს-ის ნაცვლად გაჩნდეს ბრიჩსა", — განაცხადა დე კირშნერმა ბუენოს-აირესში სიტყვით გამოსვლისას.

## ამერიკელი სენატორი: რუსებმა ბარაკ ობამას სილა გააწნეს



**აშშ-ის სენატის თავდაცვის კომიტეტის წევრის, რესპუბლიკელი ლინდსი გრეჰემის განცხადებით, რუსეთის მხრიდან სირიის დახმარებამ ამერიკის უსაფრთხოება დაასუსტა, — წერს სააგენტო Bloomberg-ი.**

„რუსებმა სილა გააწნეს ობამასა და კერის. ეს, უბრალოდ, შეურაცხმყოფელია მათი მცდელობის ფონზე — მოძებნონ სირიის პრობლემის გადაწყვეტის გზები. რუსებმა ასადი გააძლიერეს, რაც ნიშნავს იმას, რომ სირიაში ომი არასდროს დასრულდება. რუსეთის მიერ სირიისთვის გაწეულმა დახმარებამ ამერიკის უსაფრთხოება დაასუსტა. რუსეთს ახალი სანქციები უნდა დავუწესოთ ასადისთვის სამხედრო დახმარების გაწევის გამო", — განაცხადა ლინდსი გრეჰემმა.



## ევროკავშირში არაო, — გეიკავშირშიო!..

**რამდენიმე დღის წინათ გამართულ ფორუმზე „იალტის ევროპული სტრატეგია" სიტყვით გამოსვლისას ბრიტანელმა მომღერალმა ელტონ ჯონმა უკრაინას გეითანამეგობრობასთან მიერთება ურჩია.**

**„ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც დემოკრატიული საზოგადოების აშენება სურს, არ შეიძლება, განზე გადგეს, როდესაც საუბარია გეებზე, ლესბოსელებსა და ტრანსგენდერებზე, უკრაინას სჭირდება გეითანამეგობრობასთან მიერთება",** — განაცხადა **ელტონ ჯონმა.**

ბრიტანელი მომღერლის განცხადებას ირონიით გამოეხმაურა რუსეთის სახელმწიფო დუმის საერთაშორისო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე **ალექსეი პუშკოვი:** „ელტონ ჯონმა უკრაინას გეითანამეგობრობასთან მიერთებისკენ მოუწოდა. ახლა კიევს გაცილებით მნიშვნელოვანი პროგრამა აქვს განსახორციელებული, ვიდრე ევროკავშირში შესვლაა".



## სარა ვაგენკნეხტი: თქვენ რა, იდიოტები ხართ, პუტინთან აპირებთ ომს?

**ამჟამინდელი მიგრაციული კრიზისი — ეს არის შედეგი პოლიტიკისა, რომელზეც პასუხისმგებლობა ეკისრება აშშ-სა და მის ევროპელ მოკავშირეებს. სისხლიანმა ომებმა, რომლებიც აშშ-მა გააჩაღა, ახლო აღმოსავლეთი შიშისა და ნგრევის ტერიტორიად აქცია, — ასეთია გერმანელი პოლიტიკოსის, ბუნდესტაგისა და ევროპარლამენტის დეპუტატის — სარა ვაგენკნეხტის თვალსაზრისი ევროკავშირში შექმნილ მიგრაციულ კრიზისზე.**

„სწორედ ამერიკის პოლიტიკაა მიზეზი იმისა, რომ ახლო აღმოსავლეთში მცხოვრები ადამიანები თავიანთ ქვეყნებს ტოვებენ, ევროკავშირში გარბიან და თვლიან, რომ აუცილებელი პირობებით უნდა უზრუნველყონ, რადგან ევროკავშირი მხარს უჭერს ამერიკის გეგმებს. გერმანიის ხელისუფლებაში კი არიან იდიოტები, რომლებიც პუტინთან ომს აპირებენ. არადა, ომისშემდგომი გერმანიის საგარეო პოლიტიკის ორი პრიორიტეტი იყო ევროპის ერთიანობის შენარჩუნება და რუსეთთან კარგი ურთიერთობის დამყარება. გერმანიის კანცლერის პოსტზე ანგელა მერკელის მოსვლის შემდეგ კი არც ერთია და აღარც მეორე", — განაცხადა სარა ვაგენკნეხტმა გერმანიის პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას.

## საუდის არაბეთი გერმანიას 200 მეჩეთის აშენებას სთავაზობს

**საუდის არაბეთმა გერმანიის ხელისუფლებას გერმანიაში ჩასული სირიელი ლტოლვილებისთვის 200 მეჩეთის აშენება შესთავაზა, — წერს Frankfurter Allgemaine Zeitung-ი.**

საუდის არაბეთის ხელისუფლება თავის მორალურ მოვალეობად თვლის, მიგრანტები ნებისმიერ ქვეყანაში უზრუნველყოს შესაძლებლობით, დაიცვან ისლამის პრინციპები. ამიტომ ერ რიადს განზრახული აქვს, გერმანიის ხელისუფლებასთან შეათანხმოს მეჩეთების მშენებლობა. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს გერმანიის ხელისუფლება ლტოლვილებისთვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად ბიუჯეტიდან 10 მლრდ ევროს გამოყოფას აპირებს. ლტოლვილთა უზარმაზარი ნაკადისთვის თავშესაფრის მიცემა, რა თქმა უნდა, ჰუმანურობაა, მაგრამ გერმანული პრესა წერს, რომ ათიათასობით ლტოლვილის მიღება გერმანიას სამუშაო ადგილების შესავსებად სჭირდება. გარდა ამისა, გერმანიის მოსახლეობა სწრაფად ბერდება და საპენსიო ასაკმა უკვე 67 წელს მიაღწია. როგორც ჩანს, გერმანია სოციალური ექსპერიმენტის ჩატარებას აპირებს, მაგრამ საკითხავია — შეძლებს კი ქვეყანა სრულიად განსხვავებული კულტურის, ისტორიის, ტრადიციების, რელიგიის, ენისა და მენტალიტეტის მიგრანტებთან გამკლავებას და მათ „მოხარშვას" საერთო გერმანულ ქვაბში?

**ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი**
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ოდესღაც ქრისტიანულ ევროპას დღეს ჩინეთი ასწავლის ქრისტიანობის საფუძვლებს. ალბათ, იმიტომ, რომ ეს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებია და არა სეპარატულ-ჰეგემონისტური, როცა ქედმაღლურად მიგაჩნია, რომ უბედურება სხვათა სახლებში შევა, შენს ზღურბლზე კი სასწაულებრივად შეჩერდება და ვერ შეგეხება.**

# ოდესღაც ქრისტიანული ევროპა, ანუ ვინ მოკლა აილანი, ჰალიპი და რახანი?



**ევროპისკენ დაძრულმა ლტოლვილებმა თანაგრძნობა მანამდე ვერ დაიმსახურეს, ვიდრე კურორტ ბოდრუმის ქვიშის პლაჟზე დაღუპული სამი წლის სირიელი ბიჭუნას, აილანის, გვამის ფოტო არ გავრცელდა. აილანამდე 2760 ლტოლვილი დაიღუპა ევროპისკენ მიმავალ გზაზე, მაგრამ, როგორც ამბობენ, ეს მხოლოდ სტატისტიკა იყო — სამი წლის ბავშვის ცხედარმა კი ევროპელთა ცნობიერება ამოაყირავა.**



**ყალბი საბუთების დამზადება და საზღვარზე გადაყვანა 15 ათასი ევრო ჯდება. ლტოლვილებს ეს ფული აქვთ... ჩვენი დევნილებისგან განსხვავებით, რომლებიც, ყველაფრის დაკარგვის შემდეგ, ფეხით გადმოდიოდნენ ჭუბერზე, გაყინული ბავშვებით ხელში... ევროპას ის ვიდეოკადრები არ უნახავს ან მშვიდად გაატარა... ეს ევროპას არ შეხებია და არც შეშფოთებულან**

ლტოლვილთა მხარდაჭერის აქციები მათ მოწინააღმდეგეთა გვერდით ტარდება. **რომის პაპმა კათოლიკეებს მოუწოდა, თითო ოჯახი მაინც შეიფარონ. ფინეთის ბანკის ხელმძღვანელმა ერთი თვის ხელფასი გადარიცხა ლტოლვილთა დასახმარებლად. ამ ფონზე გერმანიაში ცეცხლი წაუკიდეს საერთო საცხოვრებელს, რომელშიც ლტოლვილები იყვნენ შეფარებულნი; საბერძნეთში, კუნძულ ლესბოსზე, მიგრანტებს მოლოტოვის კოქტეილები დაუშინეს; ისრაელში, იორდანიის საზღვარზე, დამცავ ნაგებობებს დგამენ. სულ უფრო ხშირად ისმის კითხვა: „ჩვენ რატომ უნდა ვზღოთ? ჩვენ ხომ არ ვბომბავდით სირიას და ერაყს“?**

სკანდალურად ცნობილმა „შარლი ებდომ“ ამჯერად კარიკატურები სამი წლის ბავშვის ცხედარს მიუძღვნა. ერთ ნახატზე წყალზე მოსიარულე ქრისტეა გამოსახული, მის მახლობლად კი ბავშვი იხრჩობა. წარწერა გვაუწყებს: **„ქრისტიანები წყალზე დადიან, მუსლიმანი ბავშვები კი იძირებიან“.** მეორე კარიკატურაზე ბავშვი პატარა აილანის პოზაშია დახატული, წარწერა კი ასეთი აქვს: **„ასე ახლოს მიზანთან“.**

ადამიანები, რომლებიც შარშან, სატირულ ჟურნალზე თავდასხმის გამო გაიძახოდნენ — „მე შარლი ვარ“, დღეს აღშფოთებას ვერ მალავენ. სამყარო თითქოს შეიშალა, ორიენტირები დაირღვა, ღირებულებები აიჭრა.

სოციალურ ქსელებში გავრცელდა ავსტრიის მოქალაქის, მათემატიკოს **გალა ებნერის** მონათხრობი, რომელშიც იგი დეტალურად აღწერს თავის მოგზაურობას ვენიდან საზღვრისპირა შაპრონამდე – სულ რაღაც, 70 კილომეტრის მოშორებით. **ებნერი ლტოლვილებს კალიების შემოსევას adარებს, რადგან ისინი მანქანას მუშტებს ურტყამენ და ჩაჯდომას ცდილობენ. ირგვლივ ნაგვის გორები და ფეკალიებია. ვენის სადგურებს დღეში რამდენჯერმე რეცხავენ ქლორით. გალას მეგობარს მოუწია ლტოლვილებით სავსე ვაგონით მგზავრობა — ჭუჭყისა და მყრალი სუნისგან ისე ცუდად გახდა, რომ შინ დაბრუნებული რამდენიმე საათი შხაპის ქვეშ იდგა, სამსახურში კი რამდენიმე დღის შმდეგ გავიდა, რადგან გული ერეოდა.**

რთული წარმოსადგენი არ არის დავარცხნილ-რეგლამენტირებული ევროპის მკვიდრის ასეთი რეაქცია, მაგრამ **არც ის უნდა იყოს ძნელად წარმოსადგენი, რას განიცდიან აშშ-ისა და მისი ევროპელი პარტნიორების მიერ „დემოკრატიისთვის“ განწირული ადამიანები დაბომბვების ქვეშ. იოლია, არ იფიქრო ამაზე, როცა ეს ყველაფერი შენი ქვეყნიდან ათასობით კილომეტრის დაშორებით ხდება, მერე კი შეიცხადო, რომ ომსა და უბედურებას გამოქცეული ადამიანები ყარან!**

მათ უმრავლესობას შხაპი ზღვის გადაცურვის შემდეგ არ უნახავს, ზოგი კი, სამი წლის აილანივით, იქ დარჩა. ომისგან გამოქცეულებზე გალა ასე წერს: **„ომსა და სტიქიურ უბედურებას მეზობელ ქვეყნებში გაურბიან, ეს ჯანმრთელი ცხოველები კი ევროკავშირის უმდიდრეს ქვეყნებს არჩევენ — უფასო ბინებით, მაღალი სოციალური შეღავათებით, იმ იმედით, რომ იხეირებენ, ისარგებლებენ ევროპელების მიამიტი თანაგრძნობით და მათი მთავრობების უხერხემლობით... ვერავინ დამარწმუნებს, რომ დამხრჩვალი სამი წლის ბიჭუნას ფოტო ფანდი არ იყო, რათა ევროკავშირის მოქალაქეთა ემოციებზე ეთამაშათ.** კრიმილასტიკის, ვიქტიმოლოგიისა და კრიმინალური ფსიქოლოგიის კურსი გავლილი მაქვს და დეტალებს ყურადღებას ვაქცევ. გადაშალეთ სასამართლო მედიცინის ცნობარი და ნახეთ ცხრილი (დახრჩობის სიღრმე, წყლის ტემპერატურა, გარეგნული ნიშნები, გვამის ამოტივტივების ვადა), შემდეგ კიდევ ერთხელ **დახედეთ ფოტოს და მიხვდებით, რომ ბავშვის ცხედარი 2-3 დღე-ღამე წყალში არ ყოფილა (არ გაიბერა, არ იცვალა ფერი, არ გაუჩნდა ლაქები) და ესე იგი, არც წყალს გამოურიყავს. ბავშვი მსხვერპლად შესწირეს ამ თავხედურ ჯოგს, რათა მათთვის ევროპის კარი გაეღოთ“.**

საშინელებაა წასაკითხადაც კი, ხომ? თუმცა ნუ დავავიწყდება, რომ ამგვარი მსხვერპლი უახლოეს წარსულში არაერთხელ უნახავთ ევროპელებსაც და დანარჩენ მსოფლიოსაც — **ასე იყო სერბების დადანაშაულებისას ალბანელების „გენოციდში“. ამასაც ფოტოებით ადასტურებდნენ ამერიკელები, თუმცა შემდეგ გაირკვა, რომ საკონცენტრაციო ბანაკების ფოტოები სულ სხვაგან და სხვა დროს იყო გადაღებული. ოღონდ ეს ძალიან გვიან გაირკვა, როცა „ამოწყვეტილმა“ ალბანელებმა სერბეთის გულში — კოსოვოში აღიარებული სახელმწიფო მიიღეს.**

ასე იყო, როცა **ერაყს მასობრივი განადგურების იარაღის შექმნაში ადანაშაულებდნენ, საბუთად კი აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რაღაც ფარული სატელეფონო ჩანაწერი მიიტანა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე.** მოგვიანებით გაირკვა, რომ ერაყში არავითარი მასობრივი განადგურების იარაღი არ ყოფილა, მაგრამ **იმ მომენტისთვის ქვეყანა უკვე ცეცხლში იყო გახვეული, სადამ ჰუსეინი კი — ჩამოხრჩობილი. ასე იყო ლიბიაში, ეგვიპტეში, ასეა ახლა სირიაში.**

**ამერიკელები ბაშარ ასადს ებრძვიან და დიქტატურაში ადანაშაულებენ, მაგრამ პარადოქსია, რომ ეს ლტოლვილები, რომლებიც ევროპას შეესივნენ, ასადს კი არა, მის „დემოკრატიულ“ ოპოზიციას გამოექცნენ, ანუ სირიის იმ ტერიტორიებიდან არიან, რომელთაც ასადის ოპოზიცია აკონტროლებს.** სირიის კრიზისის ფონზე ლტოლვილების სახით ავღანელები, პაკისტანელები და აფრიკელები მომრავლდნენ.

გერმანიამ, ავსტრიამ და სლოვაკეთმა უკვე განაცხადეს საკუთარ საზღვრებზე კონტროლის გამკაცრების შესახებ. გერმანიამ ერთი დღეღამით შეწყვიტა სარკინიგზო მიმოსვლა ავსტრიასთან მას შემდეგ, რაც მიუნხენის სადგურმა უქმეებზე რეკორდული ნაკადი — 14 ათას ხუთასი ლტოლვილი მიიღო. ქალაქის მერმა **დიტერ რაიტერმა** განაცხადა, რომ ბავარიამ მიგრანტთა მიღების რესურსი ამოწურა.

გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა **ტომას დე მეზიერმა** აღიარა, რომ გერმანია დროებით აჩერებს შენგენის შეთანხმებაში მონაწილეობას.

გერმანიას ავსტრია შეუერთდა. ვიცეკანცლერმა **რაინჰოლდ მიტერლაინერმა** განაცხადა გერმანიასა და სლოვაკეთის საზღვარზე კონტროლის შემოღებისა და რამდენიმე ათასი სამხედროს განლაგების შესახებ „ლტოლვილთა პრობლემის გადაწყვეტის ხელშესაწყობად“.

ავსტრიას სლოვაკეთმა მიბაძა და ჩეხეთთან, ავსტრიასა და უნგრეთთან საზღვრებზე კონტროლი დააწესა ასევე სამხედროთა მობილიზაციით.

ევროკავშირში უკვე მსჯელობენ კვოტებზე, რომლებიც სახელმწიფოთა ეკონომიკურ პოტენციალზე დაყრდნობით უნდა შეიმუშავონ. ორი წლის განმავლობაში ახლო აღმოსავლეთიდან და აფრიკიდან 160 ათასი მიგრანტის მიღებას ვარაუდობენ. ამ იდეას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ეწინააღმდეგებიან. უნგრეთის არმია სასწრაფოდ აგებს კედელს სერბეთის საზღვარზე და ლტოლვილთა წინააღმდეგ სპეცოპერაციების ჩატარების სწავლებებს იწყებს.

შენგენის გარე საზღვრების დახურვისკენ მოუწოდებს ჩეხეთის ვიცეპრემიერი **ანდრეი ბაბიში**, რომელიც იმაზეც ლაპარაკობს, რომ ჩეხურ ფირმებს თვეობით უწევთ შენგენის ვიზების გაფორმება მათთვის საჭირო მუშახელისთვის (მაგალითად, უკრაინიდან), ხოლო ბოლო დღეებში ევროპა გაივსო ათასობით უსაბუთო ლტოლვილით.

**სირიიდან, ღატაკები კი არა, საშუალო კლასი ჩადის ევროპაში.** კლასიკად ქცეული ერთი ფილმის არ იყო, **Кто в Москву без денег едет?** სხვაგვარად ისინი ევროპამდე ვერ ჩააღწევდნენ. **თურქეთიდან საბერძნეთამდე ნავში ერთი ადგილის ფასი ათასიდან 5 ათას დოლარამდე მერყეობს. ისინი კი ოჯახებით არიან წამოსული; შემდეგ სერბეთამდე ტაქსით მგზავრობენ და ღამეს სასტუმროში ათევენ. აქ საქმეში უკვე კონტრაბანდისტები ერთვებიან. ყალბი საბუთების დამზადება და საზღვარზე გადაყვანა 15 ათასი ევრო ჯდება. ლტოლვილებს ეს ფული აქვთ... ჩვენი დევნილებისგან განსხვავებით, რომლებიც ყველაფრის დაკარგვის შემდეგ ფეხით გადმოდიოდნენ ჭუბერზე, გაყინული ბავშვებით ხელში... ევროპას ის ვიდეოკადრები არ უნახავს ან მშვიდად გაატარა...**

ეს ევროპას არ შეხებია და არც შეშფოთებულან.

და მაინც — რატომ სწორედ ახლა და ასეთი დიდი ნაკადით დაიძრნენ ლტოლვილები ევროპისკენ?

არსებობს ვერსია, რომ **ლტოლვილებს ამერიკული საქველმოქმედო ორგანიზაციები ეხმარებიან, მათ შორის, ფულითაც. დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ყოველ დასახლებულ პუნქტში ბანკებთან ლტოლვილების კოლოსალური რიგები დგება. ისინი გადმორიცხულ თანხებს იღებენ. ეს მკაფიო სტრატეგიაა. აშშ დაინტერესებულია, ლტოლვილების ნაკადი ევროპისკენ წავიდეს და არა ამერიკისკენ.**

არის სხვა ვერსიებიც. დამასკოელი პოლიტოლოგი **ტიერი მეისანი** წერს: „ოთხი მილიონი სირიელი თურქეთში, იორდანიასა და ლიბანში გაიქცა. ევროკავშირი განზრახ წარმოაჩენს ამას, როგორც კატასტროფას. ევროპაში დღეს გაცილებით ნაკლები მიგრანტი შედის, ვიდრე 1992 წელს, როცა ევროკავშირში სულ 18 ქვეყანა იყო. ახლა 28 სახელმწიფოა. საქმე კი ის არის, რომ გერმანიას ხალხი სჭირდება საწარმოებში. გასული წლის დეკემბერში გერმანული მრეწველობის მესვეურნი აცხადებდნენ, რომ 800 ათასი მუშა ესაჭიროებათ, მაგრამ ეს შენგენისა და დუბლინის შეთანხმებებს ეწინააღმდეგება, ამიტომაც შექმნეს ლტოლვილთა გაუკონტროლებელი ნაკადის ილუზია“.

ამერიკელი კონგრესმენის — **დან რორაბახერის** აზრით, აშშ არ არის ვალდებული, დახმარება გაუწიოს ევროკავშირს ლტოლვილების პრობლემის მოგვარებაში. ამ შემთხვევაში ევროპამ თვითონ უნდა დაიცვას საკუთარი ტერიტორია და დაძლიოს კრიზისი. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა ობამამ განკარგულება გასცა 2016 წლისთვის სირიიდან 10 ათასი მიგრანტის მიღების შესახებ, რორაბახერი დარწმუნებულია, რომ აშშ ევროკავშირის მიგრაციულ პრობლემებში არ უნდა ჩაერიოს. **„ეს ჩვენ არ გვეხება. თუ ევროპელებს არ უნდათ საკუთარი ტერიტორიის დაცვა, მაშინ მივლენ ისინი, ვინც წაართმევს ამ ტერიტორიას. მე მგონი, ასეც ხდება,“** — განაცხადა მან.

რატომ უნგრეთის გავლით? ათი წლის წინათ ფრანგულ ქალაქ მარსელის მოსახლეობის მესამედი უკვე არაბული იყო. მიგრაცია აფრიკიდან გიბრალტარის და ლიბი- ▶

„ გვახსოვს კახა კუკავას ე.წ. პრორუსული პარტია, რომელიც თითქოს აშკარა ანტიდასავლური განწყობით გამოირჩეოდა და ნატოსა და ამერიკას აკრიტიკებდა, როგორ გაერთიანდა თითქოსდა ე.წ. პროდასავლურ პარტიასთან — „ახალ მემარჯვენეებთან“, რომელსაც თავის წესდებაში მკაფიოდ უწერია, რომ საქართველო ნატოს წევრი უნდა გახდეს “.

წითელი ბარათი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ის გავლით დაიძრა. ვიდრე ლიბიას „გაადემოკრატიულებდნენ“, ანუ დაბომბვებს დაიწყებდნენ, ეს ქვეყანა მიგრანტთა ნაკადს აკავებდა. ნატოს „ჰუმანიტარული“ დაბომბვების შემდეგ ლიბია თვითონ ჩაიძირა ქაოსში. მიგრანტებმა ხმელთაშუა ზღვის გავლით მიაშურეს ევროპას. არაერთხელ დამხრჩვალან და დავარცხნილ ევროპას ისევე არ უნდოდა ამ დამხრჩვალი ადამიანების ცხედრების დანახვა, როგორც დღეს — ავსტრიაში ნაპოვნი მანქანის საბარგულში 70 გვამისა. გაჩნდა ახალი მარშრუტი — თურქეთი-საბერძნეთი-უნგრეთი-გერმანია (სრულიად ეგზოტიკური — მურმანსკიდან ნორვეგიამდე, თუმცა იქ მხოლოდ 150 ლტოლვილი აღრიცხეს).

ამ პრობლემის სტატისტიკა ერთობ საინტერესოა. 2015 წლის იანვრიდან ივლისამდე 438 ათასმა ადამიანმა ითხოვა თავშესაფარი ევროპაში. ლტოლვილთა 43%-მა გერმანიაში ისურვა ცხოვრება. 126 315-მა სირიელმა თავშესაფარი მიიღო. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 83%-ით გაიზარდა ლტოლვილთა ნაკადი ხმელთაშუა ზღვის გავლით.

ევროკომისიის თავმჯდომარე ჟან-კლოდ იუნკერმა ამას წინათ ევროპარლამენტის დეპუტატებს მიმართა: „წლის დასაწყისიდან ევროპას 500 ათასი ადამიანი მოადგა“. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია კი სულ სხვა ციფრს ასახელებს – 350 ათასს. ევროსტატის მონაცემებით, შარშან ევროკავშირს ლტოლვილის სტატუსის მოსაპოვებლად 625 ათასმა ადამიანმა მიმართა, 2013 წელს — 431 ათასმა. მაშ, რატომაა ასეთი აჟიოტაჟი? ნუთუ ერთი ბავშვის ცხედარმა გამოიწვია ეს? და რატომ არ იყო დარისხებული განგაშის ზარები მაშინ, როცა ასეულობით ადამიანს თავს აჭრიდნენ, ცოცხლად მარხავდნენ და წვავდნენ? იმიტომ ხომ არა, რომ ამ ემოციურ ფონზე ყველა სახელმწიფო საკუთარ ინტერესებს ატარებს — თურქეთით დაწყებული, ბრიტანეთით დამთავრებული?

უაღრესად საინტერესოა ჩინეთის პოზიცია ამ საკითხის მიმართ. „ჟენმინ ჟიბაომ“ ამ დღეებში სტატია გამოაქვეყნა მეტყველი სათაურით „აშშ და ევროპა უნდა დაფიქრდნენ, საიდან გაჩნდა ლტოლვილთა ნაკადი“. მასში ნათქვამია:

„ეს ლტოლვილები ომით მოცული ქვეყნებიდან – ჩრდილოეთ აფრიკიდან და დასავლეთ აზიიდან, ლიბიიდან და სირიიდან დაიძრნენ. ადრე ლიბია აფრიკის ყველაზე მდიდარი სახელმწიფო იყო. მის მოქალაქეებს შესაშური მატერიალური კეთილდღეობა ჰქონდათ — უფასო სამედიცინო მომსახურება, უფასო საცხოვრებელი და უფასო განათლება. სირიაში, არაბეთის სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობით, ნავთობის ექსპორტის შეზღუდვის მიუხედავად, პოლიტიკური სტაბილურობა და სოციალური სიმშვიდე, კულტურის, განათლების, სახალხო კეთილდღეობის მაღალი დონე სუფევდა. რატომ ექცათ ამ ადამიანებს მყისიერად სამოთხე ჯოჯოხეთად?

„სახელმწიფოს დაღუპვა“ იქ 2011 წლის „არაბული გაზაფხულის“ დროს მოხდა. ლიბია კადაფის დამხობის შემდეგ რამდენიმე ნაწილად დაიშალა, ეკონომიკა დაინგრა, მოსახლეობა უპოვარ ლტოლვილებად იქცა. სირიაში სამოქალაქო ომი დაიწყო, სირიელთა ნახევარი უსახლკაროდ დარჩა, ოთხი მილიონი ადამიანი ლტოლვილი გახდა. ამ ტრაგიკული ვითარების მიზეზი იყო ე.წ. „დემოკრატიული“ უმცირესობის სურვილი, შეერყიათ ხელისუფლების სტაბილურობა. თუმცა მთავარი მიზეზი ისაა, რომ აშშ-მა და ევროპამ შემთხვევით ისარგებლეს, რათა ამ ქვეყნებში რეჟიმები შეეცვალათ. აშშ-მა სამოქალაქო ომამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო სირიის ოპოზიციის საიდუმლო დაფინანსება, შექმნა „სირიის მეგობრებისა“ და „სირიის კრიზისის“ სამუშაო ჯგუფები.

ფაქტი ჯიუტია: აშშ-ისა და ევროპის საგარეო პოლიტიკური ჰეგემონიზმი საშინელი და სულელურია. გარდა იმისა, რომ მან დასავლეთ აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში კატასტროფის პროვოცირება მოახდინა, მან ასევე აიძულა ევროპა, საკუთარი თავით ეზღო. ომი ლიბიაში ევროპის ინიცირებულია, მაგრამ მისგან არანაირი სარგებელი არ მიუღია, პირიქით, ენერგორესურსების მსხვილი ექსპორტიორი დაკარგა და მიგრაციის ტალღა გამოიწვია. ამერიკამ და ევროპამ ჩაიფიქრეს ხელისუფლების დამხობა სირიაში, მაგრამ ამან „ისლამური სახელმწიფოს“ და სხვა ექსტრემისტული ძალების გაძლიერება გამოიწვია“.

დასკვნა ამ სიტუაციიდან სწორედ რომ ჩინური სიბრძნით არის ნაკარნახევი: „ლტოლვილთა ტალღა აფრთხილებს აშშ-სა და ევროპას: გადახედეთ საკუთარ პოლიტიკას, ყური მიუგდეთ შეგონებას: „ნუ მოექცევი სხვას ისე, როგორც არ გინდა, შენ მოგექცნენ“. ჩინეთის, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების, აზრით, ამ ქვეყნებმა სრულად უნდა გაიაზრონ ისეთი გამოთქმის აზრი, როგორიც არის „სტაბილურობა, უპირველეს ყოვლისა“. მათ უნდა გააცნობიერონ, რომ მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოში შეუძლიათ ადამიანებს, ბედნიერნი იყვნენ“.

უცნაურია, მაგრამ ოდესღაც ქრისტიანულ ევროპას დღეს ჩინეთი ასწავლის ქრისტიანობის საფუძვლებს. ალბათ, იმიტომ, რომ ეს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებია და არა სეპარატულ-ჰეგემონისტური, როცა ქედმაღლურად მიგაჩნია, რომ უბედურება სხვათა სახლებში შევა, შენს ზღურბლზე კი სასწაულებრივად შეჩერდება და ვერ შეგეხება.

ჭეშმარიტად, ნუ მოექცევი სხვას ისე, როგორც არ გინდა, შენ მოგექცნენ!

# პეტრე მამრაძე: არავის უნდა გაუკვირდეს, თუ ხვალ პროდასავლური ორიენტაციის მქონე პარტიას პრორუსულის გვერდით ვიხილავთ

თამაშის წესების დარღვევისთვის მსაჯს უფლება აქვს, ფეხბურთელს წითელი ბარათი უჩვენოს და მინდვრიდან გააძევოს. ამ ბარათების რაოდენობა ზოგჯერ საკმაოდ დიდია. მაგალითად, 1970-იანი წლების ბოლოს მექსიკური გუნდების — „ატლეტიკოსა“ და „ესპანიოლის“ მოთამაშეები მსაჯმა გონსალესმა 26 წითელი ბარათით დასაჯა. ფეხბურთის ისტორიაში ამ მხრივ ყველა რეკორდი მოხსნა არგენტინელმა მსაჯმა დამიან რუბიომ. მან ბუენოს-აირესში გამართული მატჩის დროს საფეხბურთო კლუბების — „კლეიპოლესა“ და „აურელიანო არენასის“ მოთამაშეებსა და მწვრთნელებს 36 წითელი ბარათი უჩვენა. თამაშის წესებს ხშირად არღვევენ პოლიტიკოსებიც, თუმცა მათი უმრავლესობა, როგორც წესი, დაუსჯელი რჩება; მეტიც, ვინაიდან ჩვენში პოლიტიკა კვლავ სარფიან საქმედ მიიჩნევა, ბევრი — მრავალი წლის განმავლობაში, ზოგიერთი კი სამუდამოდ კვლავ აქტიურ პოლიტიკოსად რჩება. საზოგადოების წარმომადგენელთა აზრით, რომელი პოლიტიკოსი იმსახურებს „პოლიტიკურ წითელ ბარათს“, ჩვენი რუბრიკიდან შეიტყობთ. ამჯერად რუბრიკის სტუმარია არასამთავრობო ორგანიზაცია „მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე.



**— ბატონო პეტრე, ქართული პოლიტიკური სპექტრიდან ვის უჩვენებდით წითელ ბარათს?**

— მე ასე ინდივიდუალურად და თუნდაც პარტიების მიხედვით არავის გამოვყოფდი. ვინაიდან, შეიძლება ითქვას, ობიექტური ისტორიული პირობების გამო ჩვენში პოლიტიკური პარტიები საერთოდ არ არის ჩამოყალიბებული, მეტიც — ჯერ მათი შექმნის პროცესიც არ დაწყებულა. დღეს ვისაც ვხედავთ, ესენი არიან ცალკეული, მეტ-ნაკლებად ცნობილი სახეები და მათ გარშემო გაერთიანებული ჯგუფები. როგორც წესი, ეს ჯგუფები ისწრაფვიან, ნებისმიერი ხერხით ხელში ჩაიგდონ ძალაუფლება, ვინაიდან, დღეს იყო პოლიტიკოსი საქართველოში, ნიშნავს წვდომას როგორც ადმინისტრაციული, ასევე ქვეყნის ბუნებრივი და ფინანსური რესურსებისადმი.

**— ვინ არიან ეს ჯგუფები ან ეს ადამიანები?**

— სამწუხაროდ, ყველა, ვინც დღეს პოლიტიკაშია. ვინაიდან საქართველოში არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ აქვს პროგრამა, შესაბამისი იდეალები და პრინციპები, არავის უნდა გაუკვირდეს, თუ ხვალ პროდასავლური ორიენტაციის მქონე პარტიას პრორუსულის გვერდით ვიხილავთ. მაგალითად, გვახსოვს კახა კუკავას ე.წ. პრორუსული პარტია, რომელიც თითქოს აშკარა ანტიდასავლური განწყობით გამოირჩეოდა და ნატოსა და ამერიკას აკრიტიკებდა, როგორ გაერთიანდა თითქოსდა ე.წ. პროდასავლურ პარტიასთან — „ახალ მემარჯვენეებთან“, რომელსაც თავის წესდებაში მკაფიოდ უწერია, რომ საქართველო ნატოს წევრი უნდა გახდეს. საქართველოში შესაძლებელია, ასეთი ორი განსხვავებული პოლიტიკური ამოცანებისა და მიმართულების მქონე პარტია მოულოდნელად გაერთიანდეს და ერთადაც იყარონ კენჭი, ასეთი რალაცები ქართულ პოლიტიკურ რეალობას ახასიათებს. ისიც ჩვეულებრივი ამბავია, რომ ნინო ბურჯანაძე, გიორგი თარგამაძის ნაცვლად, „ქრისტიან-დემოკრატების“ პარტიის ლიდერი გახდა.

**— ეს პოლიტიკური რეალობა რამ განაპირობა?**

— ეს იმან განაპირობა, რომ თვითონ მოსახლეობის, ჩვენი საზოგადოების სტრუქტურიზება ვერ მოხერხდა. მაგალითად, დასავლეთში არის ტრადიციული პოლიტიკური პარტიები, რადგან იქ არსებობს როგორც საშუალო და ღარიბების ფენა, ასევე მკვეთრად შეძლებული ადამიანების ფენა; არიან ფერმერები, ბიზნესმენები და ა.შ. შესაბამისად გამოკვეთილია ამ ჯგუფების ინტერესებიც და სწორედ ამ ჯგუფებიდან წარმოიშობიან ის პოლიტიკური პარტიები, რომელთა იდეებს, პროგრამას, პოლიტიკურ ხედვას მხარს უჭერს მოსახლეობის გარკვეული ფენა. ჩვენთან კი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მხარს უჭერს იმ ადამიანს, რომელიც, ტელევიზიის წყალობით, სხვებთან შედარებით უფრო სიმპათიურად გამოიყურება. ამას ისე ნუ გავიგებთ, თითქოს ქართველებს ვაკნინებ. არა, ეს რეალობა, ჩვენი ეროვნული ხასიათით კი არა, ეკონომიკური ვითარებითაა განპირობებული.

**— გამოსავალს ხედავთ?**

— სიმართლე გითხრათ, ამ ეტაპზე გამოსავალს ვერ ვხედავ. ეს სწორედ ის მანკიერი წრეა, რომელზეც არჩევნების წინ ბიძინა ივანიშვილმაც ისაუბრა. ჩვენი ქვეყანა მანკიერ წრეზე დადის და გამოსავალი იქნებოდა ჩვენი საზოგადოების განვითარება. პირველ რიგში კი, ჩვენი სამოქალაქო საზოგადოება უნდა განვითარდეს, რომელიც მკაცრად მოსთხოვს პასუხს ყველას, ვინც პოლიტიკაში მოღვაწეობას გადაწყვეტს. როდესაც ამ ხალხს საზოგადოება მკაცრად მოსთხოვს პასუხს, შეასრულოს ხალხისთვის მიცემული დაპირებები, როდესაც იარსებებს ჭეშმარიტად თავისუფალი მასმედია, ვითარებაც შეიცვლება.

სხვათა შორის, უცხოური მედიაც წერს საქართველოზე, რომ ჩვენთან პლურალისტული ფეოდალიზმი სუფევს, ანუ ცალკეულ ფეოდალურ ჯგუფებს პირადი კეთილდღეობის გამო სურთ ხელისუფლებაში მოსვლა. აუცილებელია, სინამდვილეს თვალი გავუსწოროთ. როდესაც თითქმის ყველა კითხულობს — გვეშველება რამე? როდესაც ადამიანები ხედავენ, რომ ხელისუფლებაში მოვიდა კაცი, რომელმაც ქვეყანას მოაშორა სააკაშვილის ხელისუფლება (ვგულისხმობ ივანიშვილს) და შემდეგ გაიძახიან, რომ ივანიშვილმა მოგვატყუა და ქვეყანას არ უპატრონაო, რთულია, ამ ადამიანებს აუხსნა, რომ ისინი თვითონ არიან ამ ქვეყნის პატრონები.

**— თუმცა, ბატონო პეტრე, პოლიტიკოსებიც რატომ იძლევიან ასეთ დაპირებებს? გამოდის, ხალხს განზრახ ატყუებენ?**

— სხვაგვარად ხელისუფლებაში ვერ მოვლენ და ძალაუფლებას ვერ მოიპოვებენ. მათთვის კი მთავარია, ხელისუფლებაში მოვიდნენ და მერე რა იქნება, არ აინტერესებთ. მთავარია, მოასწრონ მათთვის საკეთილდღეო რესურსების გამოყენება. საქართველო რჩება იმ ქვეყნად, სადაც, თუ ადამიანს სურს, ფული იშოვოს, ბიზნესში კი არა, ჯერ ხელისუფლებაში მოდის და იქიდან შოულობს ფულს. ორი მოწვევის პარლამენტარი ვარ და იცით, რამდენჯერ მომისმენია პარლამენტის დარბაზებში გულწრფელი საუბრები, რომ „აქ რა მინდა, მაგრამ ხომ იცი, ისე „მაყუთს“ ვერ იშოვი“... ეს ჩვენი ქვეყნის სერიოზული პრობლემაა.

სამწუხაროდ, არც „ქართული ოცნება“ გამოდგა გამონაკლისი. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყეს პრემიების დარიგება, ხელფასების მომატება და ძვირად ღირებული ჯიპების შეძენა. თანაც თავს იმართლებდნენ, რომ თურმე ეს აუცილებელია და სჭირდებათ თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად. არადა, ქვეყნის ვალი დღითიდღე იზრდება.

მე არაერთხელ დასაბუთებულად გამიკრიტიკებია ალასანია, ბურჯანაძე თუ რესპუბლიკელები მათი უპასუხისმგებლო განცხადებების გამო, რომლებსაც მხოლოდ მავნე შედეგების მოტანა შეუძლია საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის.

დიდი პრობლემაა, როდესაც, მაგალითად, ირაკლი ალასანიას შეუძლია, განაცხადოს, რომ თურმე ნატოს იარაღს სთხოვს ან ნატო საქართველოში თავის ინფრასტრუქტურას განათავსებს, მაშინ, როცა, მისი განცხადების შემდეგ ნატოს ყველა წარმომადგენელი ამ ინფორმაციას უარყოფს და სიცრუედ მიიჩნევს. საზოგადოებამ მოსთხოვა ამ ადამიანს პასუხი? სხვა ქვეყანაში ასეთ მინისტრს ძლიერ პრესში გაატარებდნენ, აქ კი პასუხიც არავის მოუთხოვია. ახლახან თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა ფრანგებთან რაღაც ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ზოგიერთი უცხოელი ექსპერტი და მათ შორის დიპლომატებიც, გაკვირვებულები მეკითხებოდნენ, — ნუთუ ეს თქვენი ქართული მანერაა, ჯერ ყიდულობთ და პარლამენტს მერე ატყობინებთ, რას და რა ფასად ყიდულობთო?! ინფორმაცია საიდუმლო რომც იყოს, პარლამენტში არსებობს ნდობის ჯგუფი, რომელმაც ასეთი საკითხები უნდა განიხილოს. რამდენად საშიში და ძლიერია ის იარაღი, რომელიც მინისტრმა იყიდა, მალე გამოჩნდება. რუსეთი რეიდს ჩაატარებს და ამ იარაღსაც ისე წაიღებს, როგორც 2008 წელს რამდენიმე მილიარდი დოლარის იარაღი გაიტანეს საქართველოდან.

**— მართალია, ცალკეული პიროვნებები არ დაასახელეთ, მაგრამ დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მთელ პოლიტიკურ სპექტრს უჩვენებდით წითელ ბარათს?**

— დიახ, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: დღეს ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელსაც ესმის, როგორი გადაუდებელი და რადიკალური რეფორმების ჩატარებაა საჭირო, საქართველო რომ გადარჩეს, როგორც სუვერენული სახელმწიფო. ძალა, რომელსაც აქვს ცოდნა იმისა, თუ რა სჭირდება საქართველოს, როგორი რეფორმები და როგორი პოლიტიკა, რათა თვითკმარი ქვეყანა გახდეს და მდგრადი განვითარების გზას დაადგეს, ასეთ კომპეტენტური, მცოდნე პოლიტიკურ ძალას ვერ ვხედავ და ეს ქართული ტრაგედიაა.

ესაუბრა შორენა ციქარაშვილი

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩინეთის ბაზარი რომ აითვისო, ბაზარი უნდა იცოდე, რამდენი ეკონომისტი გვყავს საქართველოში, რომლებმაც ჩინური ბაზარი იციან? რუსეთის ბაზარი მიმზიდველი იყო და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ამ ბაზარს ვიცნობდით; ვიცოდით, რაზე იყო მოთხოვნა და რომელ რეგიონს რა სჭირდებოდა.**

# ლოკომოტივი ჩაიხსნა და შემადგენლობა უკან დაგორდა

## მიუახლოვდა თუ არა საქართველო დუბაის, სინგაპურს ან შვეიცარიას და რატომ აღმოვჩნდით უფრო მძიმე სოციალურ პირობებში, ვიდრე ვიყავით?



**2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ ვრცელი ინტერვიუ მისცა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" (იხ. №34 18-24 სექტემბერი, 2013წ.), სადაც ზუსტად გათვალა საქართველოს დღევანდელი ყოფა.**
**აი, რა განაცხადა ორი წლის წინათ მან:**
**„თუ ივანიშვილი ტოვებს თავის პოსტს, ეს სხვადასხვანაირად შეიძლება შეფასდეს, მათ შორის, ძალიან ნეგატიურადაც, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მან უდიდესი ეროვნული საქმე გააკეთა — ხელისუფლებას მოაშორა და მარგინალად აქცია სამარცხვინო „ნაციონალური მოძრაობა". ივანიშვილის გარდა, ამ საქმეში ამერიკელები მხარს არავის დაუჭერდნენ.**

პარალელურად მან, რა თქმა უნდა, შეასრულა ამერიკელების დავალება — ითამაშა ლოკომოტივის როლი და ხელისუფლებაში მოიყვანა ის პოლიტიკური ჯგუფები, რომელთაც დამოუკიდებლად ხელისუფლებაში მოსვლის არანაირი შანსი არ ჰქონდათ. იქნებ მისი წასვლა უკეთესიც იყოს. ივანიშვილი ხელისუფლებაში რომ დარჩენილიყო, მოსახლეობა ქვეყანაში მდგომარეობის მალე უკეთესობისკენ შეცვლის იმედით კიდევ ორიოდე წელიწადი ილუზიებში, მოლოდინის რეჟიმში იქნებოდა და ბოლოს უფრო მეტად იმედგაცრუებული აღმოჩნდებოდა. საქმე ისაა, რომ, **პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ახალი ხელისუფლება უმნიშვნელოდ თუ გამოირჩევა წარმავალი რეჟიმისგან, ამიტომ უახლოეს წლებში არანაირი თვისობრივი პოზიტიური ცვლილებები არ იქნება, მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება, სოციალური, ეროვნებათაშორისი და რელიგიათაშორისი დაპირისპირება გაიზრდება.**

არ ვიცი, რა არის „ივანიშვილის პროგრამა", და ვფიქრობ, საქართველოში ეს არც არავინ იცის, თვით ივანიშვილის ჩათვლით. მეორე — **ივანიშვილი სერიოზულ შეცდომას უშვებს, თუკი სახელმწიფოს განიხილავს, როგორც კომერციულ ფირმას, კერძო კომპანიას, რომელშიც მას აქციათა თითქმის 100-პროცენტიანი პაკეტი აქვს და სადაც მინისტრები, დეპუტატები — მისი თანაშემწეები, კლერკები, ნება-სურვილის შემსრულებლები არიან. მისი განცხადებები იმის თაობაზე, რომ დატოვებს „საინტერესო" პრეზიდენტს და „საინტერესო" პრემიერს, ხოლო თვითონ გარედან გააკონტროლებს სიტუაციას, არის ბიზნესმენის მიდგომა ბიზნესსტრუქტურისადმი: შევქმნი კომპანიას, დავნიშნავ ჩემს ხალხს და გავაკონტროლებო, მაგრამ სახელმწიფო კერძო კომპანია არ არის".**

ალექსანდრე ჭაჭიამ ასევე ისაუბრა ინვესტიციებზე, **რომელთა მოზიდვასაც ახალი ხელისუფლება განუსაზღვრელი რაოდენობით გვპირდებოდა:**

„თუ საუბარია ინვესტიციებზე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მაშინ უნდა ითქვას, რომ საქართველოს შიგა ბაზარი ძალიან მცირეა იმისთვის, რათა მსხვილი ინვესტორები დააინტერესოს. მსხვილი ინვესტიციებისთვის საჭიროა გასაღების მასშტაბური ბაზარი, ქართული პროდუქციისთვის კი ასეთი ბაზარი მხოლოდ რუსეთი შეიძლება იყოს. უფრო მეტიც, ამ მსხვილი ინვესტიციების განხორციელებაც მხოლოდ რუსულ კაპიტალს შეუძლია, რომელიც თვითონვე უზრუნველყოფს პროდუქციის რუსეთის ბაზარზე გასაღებას. ქართულ წარმოებაში ფულს სხვა არავინ ჩადებს. რუსული კაპიტალის მოსაზიდად კი საჭიროა რუსეთთან სრულფასოვანი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების აღდგენა, რაც, ამჟამინდელი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური კურსის გათვალისწინებით, უბრალოდ, გამორიცხულია.

**გგონიათ, სააკაშვილს არ უნდოდა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების მოზიდვა? უნდოდა, მაგრამ არავინ დებდა ინვესტიციას. დასავლეთს არ სჭირდება საქართველოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ამდენად, ამ სფეროებში დასავლური კაპიტალი ინვესტიციას არ ჩადებს. სწორედ ამიტომ შევარდნაძეც და სააკაშვილიც დასავლეთისგან მხოლოდ კრედიტებს იღებდნენ, ანუ ფულს სესხულობდნენ. დღეს საქართველოს საგარეო ვალი, თუ არ ვცდები, 13 თუ 14 მილიარდი დოლარია.** საკუთარი ეკონომიკის არარსებობის პირობებში, ამ ვალის მხოლოდ პროცენტების გადასახდელად ახალ-ახალი კრედიტები უნდა ავიღოთ. ეს კაბალაა.

**შევარდნაძე გვპირდებოდა, რომ „მეორე შვეიცარიად" ვიქცეოდით, სააკაშვილი დაგვპირდა, რომ „მეორე სინგაპური" გავხდებოდით, ივანიშვილი კი „მეორე დუბაიდ" გადაქცევას გვპირდება. მოაზროვნე ადამიანისთვის გასაგები უნდა იყოს, რომ არც ერთი ამ ორიენტირთაგანი ჩვენთვის პრინციპულად ვერ იქნება რეალური მიზანი.**

და მადლობა ღმერთს, რომ ვერ იქნება. ამ ადამიანებმა ვერა და ვერ გაიგეს, რომ **ჩვენ გვსურს, ვიყოთ საქართველო და მხოლოდ საქართველო.** მაგრამ იმ ვითარებაში, როდესაც ჩვენს მმართველებს არ გააჩნიათ არც ქვეყნის აღორძინების რეალური პროგრამა, არც მკაფიო წარმოდგენა საქართველოს მომავალზე, ცდილობენ, საზოგადოებას თავს მოახვიონ ფანტასტიკური მიზნები და იმედოვნებენ, ამით ადამიანებს გონება დაუბინდონ. **გულწრფელად გითხრათ, არ მოველოდი, რომ ივანიშვილის „ქართული ოცნება" ასე სწრაფად გადაიქცეოდა მორიგ ფუყე „ქართულ ფანტაზიად",** — განაცხადა ალექსანდრე ჭაჭიამ.

შეგვიძლია, გადავხედოთ ინვესტიციების მოსაზიდად ივანიშვილისა და მისი ხელისუფლების განვლილ გზას.

*** პრემიერის რანგში ბიძინა ივანიშვილის პირველი ვიზიტი დავოსში, ეკონომიკურ ფორუმზე იყო. მთავრობის წევრები ამ შეხვედრებიდან დიდძალი ინვესტიციების შემოდინებას ელოდნენ, რადგან იქ, თურმე, ივანიშვილის მეგობარი ბევრი ბიზნესმენი იმყოფებოდა...**

***2014 წლის 23 სექტემბერს პრემიერი ღარიბაშვილი გაეროში ე.წ. კლიმატის სამიტს დაესწრო, სადაც 125-კაციანი დელეგაციით ჩავიდა. იმჟამინდელმა ეკონომიკის მინისტრმა, ახლა უკვე საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა: „მე აქ იმიტომ ვიმყოფები, რომ ურთიერთობები დავალაგო და ინვესტიციები მოვიზიდო. სამიტს 125 ქვეყნის წარმომადგენლობა სტუმრობს". კვირიკაშვილის განცხადებას კი პოლიტოლოგმა სოსო ცინცაძემ ასე უპასუხა: „ინვესტიეციების მოსაზიდად თუ იყო ჩასული ამხელა დელეგაცია, ამას ორ თვეში გეტყვით, როდესაც ჩემი მაცივრის კარს გამოვაღებ".**

*** ინვესტიციების მოსაზიდად გადადგმული ყველა ნაბიჯი არცთუ წარმატებული აღმოჩნდა. ახლა ველოდებით ჩინეთიდან დაბრუნებული პრემიერის სიხარული თუ გამართლდება, — საქართველომ მილიარდნახევრიანი ბაზარი იშოვაო.**

საქართველო, ვერც შვეიცარია გახდა, ვერც სინგაპური და ვერც დუბაი, მაგრამ აგვიხდა ალექსანდრე ჭაჭიას სიტყვები:

**„პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ახალი ხელისუფლება უმნიშვნელოდ თუ გამოირჩევა წარმავალი რეჟიმისგან, ამიტომ უახლოეს წლებში არანაირი თვისობრივი პოზიტიური ცვლილებები არ იქნება, მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება, სოციალური, ეროვნებათაშორისი და რელიგიათაშორისი დაპირისპირება გაიზრდება."**

რაც შეეხება ლოკომოტივის ფუნქციას, რომელიც ივანიშვილმა შეასრულა, ბუნებრივია, რომ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ეს კარგს არაფერს მოუტანდა. ყველამ ვიცით, ლოკომოტივს რომ ჩახსნი, მატარებელის შემადგენლობა გორდება...

**ახალი არჩევნები კარს მოგვადგა. მივუახლოვდით თუ არა ერთ საარჩევნო ოთხწლედში დუბაის და რა რაოდენობის ინვესტიციები შემოვიდა საქართველოში? რატომ აღმოვჩნდით უფრო მძიმე სოციალურ პირობებში, ვიდრე ვიყავით? — ამ და სხვა შეკითხვებზე პასუხის გაცემა რამდენიმე პოლიტოლოგს ვთოვეთ.**



**ვასილ ჭიჭინაძე, დიპლომატი:**

**— ბატონო ვასილ, ორი წლის წინათ ალექსანდრე ჭაჭიამ ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში ასეთი რამ თქვა: „არავინ იცის, თვითონ ივანიშვილმაც კი, რა პროგრამა აქვთ". არჩევნები ახლოვდება და, თუ გაიგეთ, რა პროგრამა ჰქონდა ხელისუფლებას?**

— ჩვენ ამაზე ბევრი გვისაუბრია. ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსვლას არ ელოდა, ამიტომ პროგრამაც არ ჰქონდა. ახლა კი შევარდნაძესავით ორმაგ თამაშს თამაშობს, თუმცა ამას აღარავინ ▶

მსოფლიო

# დონალდ ტრამპი: აშშ-ის სარეზერვო სისტემა ქმნის ბუშტს, რომელიც შეიძლება გასკდეს

**მილიარდერ დონალდ ტრამპს, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტის სავარძლისთვის რბოლაში მონაწილეობს, უყვარს დაბალი საპროცენტო განაკვეთები, რადგან ეს იაფი დაფინანსების საშუალებას იძლევა და მისი აქტივების ზრდას უზრუნველყოფს, მაგრამ ტრამპიც კი შეშფოთებულია აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკით.**

დონალდ ტრამპის აზრით, აშშ-ის სარეზერვო ფონდის პოლიტიკა, რომელიც საპროცენტო განაკვეთების თითქმის ნულოვანი დონის შენარჩუნებას ითვალისწინებს, წარმოქმნის ბუშტს, რომელიც შეიძლება გასკდეს.

„დარწმუნებული არ ვარ, რომ ნულოვანი საპროცენტო განაკვეთები ქვეყანას სიკეთეს მოუტანს. ჩვენ ვქმნით ბუშტს, რომელიც შეიძლება გასკდეს", — განუცხადა დონალდ ტრამპმა სააგენტო Bloomberg-ს.



საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ხელისუფლების ქმედება წარუმატებელი იყო, რადგან მიზანი არ იყო სწორად აღებული. ქუჩაში გადით და ყველა მოქალაქე გეტყვით, რომ ამ ხელისუფლების მოღვაწეობა წარუმატებელი იყო“.

## «იმ ინტერვიუში, რომელიც ალექსანდრე ჭაჭიამ თქვენ მოგცათ, რუსულ ბაზარზეც საუბრობს, მან თქვა — მსხვილი ინვესტიციების განხორციელება მხოლოდ რუსულ კაპიტალს შეუძლია, რომელიც თვითონვე უზრუნველყოფს პროდუქციის რუსეთის ბაზარზე გასაღებას. ქართულ წარმოებაში ფულს სხვა არავინ ჩადებს»

ჭამს. ხელისუფლებას გამოკვეთილი უნდა ჰქონდეს პოზიცია — ან იქით, ან აქეთ, ამათ ეს არ ჰქონდათ. გუნდიც ვერ ჩამოყალიბდა — რა სურდათ, და ეს წლების განმავლობაშიც ვერ მოახერხეს.

დღეს ბევრს ვსაუბრობთ, რომ მოგვატყუეს, გადაგვაგდეს... კი არ მოგვატყუეს, მზად არ იყვნენ, ვერ შეძლეს. ასე რომ, საშამ მართალი თქვა და ასეც მოხდა.

**— ივანიშვილი გვპირდებოდა, რომ მეორე დუბაის ააშენებდა, რაც ასევე აბსურდად ეჩვენებოდა ყველას...**

— დუბაის არა... დუბაის კი არა, ბაქოს ვერ მივუახლოვდით. ალბათ, უნდოდა... **გიჟი უნდა იყო, ქვეყნისთვის სიკეთე არ გინდოდეს, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მეორე არჩევნებიც ხომ მოდის, ამისთვის მაინც უნდა გააკეთო რამე, მაგრამ ამათ ვერ შეძლეს.** როდესაც ხელმძღვანელი ხარ, გუნდი უნდა შემოიკრიბო, რაღაც რომ გააკეთო. კარგი გუნდითაც კი სამ წელიწადში დუბაი არ აშენდებოდა, მაგრამ რაღაც მაინც შეიცვლებოდა. დუბაი 20-30 წელი შენდებოდა, მაგრამ სამ წელიწადში უკვე ეტყობოდა, საითაც მიდიოდა.

**— ალექსანდრე ჭაჭიამ გათვალა ისიც, რომ 2012 წლის არჩევნებიდან 1-2 წელიწადში საქართველოში უფრო მძიმე სოციალური ფონი იქნებოდა, ვიდრე აქამდე ყოფილა. თქვენ თუ ელოდით ვითარებას, რომელიც დღეს გვაქვს? ელოდით, რომ ინვესტიციები არ შემოვიდოდა და ქვეყანა უკან წავიდოდა?**

— ამას არ ველოდი. მაგრამ, თუ დღეს ყველაფერი ასე გაიყინებოდა, ნამდვილად არ მეგონა. ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები მართლაც უკიდურესად გალატაკებულები არიან, წელიწადში შიმშილისგან 300 ბავშვი კვდება, ამის მოლოდინი როგორ უნდა მქონოდა?

**ინვესტიციები მაშინ შემოვა, როდესაც საინვესტიციო გარემოს შექმნი. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, პატარა ბაზრით, ამიტომ ინვესტორებს ინტერესი სხვა მხრივ უნდა გაუჩინო.** კანონები უნდა გქონდეს ისეთი, რომ დააინტერესოს. ასე მოიქცა სინგაპური. ქვეყანას უნდა ჰქონდეს კანონი, რომელიც ინვესტორს გადასახადებისგან გაათავისუფლებს. ააშენოს, რაც უნდა, ოღონდ შენი ქვეყნის მოქალაქეები დაასაქმოს. წილში არ უნდა ჩაუჯდე. ჩინეთმა და თურქეთმა კარი გახსნეს, შემოიყვანეს ინვესტორები და აშენდნენ. კარს თუ არ გახსნი და ხელსაყრელ პირობებს არ შექმნი, არავინ დაინტერესდება შენით. ხელისუფლებამ ეს არ გააკეთა, თუმცა, სიმართლე გითხრათ, მეგონა, გააკეთებდნენ.

**ლარი გაუფასურდა და ამბობენ, რუსულ ბაზარზე ვართ ჩამოკიდებულიო, ღვინო აღარ იყიდებაო. იმ რუსეთთან სწორი პოლიტიკა რომ ეწარმოებინათ, სწორ რელსებზე დამდგარიყვნენ, როგორც კომუნისტების დროს ყიდულობდნენ რუსები ღვინოს, ისევ ისე იყიდიდნენ. რუსეთი ხედავს, რომ ნატოს ელაქუცები და მას გინდა, ღვინო აყიდინო. სწორედ ამაზე ვსაუბრობდი, როდესაც ორმაგი თამაში ვახსენე. იმ ინტერვიუში, რომელიც ჭაჭიამ თქვენ მოგცათ, რუსულ ბაზარზეც საუბრობს, მან თქვა — მსხვილი ინვესტიციების განხორციელებაც მხოლოდ რუსულ კაპიტალს შეუძლია, რომელიც თვითონვე უზრუნველყოფს პროდუქციის რუსეთის ბაზარზე გასაღებას. ქართულ წარმოებაში ფულს სხვა არავინ ჩადებსო.**

**— ლოკომოტივის ფუნქცია შეასრულა ივანიშვილმაო...**

— ლოკომოტივი ჩაიხსნა და შემადგენლობა უკან დაგორდა. **მთავრობა უკან-უკან მიდის, კისრისტეხით დაგორდა.**



**გულბაათ რცხილაძე, ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი:**

— **დუბაის ნამდვილად ვერ მივუახლოვდით. ჩვენ ხომ ვიცოდით, რომ ყველა განცხადება წინასაარჩევნო პიარი იყო. ხალხს ბრჭყვიალა დაპირებები სჭირდება, როგორც ჩანს, ხალხის გასაბრაზებლად „ცოცხები“ საკმარისი არ არის** და დაპირებები აუცილებელია. დუბაის ამბავი, არც მაშინ იყო რეალური და დღეს, შესაბამისად, იმედგაცრუებულიც არ ვარ.

**— რატომ არ შემოვიდა ინვესტიციები?**

— მძიმე გეოპოლიტიკური მდგომარეობა გვაქვს. რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების არ არსებობა ბევრ დარტყმას გვაყენებს.

მართალია, **მთავრობა ცდილობდა, ინვესტიციები შემოსულიყო, მაგრამ ვერ გათვალეს, რომ პოლიტიკური ვითარების გამო, აქ ინვესტიციების შემოდინება მარტივი პროცესი არ არის. თუ რუსეთთან ურთიერთობა არ მოგვარდება, აქ ინვესტიციას არავინ შემოიტანს.**

— ალექსანდრე ჭაჭიამ ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში **განაცხადა, რომ საქართველოში ფუნდამენტური ცვლილება არ განხორციელებულა, ამიტომ სოციალური ფონი, შესაძლებელია, გაუარესდეს კიდეცო.**

— მძიმე სოციალური ფონი არ მიკვირს, თუმცა მინდა, გითხრათ, რომ უკეთესს ველოდი, ეს შესაძლებელი იყო. **ვეთანხმები ალექსანდრე ჭაჭიას, ფუნდამენტურად არაფერი შეცვლილა, კადრები არ შეიცვალა, შავი ფული ისევ არსებობს. ნებისმიერი მოქალაქე გეტყვით, რომ ნაციონალები ისევ ხელისუფლებაში არიან. ის, რაც ხდება, ამერიკის მიერ არის თავსმოხვეული.**

**— მთავრობა ახლა ჩინურ ინვესტიციებზე საუბრობს...**

— **ჩინეთში ჩვენ რომ არ წავიდეთ, თვითონ ჩამოვა აქ და მნიშვნელოვან ეკონომიკურ გავლენასაც მოახდენს. მთავარია, როგორ იმოქმედებს საქართველოს ხელისუფლება და როგორ შეუხამებს ექსპანსიონერ ჩინეთს ჩვენი ქვეყნის ინტერესებს.** ჩინეთის თვითმიზანი არ არის ჩვენი კოლონიზაცია, ამიტომ ჰარმონიული ურთიერთობა შესაძლებელია, აუცილებელიც კი არის იმისთვის, რომ დასავლეთის დომინირება არ იყოს.

მართალია, რუსეთის ბაზრის ათვისება უკეთესი იქნებოდა, მაგრამ აქაც ბევრი რამ არის შესასწავლი, ჩვენ ამინდს ვერ შევქმნით. ჩინეთის ბაზარზე ქართული ღვინის გაყიდვა აბსურდია, რუსეთის ბაზარი უკეთესია.

**— სწორი იყო ივანიშვილის გადაწყვეტილება ხელისუფლებიდან წასვლის შესახებ?**

— შესაძლებელია, პიარის თვალსაზრისით კარგი იყო, თუმცა მოლოდინი მქონდა, რომ ქართული ორგანიზაციები გაძლიერდებოდა, რასაც გვპირდებოდა, მაგრამ დღეს ამასაც ვერ ვხედავთ. უცხოეთიდან მართული ორგანიზაციების ჩამნაცვლებელი არ ჩანს.



**სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:**

**— შევერდნაძე შვეიცარიის აშენებას გვპირდებოდა, სააკაშვილი — სინგაპურის, ივანიშვილი კი — დუბაის. მივუახლოვდით დუბაის?**

— ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყანასთან მიახლოება საქართველოსთვის „ბროლის ოცნება“ იქნებოდა. 20-30 წლის წინათ დუბაის არსებობა საქართველოში მხოლოდ გეოგრაფებმა იცოდნენ. ქვეყანა, რომელსაც არ აქვს ეკონომიკა, არ აქვს ნავთობი, წიაღისეული და თითქმის მთლიანად არის დამოკიდებული გარე სამყაროზე, დუბაიზე ოცნებასაც ვერ უნდა ბედავდეს. **ხელისუფლების ქმედება წარუმატებელი იყო, რადგან მიზანი არ იყო სწორად აღებული. ქუჩაში გადით და ყველა მოქალაქე გეტყვით, რომ ამ ხელისუფლების მოღვაწეობა წარუმატებელი იყო.**

„ოცნებამ“ დაგეგმილი ცვლილებები ვერ განახორციელა, მათთვის ეს რთული აღმოჩნდა. ივანიშვილს გარემოცვა არ უვარგოდა. ის დააჯერეს, რომ გაზის ფასს შეამცირებდა, ნავთობის, ელექტროენერგიის, არადა, ყველამ ხომ ვიცით, რომ საქართველოს არც ერთი არ აქვს, ვერ მოიპოვებს და არც გაიაფდებოდა. ექსპორტირებული ენერგომატარებლების ფასის შემცირება ადვილი არ არის.

**— მთავრობა ინვესტიციების მოზიდვასაც გვპირდებოდა. რამდენიმე წლის წინათ მთავრობის მისამართით განაცხადეთ, ინვესტიციების შემოსვლას მაშინ ვიგრძნობ, როდესაც ჩემი მაცივარი გაივსებაო. გაივსო თქვენი მაცივარი?**

— არა, მაცივარი არ გავსებულა. **ინვესტიციების შემოსვლა ქვეყანაში დემოკრატიის დონეზე არ არის დამოკიდებული, რასაც ჩვენ გვეუბნებიან, რადგან ჩინეთისა და თურქეთისაც სინგაპურის მაგალითზე ეს უკვე დამტკიცდა. იქ დემოკრატია არასოდეს ყოფილა, მაგრამ ინვესტიციების მოზიდვით პირველ ადგილზეა.** ინვესტორს ეს არ აინტერესებს, მთავარია, მოგება იყოს. როგორც ჩანს, **ინვესტორები საქართველოში მოგების პერსპექტივას ვერ ხედავენ, ვერც შიგა პოლიტიკურ სტაბილურობას, რაც ასევე მნიშვნელოვანია.**

გადახედეთ ქართველი პოლიტიკოსების წარსულს. ყველა მათგანის საჯარო განცხადება ისე მოქმედებდა პოტენციურ ინვესტორზე, როგორც ხარზე წითელი ნაჭრის აფრიალება.

**— თუ ყველაფერი ასე იყო და ძირეული ცვლილებები მოსალოდნელი არ ყოფილა, მაშ, ივანიშვილი გვატყუებდა? სოციალური მდგომარეობა ხომ უფრო გაუარესდა?**

— ეკონომიკის სფეროში ყველაზე დიდი დეფიციტია სპეციალისტების მხრივ. ბევრი ცოდვა ადევთ ვითომ ეკონომიკის ექსპერტებს — უმუშევრები, როგორც თაფლს ბუზი, ისე მიესივნენ ივანიშვილს, რამაც ამ მდგომარეობამდე მიგვიყვანა.

**ივანიშვილი მოვიდა, გაიმარჯვა, წავიდა... წასვლა ხელისუფლებიდან ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, არ შეიძლება, ეს არ შეიძლება უფრო ძლიერ ქვეყნებშიც.**

**ივანიშვილი შეცდა პრეზიდენტშიც, მინისტრებშიც, დედაქალაქის მერშიც და დაპირებებშიც.**

**— ჩინეთის მილიარდნახევრიანი ბაზრის ათვისებას გვპირდება პრემიერი...**

— **ჩინეთის ბაზარი რომ აითვისო, ბაზარი უნდა იცოდე, რამდენი ეკონომისტი გვყავს საქართველოში, რომლებმაც ჩინური ბაზარი იციან?**

რუსეთის ბაზარი მიმზიდველი იყო და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ამ ბაზარს ვიცნობდით. ვიცოდით, რაზე იყო მოთხოვნა და რომელ რეგიონს რა სჭირდებოდა.

მომზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

## ეგვიპტის სპეცრაზმს ტურისტები ტერორისტებში აერია — დაღუპულია 12 ადამიანი

**ქვეყნის აღმოსავლეთში ტერორისტების დევნისას პოლიცია და ეგვიპტის არმიის მებრძოლები უდაბნოში ხალხით სავსე რამდენიმე ავტომობილს გადააწყდნენ. ეგვიპტელ ძალოვნებს ისინი ტერორისტები ეგონათ და ცეცხლი გახსნეს — სპეცრაზმელებს ტურისტები ტერორისტებში აერიათ.**

როგორც გაირკვა, დაღუპულები მექსიკის მოქალაქეები არიან, რომლებიც ეგვიპტეში ქვეყნის დასათვალიერებლად იყვნენ ჩასულნი.



## «ბიზნესმენ ბესიკ ხარძიანის მკვლელობაში ეჭვმიტანილის ვინაობა ცნობილია»

**„გამოძიებისთვის ბიზნესმენ ბესიკ ხარძიანის მკვლელობაში ეჭვმიტანილის ვინაობა ცნობილია, საქმე წლის ბოლომდე გაიხსნება“, — განაცხადა მოკლული ბიზნესმენის, ბესიკ ხარძიანის, ოჯახის ადვოკატმა მალხაზ სალაყაიამ.**

„ეჭვმიტანილის ვინაობა ცნობილია და მისი დაკავების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. რაც შეეხება მის წარმომავლობას, მას შეიძლება არ ჰქონდეს ქართული გვარი, მაგრამ კავშირში იყოს საქართველოს მოქალაქეებთან. გამოძიებას აქვს ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ ეჭვმიტანილის გადაადგილების შესახებ ინფორმაცია, რომელიც საზოგადოებისთვის ოფიციალურად გაცხადდება. საქმის მიმდინარეობიდან გამომდინარე, შემიძლია, გითხრათ, რომ საქმე წლის ბოლომდე გაიხსნება“, — აღნიშნა სალაყაიამ.

მოკლედ

## სააკაშვილი: აფრიკას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ უკრაინა გაბონს დაემსგავსა

**ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი უკმაყოფილოა უკრაინის განვითარების ტემპებით. მას მიუღებლად მიაჩნია ის, რომ უკრაინის მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობა 184-დან 115 მილიარდ დოლარამდე შემცირდა.**

სააკაშვილის შეფასებით, თუ უკრაინის განვითარების ტემპი არ გაიზარდა, ეკონომიკის იმ დონემდე მიყვანას, როგორიც ის პრეზიდენტ იანუკოვიჩის დროს იყო, 15 წელი დასჭირდება.

„აფრიკას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ უკრაინა გაბონს დაემსგავსა, ჩრდილოვანი ეკონომიკა 32-დან 47 პროცენტამდე გაიზარდა და ეს წელიწად-ნახევარში მოახერხა არსებულმა ხელისუფლებამ“, — ციტირებს სააკაშვილს TACC-ი. სააკაშვილის თქმით, ქვეყანაში 53 ბანკი დაიხურა და ამით უკრაინამ 18,5 მილიარდი დოლარი იზარალა.



სხვა საქართველო სად არის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „მას შემდეგ, რაც გარე ძალების წაქეზებითა და „მეხუთე კოლონის“ ხელშეწყობით ეროვნული ხელისუფლება დაამხეს, საქართველოს დამოუკიდებლობა ილუზიად იქცა!“

**მოსახლეობის დიდი ნაწილის მხარდაჭერით საქართველომ 24 წლის წინათ ნანინანატრი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, თუმცა წლების შემდეგ მაინც აქტუალურია კითხვა — არის კი დღეს ქვეყანა ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და თავისუფალი გარე ძალების ჩარევისგან? რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდა საქართველო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ და როგორ განვლო თავისუფლების 24 წელი 1990-იანი წლებიდან დღემდე? — ამ საკითხებსა და პრობლემების გადაჭრის გზებზე საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ჩვენს რუბრიკაში ისაუბრებენ. დღეს რუბრიკის სტუმარია აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე.**



### ელიზბარ ჯაველიძე:

# საქართველოს დამოუკიდებლობა ილუზიად იქცა

**— ბატონო ელიზბარ, თითქმის მეოთხედი საუკუნე გავიდა, რაც ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ გამართლდა მოსახლეობის მოლოდინი? არის კი დღეს საქართველო სუვერენული სახელმწიფო?**

— მახსოვს ის წადილი და აღმაფრენა, რომელიც საქართველოში 25 წლის წინათ იყო, როდესაც ზვიად გამსახურდიას თავკაცობით საყოველთაო რეფერენდუმი ჩატარდა და ქვეყნის დამოუკიდებლობას მოსახლეობის 87%-მა დაუჭირა მხარი. თუმცა ეს იყო პერიოდი, როდესაც უკვე იწყებოდა პოლიტიკური გლობალიზაცია რომლის მესვეურებსაც არ სურდათ საქართველოს დამოუკიდებლობა. ამის შესახებ ზვიად გამსახურდიაც წერდა თავის დროზე. **მას შემდეგ, რაც გარე ძალების წაქეზებითა და „მეხუთე კოლონის“ ხელშეწყობით ეროვნული ხელისუფლება დაამხეს, საქართველოს დამოუკიდებლობა ილუზიად იქცა,** რადგან შევარდნაძისა თუ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ჩვენ დღითი დღე ვკარგავდით დამოუკიდებლობას.

სააკაშვილისა და მისი გუნდის პოლიტიკური მოღვაწეობა მიმართული იყო მხოლოდ ერთი მიზნისკენ — **როგორმე მოესპოთ და გაეჩანაგებინათ ყველაფერი ქართული.** შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა „ქართული ოცნება“, რომელსაც ხალხი დიდი იმედით შეხვდა, მაგრამ, სამწუხაროდ, „ქართული ოცნება“ ვერ აღმოჩნდა ქართველი ხალხის ოცნება, რადგან გარე ძალებმა ახალ ხელისუფლებას „ნაციონალებთან“ კოჰაბიტაცია აიძულეს — სურდათ, „ნაციონალები“ კვლავ დარჩენილიყვნენ პოლიტიკაში, უფრო მეტიც — მეორე პოლიტიკურ ძალადაც აღიარეს. **იმის მაგივრად ციხეში ეყარონ, ჭკუას გვარიგებენ.** დღეს ეს მეორე ძალა ცდილობს, სახელი გაუტეხოს პირველ ძალას და ამისთვის ყოველგვარ სიბინძურეს კადრულობს. **ამას კარგად ხედავდა და ხედავს ჩვენი მეგობარი ამერიკის შეერთებული შტატები, მაგრამ, ამის მიუხედავად, პირსისხლიანი დესპოტი მიხეილ სააკაშვილი, რომლის ხელისუფლების დროსაც დემოკრატიის ნასახი არ არსებობდა ქვეყანაში, „დემოკრატიის შუქურად“ გამოაცხადეს. დღესაც სწორედ ამერიკელთა ხელშეწყობით განაგრძობს საქმიანობას სააკაშვილი უკრაინაში.**

ის, რაც ხდება დოლარის კურსის მიმართ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის — **გიორგი ქადაგიძის** ბრალია და ის ციხეში უნდა წავიდეს. საქართველოს პრეზიდენტს ვეტო კი არ უნდა დაედო ეროვნული ბანკის შესახებ კანონპროექტისთვის, არამედ ტაშით უნდა შეხვედროდა. დაავიწყდა, რომ ივანიშვილის ხათრით აირჩია ხალხმა და ახლა დამოუკიდებელი პრეზიდენტი გამომივიდა?!..

ასე რომ, **საქართველო არათუ დამოუკიდებელი ქვეყანა, არამედ, დამოუკიდებლობის მხრივ, ამერიკის რომელიმე შტატის დონეზეც კი არ არის. საქართველო ამერიკის პროვინციაა. ამერიკაში შტატების გუბერნატორებს შეუძლიათ, პრეზიდენტ ობამას ყველა სურვილი არ შეასრულონ, საქართველოში კი აშშ-ის უმდაბლესი რანგის მოხელე ჩვენი ქვეყნის ბედს წყვეტს.**

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს საქმიანობა საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისა, რომლებიც დასავლეთიდან ფინანსდებიან. ისინი არიან მოღალატეები, რადგან არ აინტერესებთ ქართველი ხალხი. სამწუხაროდ, ამ ხელისუფლების წარმომადგენელთა უმრავლესობა თუ ოპოზიციონერები, რესპუბლიკელები, ალასანიას გუნდი თუ თავისმომჭრელი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი — ყველანი „ნაცებთან“ ერთად ცდილობენ, შექმნან ახალი პოლიტიკური ვითარება, რომელშიც ისინი კვლავ შეინარჩუნებენ ძალაუფლებას, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწევენ, ვერც „უკრაინულ მაიდანს“ მოაწყობენ საქართველოში.

**— ამბობთ, რომ ამ პოლიტიკოსებს გარე ძალების დიდი მხარდაჭერა და დაფინანსება აქვთ და რატომ ვერ მიაღწევენ მიზანს, რა შეუშლით ხელს?**

— ისინი ვერ მიაღწევენ წარმატებას, თუ ქართველი ხალხი გამოფხიზლდება და გამოვა ინერტული მდგომარეობიდან. ხშირად მითქვამს და გავიმეორებ: **ქართველ ხალხს ტვინი გამოურეცხეს!** ბრიტანეთსა და აშშ-ში 60-მდე ინსტიტუტი მუშაობს ადამიანებისთვის ტვინის გამორეცხვის საკითხებზე. ადამიანები მისშტერებიან „რუსთავი 2“-ს და არ სურთ, რეალობას თვალი გაუსწორონ.

არავითარი დამოუკიდებლობა საქართველოს დღეს არ აქვს. ვინაიდან **ჩვენს ქვეყანაში ამერიკელები საელჩოდან მართავენ ყველაფერს, საქართველოს ბედს ისინი წყვეტენ. საბჭოთა კავშირის დროსაც კი არ ყოფილა ასე. მაშინაც კი უფრო მეტი თავისუფლება გვქონდა. ხელისუფლების წევრების კანდიდატურებს მაინც ჩვენ წარვადგენდით და შემდეგ ისინი ამტკიცებდნენ. დღეს ამის შანსიც აღარ გვაქვს.**

**«ჩვენს ქვეყანაში ამერიკელები საელჩოდან მართავენ ყველაფერს, საქართველოს ბედს ისინი წყვეტენ. საბჭოთა კავშირის დროსაც კი არ ყოფილა ასე, მაშინაც კი უფრო მეტი თავისუფლება გვქონდა. ხელისუფლების წევრების კანდიდატურებს მაინც ჩვენ წარვადგენდით და შემდეგ ისინი ამტკიცებდნენ. დღეს ამის შანსიც აღარ გვაქვს»**

**— მაგრამ, ბატონო ელიზბარ, დღეს ხომ ქვეყანაში სიტყვის მეტი თავისუფლებაა?**

— რომელი სიტყვის თავისუფლებაზე მელაპარაკებით?! **გაყიდული და ქვეყნის მტერი ტელეკომპანია „რუსთავი 2“ რომ ლაპარაკობს, რაც უნდა იმას — ეს არის თავისუფლება? ან „მაესტრო“, ან „კავკასია“, ან „იმედი“? — ესენი არიან ტელევიზიები, რომლებიც ქართულ ცნობიერებას რყვნიან და ფულზე არიან გაყიდულები? ან საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც ხალხის ფულით ფინანსდება, თავისუფალი ტელევიზიაა?** ვაპირებ ხელმოწერების შეგროვებას და მოვითხოვ, ჩვენი ფულით ნუ აფინანსებენ საზოგადოებრივ მაუწყებელს და ყველაფერი ჩამოართვან, რაც სახელმწიფოს ეკუთვნის. ვინაიდან, ბოდიში და, ეს არის გარყვნილებისა და პედერასტების ბუდე. არა ე.წ ლგბტ-ს, არამედ პედერასტების ბუდე! დღეს მხოლოდ ორი-სამი ტელეკომპანია — „დრო“, „ობიექტივი“, „ქართული არხი“ — ცდილობს სიმართლის თქმას.

ერთი ამბავი ატეხეს უწიგნური, ქაჯი ქალების გადაცემების დახურვის გამო. არადა, **ხოფერიასა** და **გრიგოლიას** შოუები თავიდანვე დასახური იყო.

**— ეს შოუები რეიტინგული იყო და ხალხი უყურებდა... გადაცემის ასე მოულოდნელი დახურვა, ბუნებრივია, ეჭვს გამოიწვევდა საზოგადობაში...**

— ვინ უყურებდა? იმიტომაცაა ეს საზოგადოება ტვინგამორეცხილი. ნორმალურმა ადამიანმა შეიძლება ამ გადაცემებს ან „რუსთავი 2“-ს უყუროს?

**— იმ სავალალო ვითარების ფონზე, რომელზეც თქვენ ისაუბრეთ, აქვს ქვეყანას შანსი, იქცეს ჭეშმარიტად სუვერენულ სახელმწიფოდ?**

— ეს ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. **შეხედეთ, რა დღეშია განათლების სისტემა. ვიდრე იქიდან გიგაურს, შერვაშიძესა და სოროსის სხვა მატლებს არ გამოყრიან და მათ განათლების მინისტრსაც არ მიაყოლებენ, საქართველოს არაფერი ეშველება. ლევან ვასაძისნაირი კაცი უნდა იყოს განათლების მინისტრი. ამ არასამთავრობოების წარმომადგენლები, ვიღაც უმეცრები, ერთი წიგნი რომ არ წაუკითხავთ, სხედან ქალბატონ თოჯინასთან, განათლების დღევანდელ მინისტრ სანიკიძესთან და ისიც მათი ნებართვის გარეშე არაფერს წყვეტს. კულტურის მინისტრი ღირსეული ქართველი, ქართული კულტურის დაცვას და აღორძინებას რომ შეეცდება, ისეთი კაცი უნდა იყოს და არა — ჯაზმენი.** როდესაც ხელისუფლება ასეთი იქნება, ხალხიც მხარს დაუჭერს და ვერც გარე ძალები დაგვაკლებენ ვერაფერს. თორემ კარგად მესმის, რომ არსებობენ გარკვეული ძალები, რომლებსაც ვერ დავუსხლტებით კლანჭებიდან. ჩვენ კი არა, ხომ ხედავთ, ევროპაში რა ხდება? უნდათ, ევროპა საბოლოოდ გაასწორონ მიწასთან. **ამერიკას აშინებს სწორედ ხალხის აღშფოთება და, როგორც კი დაინახავს ხალხის აღშფოთებას, უკან დაიხევს. არ შეიძლება, ერის ინტერესები საკუთარ კეთილდღეობაზე გავყიდოთ. ქართველი ხალხი უნდა გამოვიდეს ამ ყველაფრის წინააღმდეგ. ეკლესია უნდა ამოუდგეს ხალხს მხარში.**

ამ ხელისუფლებაში სულ რამდენიმე კაცია, რომლებსაც სამშობლო უყვართ. მაგალითად, **ირაკლი ღარიბაშვილი**, მას ქართული ინტერესები ამოძრავებს და ამიტომ უტევენ ყველა მხრიდან. თუნდაც რაც **თინა ხიდაშელმა** გააკეთა, კაბელების საქმეში, ეს დიდი დანაშაულია — ჯერ სასამართლო არ დასრულებულა და ხალხი თანამდებობებზე აღადგინა. **იურისტია და ასეთი რაღაცები არ უნდა ეშლებოდეს, მაგრამ ეს იმიტომ გააკეთა, რომ ივანიშვილისა და ღარიბაშვილის წინააღმდეგ წასულიყო.** ხიდაშელს ჰგონია, ერთი რომ დაიძახოს, მთელი ჯარი გაჰყვება და მოსკოვამდე ჩავა, მაგრამ საკმარისია, რუსების ერთი ტანკი გამოჩნდეს, უკან მოუხედავად გაიქცევა. ასევე, პატივს ვცემ **ვახტანგ გომელაურსა** და **ზურაბ გამეზარდაშვილს**, სწორედ ასეთი ადამიანები უნდა იყვნენ ხელისუფლებაში.

ქართველი კაცი შიმშილსაც აიტანს, წყურვილსაც, ოღონდ ღირსებას ნუ ჩაუკლავ. როგორც კი დაინახავს, რომ ღირსებას უკლავენ, მაშინვე ფეხზე დადგება და გამოფხიზლდება. ფხიზლად უნდა ვიყოთ!..



**«საქართველო პროვინციაა. ამერიკაში შტატების გუბერნატორებს შეუძლიათ, პრეზიდენტ ობამას ყველა სურვილი არ შეასრულონ, საქართველოში კი აშშ-ის უმდაბლესი რანგის მოხელე ჩვენი ქვეყნის ბედს წყვეტს»**

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენი ცხოვრება ისე წავიდა, სულ გავიძახით — ოღონდ ეს არ იყოს და, ვინც გინდა, ის მოვიდესო. ჰოდა, ეს „ვინც გინდა“ მარგველაშვილი აღმოჩნდა ივანიშვილის მითითებით“.**

# მიხეილ ბაბუნაშვილი: მე დებილი პრეზიდენტი მყავს

**„დიაგნოზი ერთმნიშვნელოვანია — გონებრივი სისუსტე, მსუბუქი დებილობის ფორმით, ანუ მდგომარეობა, როდესაც ადამიანის ფსიქიკური განვითარება ჩერდება გარკვეულ, ადრეულ ეტაპზე და არ აღწევს ზრდასრულ ფორმამდე. ზრდასრული ადამიანის სუსტი, ადრეული ასაკისთვის შეუფერებელი აზროვნება — აი, საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა“, — ეს სიტყვები საქართველოს მე-4 პრეზიდენტს — გიორგი მარგველაშვილს ეკუთვნის. „მარგველაშვილი დაავადებულია დებილიზმის მძიმე ფორმით. მისი გონებრივი განვითარება ვერ გასცდა სააკაშვილის, ბოკერიას, თარგამაძის, ბაქრაძის, წიკლაურის, ჩიორების, ხათუნებისა და მსგავსი დებილების გონებრივი განვითარების დონეს“, — ამ სიტყვების ავტორი კი სრულიად საქართველოს მამულიშვილთა კავშირ „გვარიშვილობის“ თავმჯდომარე მიხეილ ბაბუნაშვილია, რომელიც რედაქციაში გვეწვია.**



**— ბატონო მიხეილ, საქართველოს პრეზიდენტ მარგველაშვილს თავისი მოსაზრება აქვს ქართველ ხალხზე. თქვენ რამ გაგაბრაზათ ახლა, ამდენი ხნის შედეგ? თანაც ის ერს უწოდებს დებილს, თქვენ კი ქვეყნის პრეზიდენტს კადრებთ, რომ დებილია...**

— ჯერ ერთი, **დებილების პრეზიდენტი დებილია, დებილი დებილს ირჩევს.** და მეორეც: მარგველაშვილი გამუდმებით გვიმეორებს, რომ ლეგიტიმურია და ქართველი ხალხის მიერ არის არჩეული, თუ არა დებილიზმის მძიმე ფორმასა და გონებრივ სისუსტეს, აბა, რას მივაწეროთ ეს ყველაფერი?! როგორი დებილი უნდა იყო, რომ გჯეროდეს, მსგავსი სისულელის?!

ის, რომ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი გონებრივად სუსტია, მხოლოდ მისი და ჩვენი ბრალი არ არის, **ეს დებილი ბიძინა ივანიშვილმა მოიყვანა პრეზიდენტად.** სწორედ ივანიშვილის მოტყუება და გაცურება შეძლო თავისი ვითომ კაიკაცობით გიორგი მარგველაშვილმა.

**— როგორ მოატყუა ამდენი მილიარდის შემგროვებელი კაცი მარგველაშვილმა, თუ მართლა გონებასუსტად მიიჩნევთ?**

— არ უნდა მოტყუებულიყო, მაგრამ ივანიშვილი ყველაზე დიდი მატყუარა ყოფილა, ალბათ, ის 7 თუ 10 მილიარდიც ასე იშოვა.

**გადავხედოთ ივანიშვილის ტყუილებს.**

**პირველი** — გვითხრა, რომ რუსეთთან ურთიერთობას აღადგენდა, **მეორე** — განაცხადა სააკაშვილს მოგაშორებთო. რუსეთთან ურთიერთობაში არაფერი შეცვალა. ამ თემაზე ჩემს მოკრძალებულ მოსაზრებას მოგახსენებთ — **რუსეთი ადამიანად მთვლიდა, ხოლო ამერიკისთვის ტარაკანიც არ ვარ. რაც შეეხება სააკაშვილის გაგდებას, აქაც მოტყუებულები ვართ — კოაბიტაცია შემოგვაპარა და კვლავ ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები დაგვასვა თავზე.**

მარგველაშვილი სააკაშვილზე ნაკლები არ არის. გადახედეთ მის გარემოცვას ან იმას, როგორ იბრძვის არსებობისთვის, როგორ უნდა, რომ რაღაცას წარმოადგენდეს და მისი ახირებების გამო, ამ გაღატაკებულ ქვეყანას რამდენი ოფიციალური დელეგაციის გამგზავრება უწევს უცხოეთში.

ამ ხელისუფლებამ კოაბიტაციით ერი გაათახსირა. ვიცი, ამერიკამ აიძულა ამის გაკეთება, მაგრამ აზერბაიჯანის საზღვარზე „ნაციონალები“ მილიონობით დოლარით ხელში რომ დაიჭირეს, რატომ ჩაფარცხეს და მიაფუჩეჩეს? იმ ფულით ხომ შემდეგ არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა? თანაც ხალხის ნების წინააღმდეგ! მათ კახი კალაძემ და მთელმა მთავრობამ დააფარა ხელი, ვიცეპრემიერმა, თანაც — იმ ძალას, რომელსაც საქართველოში ამომრჩევლის ერთი პროცენტიც არ ენდობა.

**იცით, საქართველოს ინტელიგენცია რატომ აღარ ჰყავს?**

**ინტელიგენციის წარმომადგენლებს, მათ შორის, საუკეთესოებს, ივანიშვილი ფულს უხდის და ისინიც დუმან. ივანიშვილმა საღი აზრი ჩაახშო.**

**— სააკაშვილის მმართველობის პერიოდში იყო ინტელიგენცია?**

**— სააკაშვილის პერიოდშიც ივანიშვილი უხდიდა ფულს ინტელიგენციას, იმხანად ივანიშვილი და სააკაშვილი მეგობრობდნენ, 80 ობიექტი მიშამ ივანიშვილის ფულით ააშენა, ოღონდ თავისი სახელით.** მეგონა, ივანიშვილი პატრიოტი იყო, ახლა იმავეს ვერ ვიტყვი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ხელისუფლება დატოვა. ხალხმა ის აირჩია და სად წავიდა? რა, ქვეყანა მამამისის დუქანია?

**— თქვენ ძალიან ცუდად მოიხსენიებთ პრეზიდენტის მრჩეველ კახა კოჟორიძესაც. რა დააშავა?**

— კოჟორიძე წლების განმავლობაში იყო ასო (ასო — არასამთავრობო ორგანიზაცია — ე. ნ.) — ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, მაგრამ ხმა არასოდეს ამოუღია იმ დარღვევებზე, რომლებიც იმხანად ხდებოდა. კახა კოჟორიძე ახლა გახდა ქვეყნის დამცველი და სამართლიანი პიროვნება? **სიმართლე გითხრათ, დღეს სააკაშვილისა და ამჟამინდელ მთავრობებს შორის სხვაობას ვეღარ ვხედავ, ასო-ები — კოჟორიძე, გიგაური და ლომჯარია იმხანადაც ქვეყნის მტრები იყვნენ და ახლაც არ მოუშლიათ სიავე. ისინი მათ ემსახურებიან, ვინც ფულს უხდის, თანაც „ნაციონალების“ უახლოეს გარემოცვად ითვლებოდნენ მაშინაც და ახლაც.**

**კოჟორიძემ, თუ კარგი და სამართლიანი ადამიანია, ხომ იცოდა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ცოლმა, მარიამ მესხმა, მილიონობით გრანტი რომ შეჭამა?** იცოდა, მაგრამ დამალა. ამის დამტკიცება შემიძლია.

**— დავუბრუნდეთ პრეზიდენტის თემას. რა ერჩით ან რას ელით მისგან?**

— **პრეზიდენტისგან ცუდის, სიტუტუცის და ქვეყნის დაქცევის მეტს არაფერს ველი. ის ხომ კრიმინალია, კრიმინალების დამცველი?**

ვიცი, მისი გონებრივი შესაძლებლობები. **ადამიანი კაკოია ბობოხიძის ნაძირალა ძმის მეტს რომ ვერ ნახავს ციხიდან გამოსაშვებს, მისგან კარგს რას უნდა ელოდო?!**

ვტყუი რამეში? შემომედავოს. ყველა გაზეთში ვწერიდი მასზე, ვიდრე ივანიშვილი ჯიბეში ჩაისვამდა ჟურნალისტებს, მაგრამ მარგველაშვილს ჩემთვის არ უჩივლია, იმიტომ, რომ მართალი ვარ.

გაიძახის, — ხალხმა ამირჩიაო. ხალხს ის არ აურჩევია, **ჩვენი ცხოვრება ისე წავიდა, სულ გავიძახით, — ოღონდ ეს არ იყოს და, ვინც გინდა, ის მოვიდესო. ჰოდა, ეს „ვინც გინდა“ მარგველაშვილი აღმოჩნდა ივანიშვილის მითითებით.**

არაფრის მეშინია, თავის დროზე ვწერდი, ყველა პრეზიდენტს დავარქვი სახელი — „ედუარდ წყეული“ და „მიხეილ ტუტუცი“.

**— მარგველაშვილს რას უწოდებთ?**

— თვითონ წერს, რომ დებილია. მისი სიტყვებია — „ნიჩურტა, მე ხალხის არჩეული პრეზიდენტი ვარ“, მე კი გადავაკეთე — „ნიჩურტა, მე დებილი პრეზიდენტი მყავს“.

**— რატომ გადაწყვიტეთ, რომ სწორედ ახლა გესაუბრათ ამ თემაზე? რატომ ჩათვალეთ აქტუალურად და რას ითხოვთ ამ ხელისუფლებისგან?**

— არჩევნები ახლოვდება და თემა აქტუალური ამიტომ არის. ვფიქრობ, ყველამ უნდა გამოთქვას თავისი აზრი და მცირეოდენი წვლილი მაინც შეიტანოს ქვეყნის კეთილდღეობაში. ამ მთავრობისგან კი სასწრაფოდ წასვლას ვითხოვ.

**ვითხოვ პრეზიდენტის იმპიჩმენტს!**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«დღეს სააკაშვილისა და ამჟამინდელ მთავრობებს შორის სხვაობას ვეღარ ვხედავ. ასო-ები კოჟორიძე, გიგაური და ლომჯარია იმხანადაც ქვეყნის მტრები იყვნენ და ახლაც არ მოუშლიათ სიავე. ისინი მათ ემსახურებიან, ვინც ფულს უხდის, თანაც პრეზიდენტის უახლოეს გარემოცვად ითვლებოდნენ მაშინაც და ახლაც»**

**«კოჟორიძემ, თუ კარგი და სამართლიანი ადამიანია, ხომ იცოდა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ცოლმა, მარიამ მესხმა, მილიონობით გრანტი რომ შეჭამა? იცოდა, მაგრამ დამალა. ამის დამტკიცება შემიძლია»**



კახა კოჟორიძე

მსოფლიო





## კატალონია დამოუკიდებლობას ითხოვს

**ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში მასობრივი დემონსტრაცია გაიმართა. ასი ათასობით კატალონიელი რეგიონის დამოუკიდებლობის მხარდაჭერის მიზნით ქუჩაში გამოვიდა. აქციაში 1,4 მილიონი ადამიანი მონაწილეობდა.** მსვლელობა კატალონიის „ნაციონალურ დღეს“ მიეძღვნა, რომელსაც ადგილობრივები ყოველი წლის 11 სექტემბერს აღნიშნავენ. ესპანეთში მალე რეგიონული არჩევნები უნდა ჩატარდეს. კატალონიელების თქმით, აღნიშნული არჩევნების შედეგები გადაწყვეტს რეგიონის მომავალ ბედს. კატალონიელები ესპანეთისგან დამოუკიდებლობას მოითხოვენ. 2014 წელს ჩატარებული პლებისციტის შედეგად ამომრჩეველთა 80 პროცენტმა მხარი დაუჭირა კატალონიის ესპანეთისგან გამოყოფას, მაგრამ პლებისციტს იურიუდიული ძალა არ აქვს.

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სტალინის ძეგლის დადგმის წინააღმდეგი ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და პოლონეთის ელჩები არიან. ზუსტად ვიცი, რომ სტალინის ძეგლისთვის კვარცხლბეკი რომ დავდგით, პოლონეთის ელჩმა ადგილობრივ ხელისუფლებასთან დარეკა და უთხრა, კვარცხლბეკის მოსანგრევ ფულს მე გადავიხდი, ოღონდ ძეგლი არ დაიდგასო“.

# «დამოუკიდებელ» და «სუვერენულ» საქართველოს პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ელჩები უწყვეტენ, ვისი ძეგლი დაიდგას და ვისი — არა



**2015 წლის 10 სექტემბერს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციაში რამდენიმე ორგანიზაციიდან დარეკეს, შეგვატყობინეს, — გორში, სტალინის სახლ-მუზეუმის ეზოში დიდი ბელადის ძეგლი უნდა დავაბრუნოთო. ორგანიზაციების წევრები ჟურნალისტების დასწრებას ითხოვდნენ. თბილისიდან 10 სექტემბერს, დილის 7 საათზე უნდა გავსულიყავით... ფაშიზმზე გამარჯვების შემოქმედის — იოსებ სტალინის ძეგლი, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ 2010 წლის 24 ივნისს, შუაღამისას, მალულად აიღო, თავის ძველ ადგილას კვლავ ვერ დადგა გორის მოსახლეობამ თბილისიდან ჩასულ მრავალრიცხოვან გულშემატკივართან ერთად — ძეგლის ადგილსამყოფელთან საპატრულო პოლიცია იყო მობილიზებული და ძეგლის გამოტანა ვერ მოხერხდა. ხალხმა დაპირისპირებისგან თავი შეიკავა და ქალაქ გორის ხელისუფლებას დაემორჩილა. ხელისუფლებამ საკითხის ხელახლა განსახილველად დრო 2 ოქტომბრამდე ითხოვა...**
**არჩევნების წინ ბიძინა ივანიშვილი გორელებს დაჰპირდა, რომ სტალინის ძეგლს კუთვნილ ადგილას დააბრუნებდა და მას გორელებმა დიდი ნდობაც გამოუცხადეს, მაგრამ ძეგლი აქამდე არ დაუდგამთ. როგორც გორის საკრებულოს წევრმა ზურაბ როსებაშვილმა რამდენიმე თვის წინათ განაცხადა, არც დაიდგმება: „სტალიანის ძეგლის დადგმა არ მოხდება. ის, რასაც „სტალინელებს“ ეუბნებიან, ტყუილი და დროის გაჭიანურებაა. ძეგლს ამ ხელისუფლების პირობებში არავინ დადგამს“.**

**ზურაბ როსებაშვილს ამჯერადაც დავუკავშირდით. აი, რა გვითხრა მან:**

— გახსოვთ, რამდენიმე თვის წინათ რა გითხარით? — **სტალინის ძეგლი არ დაიდგმება! არც გორისა და არც ცენტრალურ ხელისუფლებას ამის ძალა არ შესწევს, ისინი ვერასოდეს ეტყვიან უარს იმ ქვეყნების ელჩებს, რომლებიც დიდი ბელადის ძეგლის დადგმის წინააღმდეგნი არიან. “დამოუკიდებელ” და “სუვერენულ” საქართველოს პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ელჩები უწყვეტენ, ვისი ძეგლი დაიდგას და ვისი — არა.** როდესაც სამუშაო ვიზიტით საზღვარგარეთ მიწევს წასვლა, როცა უცხოელები შეიტყობენ, გორელი ვარ, პირველი შეკითხვა არის — რატომ არ დგამთ სტალინის ძეგლს? მე კი პასუხი არ მაქვს, არ ვიცი...

10 სექტემბერს ამდენი ხალხი რომ დავინახე გორის ცენტრში შეკრებილი, მერე განზილებული და უკან გამობრუნებული, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ვუთხარი, — არაკაცები ხართ-მეთქი!

**ჩვენ, ასევე, დავუკავშირდით „სტალინის იდეურ მემკვიდრეთა“ საზოგადოების ერთ-ერთ წევრს, ძეგლის დადგმის ერთ-ერთ ინიციატორს — ალექსანდრე ლურსმანაშვილს:**

— ძალიან ცუდი და სამწუხარო ამბავი მოხდა, სტალინის ძეგლის დადგმა კვლავ ვერ მოხერხდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი განკარგულება კიდევ ერთხელ უარყო, ვალდებულება არ შეასრულა. მოგეხსენებათ, რომ 2010 წელსაც და შემდეგ უკვე 2013 წელს გორის მუნიციპალიტეტმა მიიღო დადგენილება, რომ სტალიანის ძეგლი მისივე სახლ-მუზეუმის ეზოში დადგმულიყო.

10 სექტემბერს დიდძალი ხალხი შეიკრიბა გორში სტალინის სახლ-მუზეუმთან, მაგრამ ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლება, ადგილობრივი ხელისუფლების ბრძანებით, ძეგლისთვის ხელის ხლების უფლება არ მოგვცეს.

**— რატომ გეგონათ, რომ დაგადგმევინებდნენ?**

— იმიტომ, რომ რეგულარულად მოვითხოვთ და ხელისუფლებაც გვპირდებოდა. მის მიერ გამოტანილმა დადგენილებამ გაგვათამამა. ხალხი სტალინის ძეგლის დადგმას, სამ წელზე მეტია, ელოდება, მას შემდეგ, რაც ახალი ხელისუფლება მოვიდა. ბოლო დაპირებით, ძეგლი 2015 წლის 24 ივნისს უნდა დადგმულიყო, სწორედ იმ დღეს, როდესაც აიღეს. **ჩვენ არ შევეგუებით გორში სტალინის არ არსებობას. ეს მთელი საქართველოსი და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მცხოვრებთა მოთხოვნაა.**

ჩვენ, გორელები კანონმორჩილი ხალხი ვართ, უკანონოს არაფერს ჩავიდენთ. უფრო მეტიც, ხელისუფლებას მათ მიერვე მიღებული დადგენილების აღსრულებაში ვეხმარებოდით. ადგილობრივ ბიუჯეტში თანხა საკმარისი რომ არ იყო სტალინის ძეგლის დასადგმელად, კვარცხლბეკისთვის ფული მოსახლეობაში ავაგროვეთ.

10 სექტემბერსაც ხელისუფლებას დავემორჩილეთ და კონფლიქტი არ მოხდა, მაგრამ შემდეგ ყველა დოკუმენტით ხელში ქალაქის მერსა და საკრებულოს თავმჯდომარეს ვესტუმრეთ. **მათ განაცხადეს, რომ სტალინის ძეგლის დადგმის წინააღმდეგი არავინ არის. მერმა ზურაბ ჯირკველიშვილმა განგვიცხადა, რომ საქართველოს პარლამენტს მიუღია კანონი თვითმმართველობების შესახებ, მასში წერია, რომ ახალი კანონის ძალაში შესვლის შემდეგ ყველა დადგენილება, რომელიც მიღებულია, უქმდება.** ამ კანონს გავეცანით და აღმოვაჩინეთ, რომ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში წერია: **ყველა განკარგულება, რომლებიც ხელახლა მიიღება, წინა განკარგულებას აბათილებს,** ანუ ამ შემთხვევაშიც მართალნი ვართ — 2013 წლის განკარგულება, რომ სტალინის ძეგლი მისივე სახლ-მუზეუმის ეზოში დაიდგას, ხელახლა არ განხილულა, ახალი ამ საკითხზე არაფერია... ადგილობრივ ხელისუფლებას ერთი პირობით დავშორდით — მათ ვალდებულება აიღეს, რომ 2 ოქტომბერს საკრებულო ხელახლა იმსჯელებს ძეგლის დადგმაზე. საკითხის განხილვის ინიციატორი ქალაქის მერია იქნება. ახლა 2 ოქტომბერს ველოდებით.

**— ბატონო ალექსანდრე, საკრებულოს წევრები ამბობენ, რომ, ვიდრე ეს ხელისუფლება იქნება, ძეგლი არ დაიდგმება.**

— დიახ, ეს ჩვენც ვიცით, მაგრამ მაინც არ დავთმობთ, სტალინის ძეგლს დავდგამთ.

დიდხანს არ გვინდოდა ამ თემაზე საუბარი, მაგრამ ხომ იცით, ჭირი თავს არ დამალავს. **სტალინის ძეგლის დადგმის წინააღმდეგი ბალტიისპირეთის ქვეყნებისა პოლონეთის ელჩები არიან. ზუსტად ვიცი, რომ სტალინის ძეგლისთვის კვარცხლბეკი რომ დავდგით, პოლონეთის ელჩმა ადგილობრივ ხელისუფლებას დაურეკა და უთხრა, კვარცხლბეკის მოსანგრევ ფულს მე გადავიხდი, ოღონდ ძეგლი არ დაიდგასო.** წინააღმდეგობას ქართველი პარლამენტარებიც გვიწევენ. მაგალითად, **ძმები ბერძენიშვილები ამბობენ, სტალინის ძეგლი არ უნდა დაიდგასო.** ამას წინათ თავდაცვის მინისტრმა **თინა ხიდაშელმაც** იგივე განაცხადა. საკრებულოს წევრი ზურაბ როსებაშვილის ნათქვამი, სამწუხაროდ, მართლდება.

2010 წლიდან ვიბრძვით დიდი ქართველის, დიდი ბელადის — სტალინის ძეგლის ძველ ადგილას დასაბრუნებლად, სააკაშვილის რეჟიმსაც არ ვეპუებოდით, არ გვეშინოდა, ამიტომ არ დავთმობთ. მადლობა უფალს, რომ დღეს თავისუფლად საუბარი მაინც შეგვიძლია, მართალია, ჩვენი არავის ესმის, მაგრამ მაინც...

პრემიერი ღარიბაშვილი ქართული სულისკვეთების მგონია და ვფიქრობ, გულის სიღრმეში უნდა ძეგლის დადგმა. არ მეგულება საქართველოში ადამიანი, რომელსაც სამშობლო და წარსული არაფრად უღირს და სტალინი ძეგლის დადგმის წინააღმდეგი იყოს. **იოსებ სტალინი მსოფლიოსთვის პატივსაცემი გმირია. რომ ნახოთ, რამდენი ტურისტი ჩამოდის ამ პატარა ქალაქში იმისთვის, რომ ბელადის სახლ-მუზეუმში ფეხი დადგას, გაოცდებით. ყველა პოლიტიკოსს, რომლებიც ხელს გვიშლიან სტალინის ძეგლის დადგმაში, ვეტყვი: — გარდაცვლილ სტალინს მეტი შემოსავალი მოაქვს საქართველოსთვის, ვიდრე ცოცხლებს, ვითომ რაღაცას რომ აკეთებენ. ბოდიშს ვიხდი ამ შედარებისთვის, მაგრამ სხვა გამოსავალს არ გვიტოვებენ.**

ბატონები არიან თუ ქალბატონები, რომლებიც საშვილიშვილო საქმის კეთებაში ხელს გვიშლიან, გონს მოეგონ! ადგილობრივი ხელისუფლება გადაწყვეტილებას ვერ იღებს, რადგან ხელს უშლიან.

დრო გადის და სტალინის პიროვნება უფრო აქტუალური ხდება, მისი იდეური მოწინააღმდეგეები ნუ ბოროტდებიან, რაც დრო გავა, სტალინი უფრო დიდ ინტერესს გამოიწვევს, მეტად მოექცევა ყურადღების ცენტრში. ის, რაც სტალინმა გააკეთა, აქამდე არავის გაუკეთებია.

**«ბატონები არიან თუ ქალბატონები, რომლებიც საშვილიშვილო საქმის კეთებაში ხელს გვიშლიან, გონს მოეგონ! ადგილობრივი ხელისუფლება გადაწყვეტილებას ვერ იღებს, რადგან ხელს უშლიან. დრო გადის და სტალინის პიროვნება უფრო აქტუალური ხდება, მისი იდეური მოწინააღმდეგეები ნუ ბოროტდებიან, რაც დრო გავა, სტალინი უფრო დიდ ინტერესს გამოიწვევს, მეტად მოექცევა ყურადღების ცენტრში. ის, რაც სტალინმა გააკეთა, აქამდე არავის გაუკეთებია»**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

## ყურძნის სარეალიზაციო პუნქტები თბილისშიც მოეწყობა

**„რთველი 2015“-ის ფარგლებში, ყურძნის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, რეგიონების პარალელურად, სპეციალური სარეალიზაციო პუნქტები თბილისშიც მოეწყობა.**

თბილისსა და რეგიონებში სპეციალურად მოწყობილ ადგილებში მევენახეები ყურძნის რეალიზებას გადასახადის გარეშე შეძლებენ. პირველ ეტაპზე, თბილისის მასშტაბით, ყურძნის სარეალიზაციო ადგილები მოწყობილია შემდეგ მისამართებზე: ხეთაგუროვის ქუჩა (წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია), კონსტიტუციის ქუჩა, ნორიოს აღმართი (კუკია), პეტრე იბერის ქუჩა (დიდი დიღომი), პაიჭაძის ქუჩა (დიღმის მასივი) და რესპუბლიკის მოედანი; საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური ადგილები დაემატება შემდეგ მისამართებზე: დაბა წყნეთი, 9 ძმის ქუჩა (კუკია), სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია, გობრონიძის ქუჩა (მუხიანი), ლიბანის ქუჩა (ავჭალა), პეტრიწის ქუჩა (დიდი დიღომი), ჩოლოყაშვილის ქუჩა, ვაზისუბანი (თ. დავითაიას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია), ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა (ვარკეთილი). ყურძნის სარეალიზაციოდ სპეციალური ადგილები მოწყობილია საქართველოს ყველა რეგიონში. თვითმმართველ ქალაქებში არსებულ აგრარულ ბაზრებში რქაწითელის სარეალიზაციო ფასი 1.00-დან 2.50 ლარამდე მერყეობს.



**„სასაცილოა, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ საუბრობს ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე და კახელი გლეხის კეთილდღეობაზე. ყველას გვახსოვს, რომ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ვაზის გაჩეხვას აფინანსებდნენ — 2000-2500 ლარს აძლევდნენ ადამიანებს ამისთვის. ვაზი ქართველებისთვის გენეტიკური კოდია, „ნაციონალები“ კი გენეტიკური კოდის აღმოფხვრაზე მუშაობდნენ“.**

ექსპერტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



თამარ კიკნაძე:

# თუ ასე გაგრძელდა, საქართველო იქნება ტრანზიტული ტერიტორია ქართველების გარეშე

**გასული კვირის უმნიშვნელოვანესი მოვლენა პრემიერ ღარიბაშვილის ჩინეთში ვიზიტი იყო. მთავრობა სიამაყით აცხადებს, რომ ჩინეთის მილიარდნახევრიან ბაზარზე შესვლის უფლება მოვიპოვეთ. რას გვარგებს და რას გაგვიფუჭებს ჩინეთის ბაზარი? — ამ საკითხზე და საქართველოსა თუ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე, ტრადიციულად, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ კიკნაძე გვესაუბრება.**

**— ქალბატონო თამარ, გასული კვირის განმავლობაში მთავრობა ჩინურ ინვესტიციებზე და პეკინში პრემიერის წარმატებულ ვიზიტზე საუბრობდა. მთავრობის სხდომაზე ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა: „ჩვენ მოვიპოვეთ უფლება, რომ რეგიონში მილიარდ 400-მილიონიანი ბაზარი ავითვისოთ“. მნიშვნელოვანია ჩვენთვის ჩინური ბაზარი და რისი გატანა შეგვიძლია მილიარდიან ბაზარზე?**

— ჩინეთი მართლაც დიდი შესაძლებლობების ქვეყანაა. მთავარია, ურთიერთობები ჩვენთვის სასარგებლო იყოს. ბოლო ხანს ეს კავშირები გააქტიურებულია. ახლახან ჩინეთის მთავრობამ უსასყიდლოდ გადმოგვცა 11 მილიონის ღირებულების თანამედროვე სპეცტექნიკა, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო გამოიყენებს იმ პროგრამის ფარგლებში, რომელიც დაწყებულია რეგიონებში. არის შეთანხმება ჩინეთსა და საქართველოს შორის „ახალი აბრეშუმის გზის — ეკონომიკური სარტყელის“ გასავითარებლად თანამშრომლობის შესახებ. ჩვენ ვართ ამ პროექტის მონაწილე ქვეყანა. როგორც პრემიერმა აღნიშნა, რეალურად **საქართველო გახდება ერთადერთი უმოკლესი დამაკავშირებელი გზა და ხიდი ევროპასა და აზიას შორის, რომ ჩვენ შეგვიძლია, 15 დღემდე შევამციროთ ჩინეთის ტვირთების ტრანსპორტირება ევროპამდე და სწორედ ამიტომ ის დერეფანი, რომელშიც ვიმყოფებით, გონივრულად უნდა გამოვიყენოთ, რათა მეტი მნიშვნელობა შეიძინოს ჩვენმა ქვეყანამ.** ეს ნიშნავს მეტ უსაფრთხოებას, მეტ დაცულობას და მეტ ინვესტიციებს. ამ მიზნით ოქტომბერში ტარდება თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი და უმაღლესი დონის ვიზიტორები გვეყოლება.

ამასთანავე, ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან **საქართველო მცირერიცხოვანი, დემოგრაფიული პრობლემების მქონე სახელმწიფოა, ჩინეთი კი ეკონომიკური ექსპანსიის პოლიტიკას აწარმოებს.**

**— საქართველოს რა აქვს ისეთი, რისი გატანაც ჩინეთში შეუძლია? ეკონომიკის მინისტრმა ღვინოზე ისაუბრა...**

— ჩინეთი უზარმაზარი ბაზარია, მაგრამ, რაც შეეხება ღვინოს, იქ ღვინის სმის ისეთი კულტურა არ არის, როგორიც ჩვენთან, მათ თავიანთი სპეციფიკური სასმელები აქვთ...

**— რამე გასატანი რომც გვქონდეს, გზა ჩინეთამდე იოლი გასავლელია?**

— საქართველო აბრეშუმის გზაზე მდებარეობს. რადგანაც ჩინეთის აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი გადის ევრაზიის კონტინენტზე, საქართველოს მდებარეობა იძლევა მსოფლიოს ორი უმსხვილესი სავაჭრო რეგიონის დაკავშირების შესაძლებლობას. მაგრამ კარგი იქნება, ამ პროექტში მარტო დერეფნის ფუნქცია თა არ გვექნება. საქართველო ყველაფრისთვის კარგად უნდა მოემზადოს.

**— რაში მდგომარეობს საქართველოს მომზადება?**

— მეტად უნდა ვიფიქროთ ჩვენი ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, ჩვენთვის სასარგებლო ინვესტიციებზე, თანაც რუსეთი და ჩინეთი კარგი პარტნიორები არიან, შეიძლება ამ ფაქტის გამოყენებაც.

**— ქვეყანაში სოციალური პრობლემებია, აქა-იქ არეულობებიც იწყება. კახელი გლეხები უკმაყოფილონი არიან. პოლიტოლოგები შემოდგომის მეორე დეკადაში საპროტესტო აქციების დაწყებას ვარაუდობენ.**

— არჩევნები ახლოვდება და, ბუნებრივია, სიტუაცია დაიძაბება და არეულობებიც იქნება. **სასაცილოა, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ საუბრობს ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე და კახელი გლეხის კეთილდღეობაზე. ყველას გვახსოვს, რომ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ვაზის გაჩეხვას აფინანსებდნენ — 2000-2500 ლარს აძლევდნენ ადამიანებს ამისთვის.**

**ვაზი ქართველებისთვის გენეტიკური კოდია, „ნაციონალები“ კი გენეტიკური კოდის აღმოფხვრაზე მუშაობდნენ.** ოპოზიცია, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს გვყავს, დესტრუქციული ძალაა და შეეცდება, სხვა არეულობებიც გამოიწვიოს. ისინი ქვეყნის კეთილდღეობას არად დაგიდევენ – პირიქით, რაც უფრო ცუდად იქნება საქმე, ურჩევნიათ. უბედურებაა, რომ საქართველოში „ნაციონალების“ ქმედებას სათანადო შეფასება არ მიეცა და იძულებულები ვართ, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სურვილის საპირისპიროდ, მათი ქმედებები და მასმედიაში გაუთავებელი დემაგოგია ავიტანოთ.

**— ქალბატონო თამარ, თუ გსმენიათ რამე იმის შესახებ, რომ საქართველოში სახლებს, ბინებს ინტენსიურად ყიდულობენ ჩეჩნები, ინგუშები, აზერბაიჯანელები და ა.შ. ჩვენ მოვიკითხეთ, მაგრამ სტატისტიკის დეპარტამენტს ასეთი ინფორმაცია არ აქვს...**

— საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა გაღატაკებულია. მას არ აქვს ინვესტირებისა და უძრავი ქონების შეძენის საშუალება. ქართული აქტივები დოლარის კურსის ზრდასთან ერთად კიდევ უფრო გაუფასურდა, რაც ხელოვნურ პროცესად მიმაჩნია. მოსახლეობას ამ გაუფასურებული აქტივების ყიდვაც არ შეუძლია, ამიტომ **საქართველოში ძალიან კარგი პირობებია უცხოელებისთვის. ეს არის გლობალიზაციის ქართული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, რაც შეიძლება მძიმე ვითარება იყოს, რომ საქართველოს მოქალაქეები ქვეყნიდან წავიდნენ, ხოლო მათ მაგივრად სხვა ქვეყნის მოქალაქეები ჩამოვიდნენ.**

ზოგიერთი ქვეყანა ახერხებს, გვერდი აუაროს გლობალიზაციის დამანგრეველ პროცესებს, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებები ქვეყნისთვის სასიკეთო პოლიტიკას არ ატარებენ და შედეგიც ძალიან მძიმეა. **თუ ასე გაგრძელდა, საქართველო იქნება ტრანზიტული ტერიტორია ქართველების გარეშე.**

**— წინასაარჩევნო მარათონი მალე დაიწყება. ბევრი პოლიტიკური ძალა ცდილობს რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებაზე საუბარს და ამ მოტივით რუსეთშიც მიდის. როგორ ფიქრობთ, ვისზე გააკეთებს არჩევანს რუსეთი?**

— რასაც ახლა ვხედავ, არის ის, რომ რუსეთი მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იჩენს საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი. მათ დღეს თავისივე პრობლემები ჰყოფნით. გარდა ამისა, ისინი კარგად ხედავენ, რომ ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა სულ უფრო მძიმდება, ამიტომ თავის დროს ელოდებიან. **რაც უფრო ცუდად იქნება საქართველოში სიტუაცია, მით ხელსაყრელი იქნება რუსებისთვის ჩვენთან მოლაპარაკება.** დღეს დასავლეთსა და რუსეთს შორის არის დაპირისპირება. ჩვენც ჩაბმული ვართ ამ პროცესში დასავლეთის მხარეს. **ხელისუფლების ზომიერი ფრთა ცდილობს, ლავირების პოლიტიკა გაატაროს, მაგრამ პროდასავლური ფრთა ქართველებისთვის ჩვეული მაქსიმალიზმით ასრულებს რუსეთის გამაღიზიანებლის ფუნქციას. თუ ვინმე მრავალვექტორიანი, კონსტრუქციული პოლიტიკის გატარებაზე ლაპარაობს, მას პრორუსად აცხადებენ და მის მარგინალიზებას ცდილობენ.**

**— თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ წვრთნები, რომლებიც მიმდინარეობს, არის იმისთვის, რომ გავიგოთ, რამდენად სწრაფად ჩამოვლენ ამერიკელი ჯარისკაცები საქართველოში... სოციალურ ქსელში უპასუხეს, რუსები უფრო სწრაფად ჩამოვლენო...**

— თინა ხიდაშელი ასე რატომ ლაპარაკობს და რა მოტივაცია აქვს, არ ვიცი, მაგრამ ასეთი განცხადებები საღ აზრს არის მოკლებული. **საქართველოს კეთილდღეობისთვის არც ერთი ქვეყანა ნაბიჯს არ გადადგამს, თუ ეს მის ინტრესებში არ შედის. ჩვენც ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან უნდა გამოვიდეთ, როდესაც ქვეყნის ერთ ნაწილში ერთი სახელმწიფოს ბაზა დგას და მეორეში სხვა სახელმწიფოსი, ეს პოლიგონია.** ჩვენმა პოლიტიკოსებმა ქვეყანა ამ მდგომარეობამდე მიიყვანეს. საქართველოს მოსახლეობას პოლიტიკოსების რწმენა ეკარგებათ, ქვეყნიდან გადიან ლუკმაპურის საშოვნელად, რაც ძალიან ცუდია.

**— თქვით, რომ რუსეთს საქართველოსთვის არ სცალია. სამაგიეროდ, პუტინმა დანარჩენი მსოფლიოსთვის მოიცალა — სირიაში შეიარაღებული ძალები შეიყვანა.**

— დასავლეთისთვის ბაშარ ალ ასადის შეცვლის გეგმა არ შეცვლილა. რუსებმა რაღაც ეტაპზე გაიმარჯვეს, მაგრამ, დასავლეთმა თუ ჩაიფიქრა, შეეცდება, გეგმა ბოლომდე მიიყვანოს. არ გამოვრიცხავ, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ამოცანა სწორედ ბაშარ ასადის ხელისუფლების დამხობა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ შეიძლება, ახსნა ის, რომ ისინი ცივილიზაციას ანადგურებენ. იმის ნაცვლად, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ყველა გაერთიანდეს, საჰაერო დარტყმები, რომელსაც მათზე ახორციელებენ, უეფექტოა.

რუსეთი თავის ინტერესებს იცავს, მას სირიაში სამხედრო ბაზა აქვს. ასადის ხელისუფლების დამხობა რუსეთის დამარცხებას ნიშნავს, თანაც გეოპოლიტიკურად ის კედელთან არის მიყენებული, ამიტომ სხვა გზა არ აქვს.

**— უკვე საუბრობენ იმაზე, რომ მესამე მსოფლიო ომი დაწყებულია...**

— ამის შესახებ, სხვათა შორის, რომის პაპმა განაცხადა. **მესამე მსოფლიო ომი დაწყებულია, მას ჰიბრიდული ხასიათი აქვს. ზოგიერთი პოლიტოლოგი ამბობს, რომ ეს ომი ჰგავს 30-წლიან ომს, რომელიც მე-17 საუკუნეში მოხდა და ვესტფალიის ზავით დასრულდა 1648 წელს. ეს იყო გადამწყვეტი პროცესი, რომლის შემდეგაც რუკაზე წარმოიქმნა ახალი სახელმწიფოები. დღესაც საქმე გვაქვს მსოფლიო წესრიგის ცვლილებასთან. ჩვენ საომარ პროცესში ვართ. მსოფლიოს ერთ ბოლოში მიმდინარე პროცესი მეორე ბოლოში მყოფ სახელმწიფოზე მოქმედებს. ჩვენი ამოცანა თავის გადარჩენაა.**

> **«საქართველოს კეთილდღეობისთვის არც ერთი ქვეყანა ნაბიჯს არ გადადგამს, თუ ეს მის ინტრესებში არ შედის. ჩვენც ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან უნდა გამოვიდეთ, როდესაც ქვეყნის ერთ ნაწილში ერთი სახელმწიფოს ბაზა დგას და მეორეში სხვა სახელმწიფოსი, ეს პოლიგონია»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

მოკლედ

## კახი კალაძე: ერთ მშვენიერ დღეს კოალიცია რომ დაიშალოს, ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ...

**საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ კახი კალაძის განცხადებით, კოალიცია „ქართული ოცნება“ 2016 წლის არჩევნებს მომზადებული შეხვდება, თუმცა არც ის იქნება ტრაგედია, თუ კოალიცია დაიშლება.** „ერთ მშვენიერ დღეს კოალიცია რომ დაიშალოს, ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ. ვფიქრობ, რომ 2016 წლის არჩევნებს ჩვენ ერთად, ერთ გუნდად შევხვდებით.

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ არ მოგვეცა საშუალება, პარტია გაგვეძლიერებინა, რადგან სულ შტაბურ რეჟიმზე ვიყავით — არჩევნებში. ახლა გვაქვს რეალური შანსი, გვყავდეს ძლიერი პარტია, გვქონდეს ძლიერი სტრუქტურა“, — განაცხადა კახი კალაძემ გადაცემა „20/30“-ის ეთერში კოალიციის მუშაობის შედეგებზე საუბრისას.

ვიცეპრემიერის განცხადებით, ელექტროენერგიის ტარიფის გაძვირება დოლარის გამყარებამ გამოიწვია. „ჩვენ შევამცირეთ ელექტროენერგიის ტარიფი, მაგრამ დოლარის გამყარების გამო დაუბრუნდა ძველ ნიშნულს. თუ დოლარი კიდევ გამყარდება, ეს სერიოზულ გავლენას იქონიებს არამხოლოდ ენერგეტიკის მიმართულებით“, — განაცხადა კალაძემ.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როდესაც სამხედრო სპეციალისტები იკვლევენ ერთი სტალინური დარტყმიდან მეორეზე გადასვლის პროცესს, როგორც მოწინააღმდეგის, ისე წითელი არმიის გადაადგილების დროს, ამბობენ, რომ ეს დარტყმები, მათი უზუსტესი გაანგარიშებები ისევე მიეკუთვნება ადამიანს, როგორც ღმერთს.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №32 (314)

# სტალინი — დიდი მხედართმთავარი

**ჩემს მეხსიერებას შემორჩა სასკოლო მერხებზე ჩამორიგებული წითელი ისრებით აჭრელებული ფურცლები, რომლებსაც თავზე დიდი შრიფტით ეწერა „ათი სტალინური დარტყმა“. ბავშვის გონებისათვის ალუქმელი იყო, სასწაულმოქმედი წითელი ისრების ცხოვრებაში მოქმედება, რომელიც მსოფლიოს თვალწინ იშლებოდა — იმხანად ჩვენთვის, მოზარდებისთვის, ჯერ კიდევ ადრე იყო ამის გაცნობიერება, შემდეგ კი ყურადღებას აღარავინ აქცევდა არც იმ ფურცლებს და არც იმ ისრებს. ახალგაზრდობა იმ დიდი მოვლენების მიღმა დარჩა, რომელსაც პლანეტის მოსახლეობა გადაურჩა. ბოროტება, რომელმაც მთელი ცივილიზებული ერის სახელით განაცხადა მსოფლიოს ხალხებზე ბატონობის პრეტენზია, ერთი „სულელი“ კაცის ნააზრევი და განზრახვა არ უნდა ყოფილიყო. ადამის მოდგმას, ჩადენილი ცოდვების გამო, ანტიქრისტე მოევლინა და გერმანელ ერს ვალდებულება დაეკისრა, ყოველ მისალმებაზე მისთვის ლოცვა აღევლინა: „ჰაილ, ჰიტლერ!“.**

## 10 სტალინური დარტყმა

### დარტყმა № 2

ღვთისმსახურთაგან ხშირად ისმის მუქარა უფლის მიერ რჯულის კანონის დამრღვევის დასჯაზე, დამსჯელი კი მხოლოდ ერთხელ მოევლინა კაცობრიობას და ისიც ყველაზე განათლებული და ცივილიზებული ერისგან — გერმანელებისგან.

თუ სიკეთე და ბოროტება ქვეყანაში და ადამიანში ერთდროულად იბადება, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ მე-20 საუკუნეში სიკეთე ბოროტებაზე ათი წლით ადრე დაბადებულა, მაგრამ ბოროტება, როგორც სარეველა, უფრო მძლავრად იდგამს ფესვებს, უფრო ადვილად ეგუება გარემოს და ნაყოფსაც უფრო ადრე ამწიფებს. ევროპაში ფაშიზმის მოსალოდნელი კატასტროფული შედეგები, ვფიქრობ, არც ღმერთს ჰქონდა ბოლომდე გააზრებული, როდესაც დედამიწაზე ამ ყავისფერ ჭირს ამკვიდრებდა და ჰიტლერს აკვანს ურწევდა.

ღმერთმა ადამიანს ბევრი რამ დააკლო სრულყოფილებამდე და გამოთქმა, რომ ღმერთმა ადამიანი თავისი სახის გამომხატველად გააჩინა, სწორი არ არის. ცხოველი გაცილებით მაღალ მაჩვენებლებს ამჟღავნებს თავისი ქცევით, ფიზიკური აღნაგობითა და ჯანმრთელობით, ვიდრე ადამიანი. მაშ, რატომ არის ადამიანი უმაღლესი ქმნილება? არა და არა. ადამიანი ცხოველია, მაგრამ აზროვნებისა და მეტყველების უნარით.

**მიხეილ კვესელავა,** რომელიც, როგორც კვალიფიციური გერმანისტი, ნიურნბერგი პროცესში თარჯიმნად მონაწილეობდა, თავის ისტორიულ-დოკუმენტური ნაშრომის **„ას ერგასის დღის“** ერთ-ერთ თავში წერს:

„გერმანიაში ერთ-ერთი ქალაქის თავი და მისი მეუღლე ომის მიმდინარეობისას თავიანთი ქალაქის გარეუბანში იმ ადგილის დასათვალიერებლად წავიდნენ, სადაც საკონცენტრაციო ბანაკი იყო მოწყობილი. დათვალიერების დროს ერთ-ერთ ორმოს მიადგნენ, სადაც დახოცილი ადამიანები იყო ჩაყრილი. ორმოში მიცვალებულთა შორის მოძრაობა შენიშნეს, აღმოაჩინეს პატარა ბავშვი, რომელიც მიცვალებულებს შორის დაფოფხავდა და მიცვალებულებს მუცელში ხელს უყოფდა. თურმე ადამიანის სხეულზე ყველაზე ადრე მუცლის არე ლპება და სწორედ ამ დამპალი ადგილიდან ბავშვს ადამიანის ნაწლავები გამოჰქონდა და ღეჭავდა („დადგება დრო ნაწლავთა ღეჭვისა“ — სახარებიდან) ცოლმა და ქმარმა უხმოდ შეხედეს ერთმანეთს, მანქანაში ჩასხდნენ და შინ გაემართნენ. ორივემ თავ-თავიანთ აბაზანებს მიაშურეს. განიბანეს, განიშრეს, ახალი ტანსაცმელი ჩაიცვეს და ,კომოდის უჯრიდან რევოლვერები გამოიღეს. ერთმანეთისთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამთ გამოსამშვიდობებელი, ერთდროულად ორი გასროლა მოხდა და ორი პატიოსანი ადამიანის სულები უკვდავებაში გადასახლდა“.

**მაშ, სად არის აქ ადამიანი: იქ, საერთო სამარხში, სადაც უწესრიგოდ ეყარა ადამიანთა გვამები, თუ იქ, სადაც პატარა ბავშვი ადამიანებს დამპალი მუცლიდან ნაწლავებს აცლიდა, რათა ეღეჭა, თუ იქ, იმ ოთახში, სადაც მომხდარის ნახვით შეძრწუნებულმა ცოლ-ქმარმა ერთმანეთი დახოცეს?**

იმპერიის მცველს, თხრილში გვამების ჩამყრელს, ქამრის ბალთაზე ეწერა „ღმერთი ჩვენთანაა“. ბავშვი, რომელიც სიცოცხლის გადასარჩენად დამპალი მუცლიდან ნაწლავებს ექაჩებოდა და ღეჭავდა, ცდილობდა, უფრო ცხიმიანი ნაწლავი შეხვედროდა. ცოლი და ქმარი, რომლებიც ერთმანეთს ტყვიას უმიზნებდნენ, თავიანთი სულის გადასარჩენად სწირავდნენ სიცოცხლეს. მაშ, რომელია აქ მოვალეობის გარეშე დარჩენილი? — ფიურერი, რომელიც საერთო ორმოში ყრიდა სრულიად უდანაშაულო ადამიანების გვამებს; ბავშვი, რომელმაც თავი უნდა გადაირჩინოს თუ მორწმუნე ცოლ-ქმარი, რომლებიც თვისტომის ქმედებამ შეაძრწუნა?

**ადამიანო, ეს შენ ხარ! ეს ჩვენ ვართ, თითოეული!..**

სამი წლის განმავლობაში მეორე ფრონტის გაუხსნელობით ნაღალატევი სტალინი სულ სხვა მიზნებითა და გეგმებით ხვდებოდა დამდეგ 1944 წელს.

ოპერატიულ რუკებზე დაუტანელ და სამხედრო საიდუმლო თათბირებზე ჯერ კიდევ გაუმჟღავნებელ საკითხებს კიდევ ერთხელ აზუსტებდა და აკონტროლებდა გონებაში და გადამწყვეტი ნახტომისთვის ემზადებოდა.



სტალინი და როკოსოვსკი მავზოლეუმის ტრიბუნაზე

**ახალი წლის წინა ღამეს სტალინმა კიდევ ერთხელ დახედა სალვადორ დალის მიერ არცთუ დიდი ხნის წინათ შექმნილ სურათს — «გეოპოლიტიკური ბავშვი აკვირდება ახალი ადამიანის დაბადებას» — და გაახსენდა, რომ ახლის დაბადება უმტკივნეულოდ და სისხლის გარეშე შეუძლებელია**

ფიქრობდა, რომ მხოლოდ ერთ თავს უნდა ემუშავა და სხვას შეესრულებინა. **ახალი წლის წინა ღამეს სტალინმა კიდევ ერთხელ დახედა სალვადორ დალის მიერ არცთუ დიდი ხნის წინათ შექმნილ სურათს — „გეოპოლიტიკური ბავშვი აკვირდება ახალი ადამიანის დაბადებას“ — და გაახსენდა, რომ ახლის დაბადება უმტკივნეულოდ და სისხლის გარეშე შეუძლებელია.**

მიუხედავად იმისა, რომ სტალინს შეეძლო მარტივი, მაგრამ შინაარსიანი ტილოების შექმნა, მან იმ ღამეს რატომღაც კვერცხი აირჩია ტილოდ (ვარაუდობენ, რომ სალვადორ დალის მიბაძვით), დალის გატეხილი და სისხლიანი კვერცხი გაამთელა და წითლად შეღება, რაც, როგორც სანდო წყაროები გვიმტკიცებენ, ევროპის სრულად გაწითლებას ნიშნავდა.

თავისი ბლოკნოტის ფურცელზე კი ფანქრით ჩამოწერა:

***პირველი დარტყმა: იანვარი, 1944 წელი. ლენინგრადი. ბლოკადის მოხსნა.**

***მეორე დარტყმა: თებერვალი, 1944 წელი. უკრაინა. კორსუნ-შევჩენკოს ბლოკადაში მოქცევა.**

***მესამე დარტყმა: აპრილი, 1944 წელი. ოდესის, ყირიმისა და სევასტოპოლის გათავისუფლება.**

***მეოთხე დარტყმა: ივნისი, 1944 წელი. კარელია-ფინეთის გათავისუფლება.**

***მეხუთე დარტყმა: ივნისი, 1944 წელი. ბელორუსიის გათავისუფლება.**

***მეექვსე დარტყმა: აგვისტო, 1944 წელი. შეტევა უკრაინაზე, მდინარე ვისლის გადალახვა. სანდომირისა და მაგნუშევსკის პლაცდარმების შექმნა ბერლინზე შეტევის განსახორციელებლად.**

***მეშვიდე დარტყმა: აგვისტო, 1944 წელი. მოლდავეთის გათავისუფლება, ბულგარეთში შესვლა.**

***მერვე დარტყმა: შემოდგომა, 1944 წელი. ბალტიისპირეთის გათავისუფლება.**

***მეცხრე დარტყმა: ოქტომბერ-დეკემბერი, 1944 წელი. უნგრეთში შეჭრა.**

***მეათე დარტყმა: ოქტომბერი, 1944 წელი. ფაშისტების განადგურება. იმიერპოლარეთში.**



მანშტეინის სატანკო შენაერთის განადგურებული ტანკი

შევეცდები, მოგითხროთ ზოგიერთი სტალინური დარტყმის სტრატეგიასა და ტაქტიკაზე. როდესაც სამხედრო სპეციალისტები იკვლევენ ერთი სტალინური დარტყმიდან მეორეზე გადასვლის პროცესს როგორც მოწინააღმდეგის, ისე წითელი არმიის გადაადგილების დროს, ამბობენ, რომ ეს დარტყმები, მათი უზუსტესი გაანგარიშებები ისევე მიეკუთვნება ადამიანს, როგორც ღმერთს. ამიტომაც აღვნიშნე წინა წერილში, რომ 1944-ის ახალი წლის წინა ღამეს ან კაცი მივიდა ღმერთთან ან მძიმე განსაცდელის ჟამს თვითონ ღმერთი გამოეცხადა ადამიანს-მეთქი.

**1944-ის ახალი წლის წინა ღამე და მთლიანად 1944 წელი დიდხანს დარჩება ისტორიის მკვლევართა ბერმუდის სამკუთხედად.**

1944 წლის იანვარში, თანამედროვე პოლიტიკოსთა ენაზე რომ ვთქვათ, დასრულდა დაუმარცხებელი ხალხის მიერ ვირთხებისა და ქვეწარმავლების ჭამა და ნევისპირა ქალაქმა მსოფლიოს აჩვენა ამტანობის, „ჭირთა შიგან გამაგრებისა“ და სამშობლოსადმი ერთგულების ჯერ არნახული და გაუგონარი გმირობა.

**ზეიმობდა ცხრაასდღიანი ბლოკადაგამოვლილი ხალხი და ზეიმობდა „ომის ღმერთიც“ ბრწყინვალე გამარჯვებას.**

**სტალინმა გადაწყვიტა, მეორე დარტყმა 24 იანვარს დაეწყო და უბრძანა ფრონტის სარდალს — კონევს, მანშტეინის არმია, რომელიც „ხაზეინივით“ იყო მოკალათებული უკრაინაში, უსწრაფესად გაენადგურებინა.** ასეთი იყო ღმერთისა და სტალინის ნება.

„ახალ საბრძოლო პოზიციებზე გამაგრებულიც არ ვიყავით, რომ „ვეჩეს“ აპარატთან გამომიძახეს სტალინთან დასალაპარაკებლად, — იხსენებს მარშალი **კონსტანტინე როკოსოვსკი.** — მან მითხრა:

— ვატუტინი არასახარბიელო მდგომარეობაშია, ძალიან უჭირს, თუ ასე გაგრძელდა, მოწინააღმდეგე

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტალინმა გადაწყვიტა, მეორე დარტყმა 24 იანვარს დაეწყო და უბრძანა ფრონტის სარდალს — კონევს, მანშტეინის არმია, რომელიც „ხაზეინივით“ იყო მოკალათებული უკრაინაში, უსწრაფესად გაენადგურებინა

◀ ჟიტომირში შემოვა. მდგომარეობა საგანგაშოა, შეიძლება, გერმანელებმა ბელორუსიის ფრონტსაც დაარტყან. გიბრძანებთ, დაუყოვნებლივ გაემგზავროთ პირველი უკრაინის ფრონტის შტაბში, როგორც პირადად ჩემი წარმომადგენელი. შეისწავლეთ მდგომარეობა ადგილზე და მიიღეთ ყველა ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად!

სტალინის ლაპარაკსა და დავალებას სუსხი და შეუწყნარებლობა შევამჩნიე, სტალინი სხვა დროს ასე არ მესაუბრებოდა.

წინააღმდეგობას ის მიქმნიდა, რომ უკრაინის ფრონტის შტაბში მიმაგრებული იყო სამხედრო საბჭოს წევრი და პოლიტბიუროს წევრი ხრუშჩოვი, რომელიც თავისუფალი მოქმედების საშუალებას არ მაძლევდა, რაც ძალზე მაშფოთებდა, მაგრამ ყველაფრის მცოდნე და გამთვალისწინებელი სტალინი აქაც არ დარჩა უყურადღებოდ და, ვიდრე დანიშნულების ადგილზე ჩავიდოდი, გზაში დაშიფრული ტელეგრამა დამაწიეს. დეპეშაში მითითებული იყო:

„საჭიროების შემთხვევაში სასწრაფოდ აიღეთ ხელში პირველი უკრაინის ფრონტის ხელმძღვანელობა ყოველგვარი დამატებითი განკარგულების გარეშე, უნდა გააგებინოთ ყველას, რომ ეს განგაში მე შევქმნენი“.

სტალინმა იცოდა, რომ ხრუშჩოვი ახალი ხელმძღვანელის წინააღმდეგ ავანტიურას მოაწყობდა, მაგრამ ამისთვისაც მზად იყო და გააფრთხილა კიდეც თავისი „ბაგრატიონი“.

როკოსოვსკიმ და ვატუტინმა ერთად შეიმუშავეს ჯარების დისლოკაციის გეგმა და კორსუნ-შევჩენკოს ოპერაციის სტალინისეული გეგმაც ერთად განიხილეს, რომელშიც არც ერთი შენიშვნა არ შეუტანიათ. გადამწყვეტი შეტევაც დაიწყო. სტალინის ღვთაებრივი ნიჭითა და როკოსოვსკის მიერ მისი ბრძანების უზადო შესრულების შედეგად ალყაში მოექცა მტრის 10 დივიზია და ერთი ბრიგადა — 80 000 ჯარისკაცი და ოფიცერი.

კორსუნ-შევჩენკოს ტრაგედიით შეძრწუნებულმა ჰიტლერმა ბლოკადაში მყოფ ჯარების სარდალ შტემერმანს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამი იყო: „შეგიძლიათ, დამეყრდნოთ მე ისე, როგორც ქვიტკირის კედელს, გარწმუნებთ, მალე გამოგიყვანთ ქვაბიდან“. ჰიტლერის მცდელობა — ალყიდან დაეხსნა თავისი მხედართმთავარი — უშედეგოდ დასრულდა. ჰიტლერის გამოგზავნილი სატრანსპორტო თვითმფრინავი „ТУ-52“ საბჭოთა მეომრებმა მიწას დაანარცხეს. საბჭოთა საჰაერო ძალები უკრაინის ცაზე გაბატონდა, მიწაზე კი სულს ღაფავდა ასეულათასობით გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

1944 წლის 8 თებერვალს, 15 საათზე, საბჭოთა პარლამენტარებმა დანებება მოსთხოვეს სასიკვდილოდ განწირულ გერმანელთა დივიზიებს. მეორე დღის 11 საათზე გენერალმა შტემერმანმა უარი განაცხადა ულტიმატუმის შესრულებაზე და ბრძოლის გაგრძელება არჩია. თავგანწირულმა გერმანულმა დივიზიებმა შეძლეს გაფართოება და 11 თებერვალს გერმანელთა მერვე დივიზიამ ნაწილობრივ გაარღვია ბლოკადის ზღუდე შენდეროვკის რაიონში, რასაც სტალინის უკიდურესი აღშფოთება მოჰყვა. საბჭოეთის ხელმძღვანელის მრისხანება სულ სხვა ფრონტის სარდალს დაატყდა თავს — კონევს:

— როგორ დაუშვით, თუნდაც მცირე ნაწილზე გარღვევა?! ჩვენ მსოფლიოს ვაცნობეთ, რომ კორსუნ-შევჩენკოში ასიათასი გერმანელი გვყავს გამომწყვდეული. თქვენ კი მათ ბლოკადიდან უშვებთ? არ უნდა იცოდეთ, რა ხდება მეზობელ ფრონტებზე, ამხანაგო კონევ?

იგრძნო რა მთავარსარდლის უკიდურესი აღშფოთება, კონევმა დამაჯერებლად უპასუხა:

— ნუ ღელავთ, ამხანაგო სტალინ, ალყა არ მოხსნილა, იგი ჩვენმა არმიამ დაუყოვნებლივ შეკრა, მდგომარეობის გართულების გამო მეხუთე სატანკო გვარდიული არმია და მეხუთე კავალერიის კორპუსი წინ წავწიე და კორსუნ-შევჩენკოს ბლოკადა რკინის სალტეში მოვაქციე. ოპერაცია ბრწყინვალედ დასრულდა.

სტალინი ჩაფიქრდა. მას ყოველთვის სწამდა კონევის, ალბათ, ათასმა აზრმა გაუელვა თავში, ვიდრე რამეს ეტყოდა.

— ამხანაგო კონევ, ეს თვითონ მოიფიქრეთ და გააკეთეთ?

— თვითონ გადავწყვიტე, ამხანაგო სტალინ.

— ძალიან კარგია. მე მოვეთათბირები უმაღლესი მთავარსარდლის შტაბს და მალე დაგელაპარაკებით.

ათი წუთის შემდეგ სტალინმა კვლავ დაურეკა კონევს და ოფიციალურად განუცხადა, რომ უკრაინის ფრონტის ხელმძღვანელობა მას ეკისრებოდა.

როგორც შემდგომ გაირკვა, კორსუნ-შევჩენკოს ბლოკადის გარღვევის ერთ-ერთი „შემოქმედი“ ჟუკოვის არაშორსმხედველი სამხედრო სტრატეგია იყო, რაც ხშირად მოსდიოდა „სახელგანთქმულ“ მარშალს და რაც ხშირად მიუტევებია მისთვის მთავარსარდალს, მაგრამ სტალინმა ამჯერად ველარ მოუთმინა ჟუკოვს და 12 თებერვალს, 16 საათზე, ფრონტის შტაბმა სტალინის დირექტივა მიიღო:

**„1. დაჯგუფებები, რომლებიც იბრძვიან კორსუნ-შევჩენკოს მიმართულებით, დაუყოვნებლივ დაუქვემდებარეთ უკრაინის მეორე ფრონტს (კონევს), იმ მიზნით, რომ უსწრაფესად მოხდეს მტრის განადგურება აღნიშნულ რაიონში.**

**2. ამხ. იურევი (ჟუკოვი) განთავისუფლდეს კორსუნ-შევჩენკოს ბრძოლის მეთვალყურის მოვალეობისაგან“.**

ტელეგრამას ხელს აწერს სტალინი და ანტონოვი.

აღნიშნული ბრძანების გარდა, 12 თებერვალს, 16 საათსა 45 წუთზე სტალინმა ვრცელი დეპეშა გაუგზავნა ჟუკოვს, რომელშიც დაწვრილებით მიუთითა მის შეცდომებზე გერმანელთა მიერ კორსუნ-შევჩენკოს ბლოკადის გარღვევაში, „რომლებიც გამოწვეული იყო, — აზუსტებს სტალინი, —არა მხოლოდ თქვენი მხედრული გამოუცდელობის, არამედ ჩემი, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის, ბრძანების შეუსრულებლობის გამო. თქვენ ბლოკადის გასამაგრებლად არათუ არ გყოფნიდათ ძალები, არამედ გაცილებით მეტი გყავდათ, მაგრამ თქვენ არ გამოიყენეთ“.

ძირითადი ბრძოლები 17 თებერვალს, გამთენიისას, დაიწყო. ენით აუწერელია ის საშინელი ხოცვა-ჟლეტა, რომელიც გერმანულმა არმიამ განიცადა.

„გზები ჩახერგილი იყო დამწვარი ტექნიკითა და გერმანელი ჯარისკაცების გვამებით. გადარჩენილი ჯარისკაცები და ოფიცრები შემჭიდროებული რიგებით მიდიოდნენ მწყობრად, მაგრამ არ იცოდნენ, საით. ჩვენ მათ, — იგონებს კონევი, რამდენჯერმე შევთავაზეთ შეჩერება და დანებება, მაგრამ მხედრული ფიცის ერთგულნი დარჩნენ. მოგვიხდა ტანკებისა და ზარბაზნების გამოყენება. დახოცილთა რაოდენობას სათვალავი არ ჰქონდა. დაღუპულთა შორის გერმანელმა ჯარისკაცებმა თავიანთი სარდალი შტემერმანიც აღმოაჩინეს, რამაც ერთობ ტრაგიკული სურათი შექმნა გადარჩენილ გერმანელ მეომრებს შორის. შეძრწუნებულმა კონევმა უფლება დართო გერმანელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, თავიანთი სარდალი სამხედრო პატივით დაეკრძალათ, რაც მტერმაც კი რაინდულ ჟესტად ჩათვალა. შტემერმანის ცხედარი საპატიო ყარაულმა სამგლოვიარო ზალპით ჩაუშვა სახელდახელოდ გაჭრილ საფლავში.

კონევმა კორსუნ-შევჩენკოს ოპერაციის ბრწყინვალე დამთავრება უპატაკა მთავარსარდალს და აცნობა შტემერმანის დაკრძალვის ამბავიც, რომელმაც სტალინს სასიამოვნო ღიმილი მოჰგვარა:

— გილოცავთ წარმატებას! საბჭოთა მთავრობას სურს, მოგანიჭოთ საბჭოთა კავშირის მარშლის საპატიო წოდება.

მეორე დღეს სპეციალური თვითმფრინავი მიფრინავდა უკრაინის მიწაზე, რათა სახელგანთქმულ სამხედრო მეთაურისთვის მარშლის ოქროს სამხრეები და მარშლის საპატიო ვარსკვალი ჩაეტანა, სტალინის მადლობითა და ხელმოწერით.

სატანკო შენაერთების მარშლები გახდნენ **როტმისტროვი** და **ფედორენკო**.

სტალინის ბრძანებაში არაფერი იყო ნახსენები არც ჟუკოვის შენაერთებზე და არც თვითონ ჟუკოვზე, რომელმაც ჯილდო ვერ დაიმსახურა.

1944 წლის 18 თებერვალს მოსკოვი სალუტს აძლევდა კორსუნ-შევჩენკოს განმათავისუფლებელ გმირ მებრძოლებს. ბრძანებაში ნათქვამი იყო:

„ამ ოპერაციის შედეგად გერმანელებმა ბრძოლის ველზე დატოვეს მოკლულთა სახით 52 000 ჯარისკაცი და ოფიცერი, ხოლო 11 000 ჯარისკაცი და ოფიცერი ტყვედ იქნა აყვანილი“.

სტალინური გეგმით, 18-20 თებერვალს უნდა დაეწყოთ დნეპრის მარჯვენა სანაპიროს განთავისუფლება, რომლის მიზანი იყო კარპატების მიმართულებით ძლიერი შტურმი, რაც ორად გახლეჩდა გერმანიის სამხრეთის ფრონტს. სამწუხაროდ, ამ ოპერაციის მომზადების დროს ბენდერებმა ვერაგულად მოკლეს ფრონტის სარდალი ვატუტინი მისრვა მცველთან და სამხედრო საბჭოს წევრ კრაინუკოვთან ერთად.

ვატუტინის ნაცვლად ფრონტის სარდლად სტალინმა კვლავ პატარა ბავშვივით დასჯილი ჟუკოვი შეარჩია. ჟუკოვმა თავისი შეცდომების გამოსასწორებლად დაუნდობლად გაიმეტა როგორც თავისი თავი, ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარისო შენაერთები.

1944 წლის 4 მარტს ჟუკოვის პირველი ბრძოლა ტერნოპოლის რაიონში გამაგრებულ გამოცდილ **მანშტეინთან** უშედეგოდ დამთავრდა. ჟუკოვი ღრმა დაცვაში გადავიდა. მეორე შეტევა 21 მარტს განავითარა, რომელიც წარმატებით დამთავრდა და პირველად უპატაკა სტალინს გამარჯვება მსხვილმასშტაბიან ოპერაციაში, რომელიც 10 სტალინური დარტყმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო.

**მეორე უკრაინულმა ფრონტმა, კონევის მეთაურობით, ბრწყინვალედ დაასრულა უსმანსკ-ბოტოშანსკის ოპერაცია. 10 მარტს კონევმა აიღო უსმანსკი, ერთი კვირის შემდეგ გადალახა მდინარეები დნეპრი და ბუგი. სამასი კილომეტრით წინ წასწია ფრონტის ხაზი, გაათავისუფლა ასობით ქალაქი, ათასობით სოფელი და 26 მარტს მიადგა მდინარე პრუტს — საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარს.**

**კამენეც-პოდოლსკის რაიონში ერთმანეთს შეუერთდნენ უკრაინის პირველი და მეორე ფრონტები და ბლოკადაში მოაქციეს გერმანელთა 23 დივიზია. ეს იყო უდიდესი წარმატება, რომელსაც შენარჩუნება სჭირდებოდა, მაგრამ, საუბედუროდ, აქაც იჩინა თავი ჟუკოვის არათანმიმდევრულმა მოქმედებამ და მხედართმთავრული ნიჭის დეფიციტმა, ამიტომ ამ ბლოკადას ისეთივე ბრწყინვალე დასასრული არ მოჰყვა, როგორიც კორსუნ-შევჩენკოს ბლოკადას.**

გენერალმა მანშტეინმა თავისი მოხერხებულობით შეძლო, ნაწილობრივ გამომძვრალიყო ამ ქვაბულიდან, მაგრამ ეს ოპერაცია მაინც დარჩა ერთ-ერთ დიდ და წარმატებულ ოპერაციად დიდი სამამულო ომის ისტორიაში.

(გაგრძელება იქნება)



როკოსოვსკი



კონევი

**როკოსოვსკიმ და ვატუტინმა ერთად შეიმუშავეს ჯარების დისლოკაციის გეგმა და კორსუნ-შევჩენკოს ოპერაციის სტალინისეული გეგმაც ერთად განიხილეს, რომელშიც არც ერთი შენიშვნა არ შეუტანიათ. გადამწყვეტი შეტევა დაიწყო. სტალინის ღვთაებრივი ნიჭითა და როკოსოვსკის მიერ მისი ბრძანების უზადო შესრულების შედეგად ალყაში მოექცა მტრის 10 დივიზია და ერთი ბრიგადა — 80 000 ჯარისკაცი და ოფიცერი**

**კამენეც-პოდოლსკის რაიონში ერთმანეთს შეუერთდნენ უკრაინის პირველი და მეორე ფრონტები და ბლოკადაში მოაქციეს გერმანელთა 23 დივიზია. ეს იყო უდიდესი წარმატება, რომელსაც შენარჩუნება სჭირდებოდა, მაგრამ, საუბედუროდ, აქაც იჩინა თავი ჟუკოვის არათანმიმდევრულმა მოქმედებამ და მხედართმთავრული ნიჭის დეფიციტმა, ამიტომ ამ ბლოკადას ისეთივე ბრწყინვალე დასასრული არ მოჰყოლია, როგორიც კორსუნ-შევჩენკოს ბლოკადას**

არა არის დაფარული
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„პრაქტიკულად ყველა მსოფლიო ლიდერი ხასიათდება ძალაუფლების თანდაყოლილი კომპლექსით. ეს კომპლექსი, როგორც წესი, დათრგუნვილი სადიზმის შედეგია, რომელიც, თავის მხრივ, ლატენტურ (ფარულ) ჰომოსექსუალიზმთან არის დაკავშირებული. ლენინის ლატენტური ჰომოსექსუალობის კომპლექსს („ბელადის კომპლექსს“) გამოწვლილვით სწავლობდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო 40-იანი წლებიდან 50-იანი წლების დასაწყისამდე.“**

# შემეცნების გასაღები



**ავტორის შესახებ**

გრიგორი კლიმოვი იგორ ბორისის ძე კალმიკოვის ლიტერატურული ფსევდონიმია. დიდი სამამულო ომის მონაწილე ომის დამთავრების შემდეგ მსახურობდა ბერლინში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციაში, 1947 წელს გაიქცა დასავლეთ გერმანიაში, 1949-1950 წლებში მონაწილეობდა ჰარვარდის პროექტში, რომელიც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ეგიდით ხორციელდებოდა; ზოგიერთი მკვლევარის აზრით, იყო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების ორმაგი აგენტი, გარდაიცვალა 2007 წლის 10 დეკემბერს ნიუ იორკში, 89 წლისა.

50 წლის განმავლობაში ამუშავებდა ე.წ. უმაღლესი სოციოლოგიის (დეგენერალოგიის) მარგინალურ კონცეფციას, რომელიც ისტორიისა და სოციოლოგიის ინტერპრეტაციის სახით იყო წარმოდგენილი.

დაწერილი და გამოცემული აქვს წიგნები: „ტერორის მანქანა“ (1951 წ.), „ამა სამყაროს თავადი“, „საქმე 69“ (1970 წ.), „ჩემი სახელი ლეგიონია“ (1975 წ.), „საბჭოელ ბრძენთა ოქმები“ (1981 წ.), „წითელი კაბალა“ (1996 წ.), „ღმერთის ხალხი“ (1997 წ.).



გრიგორი კლიმოვი

## პრობლემის არსი

**გრიგორი კლიმოვს 80 წლის იუბილეზე ინტერვიუ ჩამოართვეს:**

**— გრიგორი პეტროვიჩ, 50 წლის განმავლობაში თქვენ მუშაობთ განსაკუთრებულ ადამიანებთან, რომლებიც ძალაუფლების კომპლექსით არიან გამორჩეულნი. რას წარმოადგენენ ეს ადამიანები? რას ნიშნავს „ძალაუფლების კომპლექსი“? რას ნიშნავს „ბელადის კომპლექსი“? სად უნდა ვეძებოთ ამ კომპლექსის არსი?**

— თუ სისხლით ნათესავები შეუღლდებიან, ამ ქორწინების შედეგად გაჩენილი ბავშვები დეგენერატები იქნებიან. ეს ძველი, ყველასთვის კარგად ცნობილი ფაქტია. ამიტომაა, რომ ეკლესია კრძალავს სისხლით ნათესავების შეუღლებას მეექვსე თაობამდე.

თუ რელიგიური ლიდერები პირიქით მოიქცევიან, 4-5 თაობის შემდეგ ეს სექტა დეგენერატებით აივსება...

**ბევრი დეგენერატი არაჩვეულებრივი თვისებებით არის გამორჩეული, მაგალითად, ისეთით, როგორიც არის დომინირების დაუკმაყოფილებელი ნება, არანორმალური, პათოლოგიური სურვილი ყოველთვის ყველაზე მაღლა იდგეს. ბევრ მათგანს ახასიათებს ძალაუფლების აშკარა და დაუკმაყოფილებელი სურვილი.**

ეს დეგენერატები მიიჩნევენ, რომ არიან „რჩეულნი“, „ელიტა“ (განდიდების მანია), მაგრამ, ამასთანავე, თავს „დევნილებად“ გრძნობენ (დევნილობის მანია). ხომ ცნობილია, რომ განდიდების მანია და დევნილობის მანია ღვიძლი დებივით არიან.

ეს ყველაფერი ანბანური ჭეშმარიტებაა, საბავშვო ბაღია.

ახლა კი ამ პრობლემაზე ვისაუბროთ უფრო მაღალ დონეზე — უმაღლესი სოციოლოგიის (დეგენეროლოგიის) დონეზე; ამ დარგში, 50 წელიწადზე მეტია, ვმუშაობ.

**პრაქტიკულად ყველა მსოფლიო ლიდერი ხასიათდება ძალაუფლების თანდაყოლილი კომპლექსით.**

**ეს კომპლექსი, როგორც წესი, დათრგუნვილი სადიზმის შედეგია, რომელიც, თავის მხრივ, ლატენტურ (ფარულ) ჰომოსექსუალიზმთან არის დაკავშირებული. ლენინის ლატენტური ჰომოსექსუალობის კომპლექსს („ბელადის კომპლექსს“) გამოწვლილვით სწავლობდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო 40-იანი წლებიდან 50-იანი წლების დასაწყისამდე.**

ეს მკაცრად გასაიდუმლოებული სამეცნიერო კვლევები ცნობილი იყო „ჰარვარდის პროექტის“ სახელწოდებით. სწორედ იქ, ჰარვარდის პროექტის მკვლევარების ჯგუფში მუშაობისას გავეცანი ამ თემას.

**კარგად ორგანიზებულ ჯგუფს ადამიანებისა, რომლებიც ამ აკრძალული თემის საკითხებში კარგად არიან გარკვეულნი, შეუძლია, მონახოს და ხელისუფლების სათავეში მოიყვანოს მომავალი ლიდერები, როგორც პაიკები ლაზიერებად ჭადრაკის თამაშის დროს.**

თავისთავად იგულისხმება, რომ დეგენერატიული სექტის ბელადებს, რომლებიც კარგად იცნობენ ამ პრობლემას და რამდენიმე ათასწლეულის გამოცდილებას ფლობენ, გიგანტური უპირატესობა აქვთ იმათთან შედარებით, რომლებიც ცოდნის, მომზადების გარეშე, თანაც, ბრმად არიან ჩართული ამ თამაშში.

ჩვენ, ყველას (ტელევიზიით მაინც) გვინახავს, როგორ ვერ აკავებენ ჯანღონიანი სანიტრები ერთ ჩია ტანის გიჟს. ენერგია, რომლითაც გამორჩეულია ეს ჭკუიდან გადამდგარი, საუკეთესო ილუსტრაციაა იმისა, როგორი ჭეშმარიტად დაუძლეველი ძალა აქვს ჭკუასუსტ გადაგვარებულ სადისტს, ძალაუფლების სურვილით შეპყრობილ ნახევრად გიჟს.

ეს ადამიანები მასობრივი განადგურების იარაღივით არიან.

**დღეს უკვე ბევრმა იცის, როგორია ატომური ბომბის მოწყობის ძირითადი პრინციპები, მაგრამ მხოლოდ მცირე წრე განდობილი ადამიანებისა ფლობს ბირთვული იარაღის წარმოებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარს, და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორ შეიძლება ბირთვული ქობინის მიზანში მოხვედრა სახელმწიფო სტრუქტურების განადგურების მიზნით. იგივე შეიძლება ითქვას უმაღლესი სოციოლოგიის შესახებ, მაგრამ დეგენერატები ბირთვულ იარაღზე უფრო ეფექტიანები არიან ქვეყნების განადგურების საქმეში, ისეთივე საშიში, როგორც ბიოლოგიური იარაღი.**

დეგენერატებს, როგორც წესი, ეზიზღებათ ნორმალური ადამიანები. ხომ ცნობილია, რომ „ეშმაკს არ შეუძლია, უყვარდეს და არ უყვარს ისინი, ვისაც უყვარს“.

**საზიზღარ გადაგვარებულებს სადისტურ სიამოვნებას ჰგვრით იმის ხილვა, როგორ იწყებს ომს ერთი ნახევრად გიჟი, გარყვნილი ლიდერი, რომელიც მავან ქვეყანაში ხელისუფლების სათავეში დასვეს, მეორე ნახევრად გიჟის, გარყვნილი სადისტი ლიდერის წინააღმდეგ, რომელიც, ასევე, ხალხის მიერაა სხვა ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მიყვანილი, მილიონობით ნორმალური ადამიანი კი იღუპება დეგენერატიული სექტის ამ ლიდერების სადისტური სიამოვნების დასაკმაყოფილებლად.**

გინდათ, მკითხოთ, როგორ ახერხებენ ამას? ამას მასონობის საშუალებით ახერხებენ.

**მასონები, ილუმინატები, როტარები და ა.შ. (მათი სახელი ლეგიონია), ყურადღებით აკვირდებიან შესაძლო კანდიდატების ქცევას და, ძლიერი ჰომოსადისტური მიდრეკილებების დადასტურების შემთხვევაში, იწყებენ მათ დაწინაურებას ძალაუფლების ბერკეტებისკენ.**

**— როგორ უნდა ვიპოვოთ დეგენერატები?**

— ვიდრე ამ შეკითხვაზე გიპასუხებთ, გავარკვიოთ, რა არის დეგენერაცია.

უწინარეს ყოვლისა, მინდა, დავაზუსტო, რომ თვით ტერმინს „დეგენერატი“ ვიყენებთ, როგორც სამედიცინო ტერმინს, და არა როგორც შეურაცხმყოფელ სიტყვას. მათ, ვისაც არ ძალუძს ამ ტერმინის ხსენებაც კი (ასეთებს კი საკმაოდ ბევრს შევხვედრივარ 50 წლის განმავლობაში), შეუძლიათ, შეცვალონ იგი სიტყვით „გადაგვარებული“. ამბობენ, შველისო. ვიმეორებ, **ჩვენ გარშემო არსებულ რეალობაში სავსებით შესაძლებელია, რომ დეგენერატი აღმოჩნდეს ჩუმი, კარგად აღზრდილი ესთეტიკის პროფესორი ადგილობრივი უმაღლესი სასწავლებლიდან.**

მაშასადამე, დეგენერაცია არის ბუნებრივი პროცესი, რომელიც დედამიწაზე, ათასობით წელიწადია, არსებობს. დეგენერაცია ცხოვრების ციკლის განუყოფელი ნაწილია. დაბადება, სიჭაბუკე, მომწიფების ხანა, მოხუცებულობის დაისი, სიკვდილი — ეს პროცესი ინდივიდუალური ადამიანის დონეზე ყველა ჩვენგანისთვის კარგად არის ცნობილი და მისი ახსნა არავის სჭირდება, ამიტომ ჩვენ აქ ვილაპარაკებთ დეგენერაციის შესახებ კლანის დონეზე.

**ბევრმა ისტორიკოსმა უკვე მიაქცია ყურადღება იმას, რომ კლანების ცხოვრების ციკლი ძალიან ჰგავს ინდივიდუალური ადამიანის ცხოვრების ციკლს. ისე ჩანს, რომ ღმერთი (ან მშობელი ბუნება, თუ გნებავთ) თითოეულ კლანს დროის დაახლოებით ერთნაირ მონაკვეთს აძლევს ჩვენს ცოდვილ მიწაზე საარსებოდ.**

როცა ესა თუ ის კლანი გაივლის მომწიფების სტადიას და მოხუცებულობის დაისის სტადიაში შევა, ღმერთი (დედაბუნება) პირველი ზარით გააფრთხილებს. ეს ზარი კლანის წევრებს ეუბნება, რომ მოცემული კლანის დრო აქ, ამ დედამიწაზე იწურება, ქრება შთამომავლობის გაგრძელების სურვილი ბუნებრივი სქესობრივი ურთიერთობის გზით.

თუ კლანი ღმერთის ხმას ირწმუნებს და უშვილოდ დარჩება ან აღსაზრდელად სხვის შვილებს აიყვანს, მაშინ მას ოქროს სიბერე ექნება უზრუნველყოფილი. ამ დროისთვის კლანი უკვე ფინანსურად უზრუნველყოფილია.

**მაგრამ, თუ კლანი ღმერთის წინააღმდეგ აღდგება, მაშინ მისი წევრები შეეცდებიან, სხვადასხვა გზითა და საშუალებით მოატყუონ თვით ღმერთი.**

**მათ შეიძლება მოატყუონ ღმერთი ხელოვნური განაყოფიერებით, ყალბი ქორწინებით ან სხვა გარყვნილებით, მაგალითად, როცა ცოლი ქმრის ნებართვით წავა ადგილობრივ ლუდხანაში და ერთი ღამისთვის ამოირჩევს ჯანიან ყმაწვილს.**

ღმერთის წინააღმდეგ ამხედრებული კლანის წევრები, როგორც წესი, იწყებენ არა ნორმალურ, არამედ დეგენერატიულ ქველმოქმედებას — დეგენერატიული ხელოვნების, დეგენერატიული მეცნიერების, დეგენერატიული ლიტერატურის სასარგებლოდ.

ასეთ ეშმაკებს ღმერთი (დედაბუნება) მალევე მეორე ნიშანს მისცემს. მათ არანორმალურ სექსობრივ ცხოვრებას ფსიქიკური დაავადებებიც დაერთვება. თუ ამის შემდეგ კლანი მაინც განაგრძობს ღმერთთან ჭიდილს, მაშინ მესამე, საბოლოო მინიშნებაც არ დააყოვნებს თანდაყოლილი დეფექტების სახით... ნორმალურ, პრიმიტიულ პირობებში ეს კლანის ისტორიული სცენიდან გაქრობის გარანტირებული წინაპირობა ხდება; ორიოდე თაობის შემდეგ გაქრობა რეალურად იქცევა.

**მაშ, ასე — დეგენერაციას სამი სტადია აქვს: სქესობრივი გახრწნილება, ფსიქიკური დაავადებები, თანდაყოლილი დეფექტები.**

ახლა, რადგან უკვე გავერკვიეთ დეგენერაციის სტადიებში, შეიძლება დავუბრუნდეთ თქვენს შეკითხვას — **როგორ შეიძლება დეგენერატების პოვნა.**

მათი პოვნა ძალიან იოლია. საკმარისია, მოცემული კლანის საგვარეულო ხეს გადავავლოთ თვალი.

იგი ჯანმრთელია, თუ ბევრი ახალი, ჯანსაღი რტო აქვს (ჯანმრთელი ბავშვები), მაგრამ თუ ხმება, თუ ბევრი რტო უხმება (თვითმკვლელები, ფსიქიკურად დაავადებული, არანორმალური ბავშვები), კლანი დაისისკენ მიექანება. ყველაფერი, რისი გაკეთებაც ამ დროს შეგვიძლია, არის ის, რომ გავარკვიოთ, როგორია ეს დეგენატიული კლანი — ღმერთის მოშიში თუ ღმერთთან მებრძოლი.

ამის გარკვევაც იოლია.

**ყურადღებით დააკვირდით, რას უჭერს მხარს ეს კლანი მის გარშემო არსებულ რეალურ ცხოვრებაში: ხელს უწყობს დეკადენციის შხამის გავრცელებას ხელოვნებაში, მეცნიერებასა და ლიტერატურაში თუ მთელი ძალით ებრძვის ამ ნეგატივიზმს და მხარს უჭერს ნორმალურ ხელოვნებას, ნორმალურ მეცნიერებასა და ლიტერატურას.**

(გაგრძელება იქნება)

**«საზიზღარ გადაგვარებულებს სადისტურ სიამოვნებას ჰგვრით იმის ხილვა, როგორ იწყებს ომს ერთი ნახევრად გიჟი, გარყვნილი ლიდერი, რომელიც მავან ქვეყანაში ხელისუფლების სათავეში დასვეს, მეორე ნახევრად გიჟის, გარყვნილი სადისტი ლიდერის წინააღმდეგ, რომელიც, ასევე, ხალხის მიერაა სხვა ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მიყვანილი, მილიონობით ნორმალური ადამიანი კი იღუპება დეგენერატიული სექტის ამ ლიდერების სადისტური სიამოვნების დასაკმაყოფილებლად. მასონები, ილუმინატები, როტარები და ა.შ. (მათი სახელი ლეგიონია), ყურადღებით აკვირდებიან შესაძლო კანდიდატების ქცევას და, ძლიერი ჰომოსადისტური მიდრეკილებების დადასტურების შემთხვევაში, იწყებენ მათ დაწინაურებას ძალაუფლების ბერკეტებისკენ»**

ნიან.GE
ჩეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვაზ-ელინობა, ტარიფები და არიფები...

**მესამე წელიწადს იგრძნობთო! — გვითხრეს... მართლაც მაგრად ვიგრძენით. ფაქტობრივად, ყველაფერმა იმან, რის აწევასაც გვპირდებოდნენ, დაიწია და ყველაფერმა იმან, რის დაწევასაც ალგვითქვამდნენ, აიწია!**




„წამომცდა“ — ეს სისულელე რამ ათქმევინა, არ ვიცი, მაგრამ შთაბეჭდილება ისეთია, რომ, თუ არ წამოსცდა, აერია მაინც, ანუ ბიძინა ივანიშვილმა გვითხრა, — მე რასაც დაგპირდით, ეგ არ იყო გააზრებული ნათქვამი, წამოცდენა იყოო... სინამდვილეში კი, **როგორც ჩანს, უბრალოდ, აერია — ყურძენი დენის ტარიფი ეგონა, ხოლო დენის ტარიფი — ყურძენი!**

პრინციპში, როდესაც ენერგეტიკის მინისტრად ფეხბურთელი გყავს, ხოლო სოფლის მეურნეობის მინისტრად — ვიღაც „უცხო მოყმე“, სულაც არ არის გასაკვირი ასეთი არევები.

ამიტომაც **ყურძნის ფასმა, რომელსაც უნდა აეწია, მკვეთრად დაიწია, ხოლო დენის ტარიფის ფასმა, რომელსაც, წესით, უნდა დაეწია, პირიქით — საგრძნობლად აიწია.**

ტარიფები — ეს „ქართული ოცნების“ ძირითადი წინასაარჩევნო დაპირება იყო ძალადობისა და მანიაკიზმის აღმოფხვრის, სამართლიანობის აღდგენის შემდეგ. პირველი ნაწილობრივ რომ შესრულდა, ანუ უკანალში ხელკეტებს რომ არავინ გვიკეთებს, უკვე სამი წელიწადია, 24 საათის განმავლობაში გვაყვედრიან და ყელშიც ამოგვიყვანეს. „სამართლიანობის აღდგენა“ ყოველი არჩევნების წინ რომ ახსენდებათ და არჩევნების შემდეგ ავიწყდებათ, ამასაც შევეგუეთ.

ახლა უკვე არიფებივით აგვირიეს ტარიფებიც და ყურძნის ფასი ლარის კურსივით გააუფასურეს. კი, ბატონო, მესმის პოზიციაც, — სახელმწიფოს მეტი დახმარება არ შეუძლია და რა ვქნათ, რითაც შეგვიძლია, იმით გიმართავთ ხელსო... მაგრამ, **რაც არ შეგიძლია, იმას არ უნდა შეჰპირდე ხალხს და არ უნდა მოავლევინო მთელი წელიწადი ვაზი, თუკი მის ნაყოფს შეპირებულ ფასად ვეღარ ჩაიბარებ.**

სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ **ეს ამბები ზოგმა მართლაც ვაზთან დაკავშირებული პრობლემების გამო დაიწყო, ზოგმა კი ან ერთ, ან მეორე მხარეს შე-ვაზ-ელინებისთვის გამოიყენა.**

## თუკი «სახელმწიფომ უნდა დამასაქმოს» საბჭოური მენტალიტეტი და კომუნისტური აზროვნებაა, მაშინ «ჩემი ყურძენი სახელმწიფომ უნდა იყიდოს» რატომ არ არის იგივე საბჭოთა მენტალიტეტი და კომუნისტური აზროვნება?

„ნაციონალების“ მხარეს შე-ვაზ-ელინებულთა ლოგიკა განსაკუთრებით საინტერესო იყო:

მათი თქმით, სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს თითოეული მოქალაქის ბედზე, კეთილდღეობაზე, მომავალსა და ა. შ. არავის არაფერი აქვს ამის საწინააღმდეგო, მაგრამ საინტერესოა ერთი რამ — ეს სწორედ ის ხალხია, რომელიც 2003-დან 2012 წლამდე აქტიურად გამოდიოდა ტელეეთერში და უმუშევრობის პრობლემაზე საუბრისას გამოთქვამდა უკიდურეს გაკვირვებას, — რატომ ითხოვს ეს ხალხი სახელმწიფოსგან დასაქმებასო?!

**მათი „ლოგიკა“ ასეთი იყო: მოქალაქემ სამსახური თვითონ უნდა იშოვოს. სახელმწიფოსგან დასაქმების მოთხოვნა არის „კომუნისტური“ აზროვნება. ახლა კომუნიზმი აღარ არის, კაპიტალიზმია. ლიბერალური და საბაზრო ეკონომიკაა. ეს საზოგადოება ჩარჩენილია „საბჭოთა მენტალიტეტში“ და იმიტომ სთხოვს სახელმწიფოს დასაქმებას. უნდა შეიგნოს ყველამ, რომ საბჭოთა კავშირი დაინგრა!**

ყველაფერი კარგი! კი, ბატონო, აქვს მავანს ასე ტუტუცურად აზროვნების უფლებაც, მაგრამ, იმავე „მავანს“ ტელეეკრანზე რომ დაინახავ, მევენახეების გვერდით მთელი ხმით როგორ გაჰყვირის, — სახელმწიფომ ყურძენი უნდა ჩაიბაროს არათუ 1 ლარად, არამედ 2 ლარად, 3 ლარად და რამდენსაც საზოგადოება მოითხოვს, იმდენადო — აი, აქ რომელი ლოგიკა ვეძებოთ?

**თუკი „სახელმწიფომ უნდა დამასაქმოს“ საბჭოური მენტალიტეტი და კომუნისტური აზროვნებაა, მაშინ „ჩემი ყურძენი სახელმწიფომ უნდა იყიდოს“ რატომ არ არის იგივე საბჭოთა მენტალიტეტი და კომუნისტური აზროვნება?**

არა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არც მევენახეებს ვაკრიტიკებ და არც ეს თვალსაზრისი მიმაჩნია „საბჭოურ მენტალიტეტად“. ვფიქრობ, სახელმწიფომ სამუშაო ადგილებიც უნდა შექმნას და შეძლებისდაგვარად მევენახეებსაც დაეხმაროს, მეფუტკრეებსაც და სხვა დარგის წარმომადგენლებსაც...

მაგრამ ამ ორმაგსტანდარტიან ადამიანებს რა მიზანი ამოძრავებთ?

ვითომ რაო? **როდესაც მათი ბელადი მართავდა ქვეყანას, მაშინ არაფერი ევალებოდა სახელმწიფოს და ახლა უკვე მიავიწყდათ ნაქები „კაპიტალიზმი“ და „ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა“? ვეღარც „კომუნისტურ აზროვნებას“ ამჩნევენ სადმე და არც საბჭოთა კავშირი დანგრეულა ჯერ?**

სიმართლე გითხრათ, **სწორედ ამიტომ მიეცა სხვა ელფერი მევენახეთა ამ გამოსვლებს, რადგან, რა თქმა უნდა, ძნელია, დაიჯერო იმ „დაზარალებულისა“, რომელიც ასეთ ადამიანებს მათი გვერდით დგომისა და მათ პრობლემებზე საუბრის უფლებას მისცემს...**

სხვა მხრივ კი, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სახელმწიფომ აუცილებლად უნდა შეუწყოს ხელი ნებისმიერი სფეროს განვითარებას და განსაკუთრებით — საქართველოსთვის ისეთი სავიზიტო ბარათისა, როგორიც არის ვაზი, ყურძენი და ღვინო.

დასასრულ, რაღა თქმა უნდა, ამ თემის ზოგიერთი საშუალო მოხელის მიერ ვაზ-ელინად გამოყენება არც „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის მხარეს არის მოსაწონი...

**«წამომცდა» — ეს სისულელე რამ ათქმევინა, არ ვიცი, მაგრამ შთაბეჭდილება ისეთია, რომ, თუ არ წამოსცდა, აერია მაინც, ანუ ბიძინა ივანიშვილმა გვითხრა, — მე რასაც დაგპირდით, ეგ არ იყო გააზრებული ნათქვამი, წამოცდენა იყოო... სინამდვილეში კი, როგორც ჩანს, უბრალოდ, აერია — ყურძენი დენის ტარიფი ეგონა, ხოლო დენის ტარიფი — ყურძენი!**

# პოლიტიკური პოეზია

**ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები თანამედროვე პოეზიაშიც აისახა.**

რედაქციაში გვეწვია შექანებულ პოეტთა გაერთანების თავმჯდომარე, არალიტერატურული პრემია „ტაფა“-ს სამგზის ლაურეატი, ექვსი პოეტური კრებულის ავტორობის მსურველი და ქართველ კლასიკოს პოეტთა ლექსების საუკეთესო პლაგიატორი, თავადაც პოეტი სტრიქონ მარცვალაძე.

წინამდებარე ლექსი ბატონმა სტრიქონმა ყველაზე აქტუალურ თემას — მომავალ, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს მიუძღვნა. ლექსი იწყება ყველაზე პრობლემური თემატიკით: „ნაციონალებიდან“ „ოცნებაში“ გადაფრენის მსურველი ინტრიგნებით, გრძელდება პარტიების უსაქმურობის მანიშნებელი ლიტერატურული წიაღსვლით, რომელსაც მოსდევს პარლამენტართა წინასაარჩევნო დაპირებების ამსახველი მეტაფორები და სრულდება მეტად პოეტური კითხვით იმის შესახებ, თუ კიდევ რამდენი ნაძირალის „გაპრავებას“ აპირებს „ქართული ოცნება“.

ლექსი საინტერესოდ იკითხება, თუნდაც იმიტომ, რომ ძალიან გვაგონებს გალაკტიონის ცნობილ ლექსს „თეთრი პელიკანი“.

მაშ, ასე: გთხოვთ, შეაფასოთ ბატონი სტრიქონის შემოქმედება.

### თეთრი ინტრიგანი

**გადმოფრენას ეს ჯიგარი**
**„ოცნებაში“ აპირებს,**
**დღეს იქ არი, ხვალ აქ არი,**
**ზეგ სხვას გაინაპირებს.**
**ასე მოდის არჩევნები,**
**სიზმარივით მდევარი**
**და იცვლება პარტიებიც —**
**უქმი, შემაქცევარი.**
**რომ ისმოდეს პარლამენტის**
**ტრიბუნიდან „ჰანგები“,**
**დაეთოვოს უფრო მეტი**
**ხელფასს დანამატები.**
**ხალხი ტირის და როს კაკას**
**არჩევნებზე გვპირდებით,**
**მერე აღარც გაატრაკოთ, —**
**წამოგვცდაო ფიქრები!**
**კვლავ ჩაივლის არჩევნები,**
**მეტი ვის რა ადარდებს,**
**დაითვლება ისევ ხმები,**
**გაიყოფენ მანდატებს...**
**„ოცნებაო“! დაიღალა**
**ხალხი — ყრმაც და ბებერიც!**
**კიდევ ბევრი ნაძირალა**
**დაგრჩა „საპრავებელი“?**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნიან.GE

# ვისი შოუ გსურს




# ანუ ვისი მიკროფონი ვის სამონტაჟოშია?

**ჩემი თაობის წარმომადგენლებს, ყველას, ბავშვობაში ნათამაშები გექნებათ „ვისი სული გსურს?“. შეგახსენებთ ამ თამაშს: ბავშვების 2 მწკრივი ერთმანეთის პირისპირ დგებოდა და ერთმანეთს გასძახოდა, — „ვისი სული გსურს?“ როდესაც ერთი მწკრივი მეორიდან რომელიმეს ამოირჩევდა, „რჩეული“ გაექანებოდა და ცდილობდა, მოპირდაპირე ბავშვების ჩაკიდებული ხელების ჯაჭვი გაერღვია. ირჩევდა იმ ადგილს, სადაც, მისი აზრით, ყველაზე სუსტი ბავშვები იდგნენ. თუკი ამას შეძლებდა, აირჩევდა რომელიმე თანატოლს და თავის მწკრივში გადაიყვანდა. თუ არა და, თვითონ რჩებოდა მოწინააღმდეგის მწკრივში.**



წესით, თამაში მაშინ უნდა დასრულებულიყო, როდესაც რომელიმე მწკრივი „გამოილეოდა“, მაგრამ ფაქტია, რომ მუდამ ერთი მხარე გამარჯვებული ვერ იქნებოდა. მუდამ ერთსა და იმავე ჯაჭვს ვერც „გაწყვეტდნენ“ და ერთი და იგივე მუდამ „გაუწყვეტელი“ ვერ დარჩებოდა. ამიტომ ხან ერთი მწკრივი შეთხელდებოდა ხოლმე, ხან მეორე, მაგრამ ბოლომდე არც ერთი არ ილეოდა, შესაბამისად, თამაშიც დაუსრულებლად გრძელდებოდა, ვიდრე ბავშვები არ დაიღლებოდნენ ან არ მოსწყინდებოდათ...

მგონი, აღარც არის დაკონკრეტება და განმარტება საჭირო, როგორ ჰგავს ეს თამაში ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ქართულ ტელევიზიებში მიმდინარე პროცესებს.

ჰო, მართლა, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ამ თამაშს გარკვეული ბავშვური „ეშმაკობებიც“ ახასიათებდა. მაგალითად, თუკი „ამორჩეულს“ მოწინააღმდეგის მწკრივში დარჩენა სურდა (ამის მიზეზი კი მრავალნაირი შეიძლებოდა ყოფილიყო — იმ მწკრივში იდგა მისი შეყვარებული ან საუკეთესო მეგობარი და ა. შ.), იგი ვითომ ვერ „გაწყვეტდა“ მწკრივს და, ბუნებრივია, იქვე რჩებოდა.

სამაგიეროდ, მისი „კონკურენტი“ ეჭვიანობის ნიადაგზე დაეტაკებოდა სწორედ იმ ადგილს, სადაც იმ პირველის შეყვარებული იდგა, ჯაჭვს „გაწყვეტდა“ და თანაგუნდელს თავის მწკრივში დააბრუნებდა...

აი, სწორედ ასე მიმდინარეობს ქართულ ტელესივრცეში თოქშოუების გახსნა-დახურვები, მათი ავტორ-წამყვანების გაქცევა-გამოქცევები, გადასვლა-გადმოსვლები, გადაყვან-გადმოყვანები თუ გადაბირება-გადმობირებები.

ვფიქრობ, **საქართველო მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ერთი და იმავე ტელესახეს სამი და მეტი კონკურენტი ტელევიზიის ეკრანი აქვს მოვლილი, იქნება ეს საინფორმაციო პროგრამების წამყვანის ამპლუა თუ საავტორო თოქშოუში პოზირება-პრანჭვა-გრეხა.**

აი, სწორედ საავტორო თოქშოუებია ქართული ტელესივრცის ყველაზე მტკივნეული „მაზოლი“ და, აქედან გამომდინარე, ამჯერად ჩვენი სტატიის მთავარი თემაც.

ზოგიერთი ტელეკომპანიის მიერ თითქმის ერთი თვის წინათ მიღებული გადაწყვეტილება, მათ ეთერში არსებული თოქშოუების დახურვისა და მათი წამყვანების ახალი სახეებით ჩანაცვლების შესახებ მთელი თვის განმავლობაში მედიასაშუალებების მთავარ თემად იქცა.

საზოგადოების ერთმა ნაწილმა „იმედიდან“ ინგა გრიგოლიასა და „პირველი არხიდან“ ეკა მიშველაძის „გაქრობა“ ლამის ეროვნულ ტრაგედიად აქცია. ამით შესანიშნავად ისარგებლა „რუსთავი 2“-ის ნაპროკურორალმა დირექტორმა, თუმცა არა მხოლოდ მან.

**ვისაც კი ოდესმე რომელიმე ტელევიზიაში საავტორო თოქშოუ ჰქონია, ყველა „დემოკრატიისთვის ჯვარცმულად“ მოგვევლინა და საზოგადოებას თავი ხმამაღალი განცხადებებით შეახსენა.**

სიმწრის ღიმილის მომგვრელი იყო **ვახო სანაიას** გამოხდომაც, როდესაც მან, ფაქტობრივად, განაცხადა, რომ შარშან თუ შარშანწინ, ტელეკომპანია „მაესტროზე“ მისი თოქშოუს დახურვით დაწყებულა ქართული დემოკრატიის დასასრული(?!).

არადა, **საკითხავი ის კი არ არის, რატომ დახურა ტელეკომპანია „მაესტრომ“ ვახო სანაიას თოქშოუ, არამედ 2012 წლის არჩევნების შემდგომ პერიოდში საერთოდ რატომ მიიწვია წამყვანად და აქედან გამომდინარე — ტელევიზიის სახედ, მაშინ, როდესაც ეს არხი „ნაციონალური მოძრაობის“ ყველაზე ხისტ მოწინააღმდეგედ გვევლინებოდა?**

აკი, ვახო სანაია მთელი 9 წლის განმავლობაში სწორედ „ნაცების“ მეხოტბე ჟურნალისტი გახლდათ, ზედმიწევნით ასრულებდა მათ მითითებებს; თითქმის დადასტურებულია ინფორმაციაც, რომ „პირველ არხზე“ მუშაობისას

# ვიღაცას სურს, გვარამია საზოგადოებაზე, როგორც ვირზე, შესვას და ჯოხზე ტელევიზორი ჩამოუკიდოს

მას გადაცემებს პირადად **მიშა თავხელიძე** და **ალეკო ფარულავა** უგეგმავდნენ **ვანო მერაბიშვილის** უშუალო მითითებით...

ქვეყანაში ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ მიერ „მედიის შეზღუდვების“ გამო ვახო სანაიასა თუ **ეკა კვესიტაძისნაირები** უტიფრად მოთქვამენ და ყოვლად გაუმართლებელი ამბიციით აცხადებენ, რომ, თუკი რომელიმე ტელევიზიის ეთერში მათი საავტორო თოქშოუები არ გადის, ეს უკვე ჩვენი ქვეყნის საბოლოო დაღუპვა და აპოკალიფსის დასაწყისია.

ცალკე თემაა „პირელი არხის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქშოუს ყოფილი წამყვანის — **ეკა მიშველაძის** ამბავი. როგორც აღმოჩნდა, მიშველაძის გათავისუფლების მთავარი მიზეზი მისი გათხოვებაა „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთ ლიდერზე, ყოფილ მინისტრ ალექსი (ბუკა) პეტრიაშვილზე.

ყოფილი წამყვანი ამას კატეგორიულად აპროტესტებს და ირონიის საბაბადაც კი იყენებს, რომ თურმე ჟურნალისტს გათხოვების გამო ჩაგრავენ.

არადა, მე, პირადად, 1996 წელს გავლილ ამერიკულ სემინარებზე ჯორჯიას შტატის გაზეთ „ზე ნიუს ენდ ობზერვერის“ მთავარმა რედაქტორმა დასმულ კითხვაზე ასე მიპასუხა: **„ჟურნალისტი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევიდეს ახლო კონტაქტში სახელმწიფო მოხელესთან ან მოქმედ პოლიტიკოსთან, არათუ გახდეს მისი ოჯახის წევრი. ისინი, ელემენტარულად, ვინმემ ერთად კაფეში მსხდომნი რომ შეამჩნიოს, ასეთი ჟურნალისტი უკვე ნდობას კარგავს და მისი მუშაობა რომელიმე მედიასაშუალებაში ყოვლად შეუთავსებელია ზნეობასთან!“.** თუ არ ვცდები, აქვე მომიყვანა **ჟაკლინ კენედის მაგალითი, როდესაც მან მომავალ პრეზიდენტზე ქორწინების გამო ჟურნალისტის კარიერაზე უარი თქვა.**

მიაქციეთ ყურადღება — თვითონ თქვა უარი!

აი, ამას ჰქვია სწორედ პროფესიის პატივისცემა და სიყვარული. **ჟაკლინ კენედიმ არ გაუტეხა სახელი თავის პროფესიას და შეელია მას. ეკა მიშველაძე კი, ჩემი პატივისცემის მიუხედავად, სრულიად უადგილოდ ითხოვს, დაუსახელონ კანონი, რომლითაც აკრძალულია მოქმედი ჟურნალისტის პოლიტიკოსზე გათხოვება...**

ასეთ კანონი, რა თქმა უნდა, არ არსებობს, მაგრამ არსებობს ელემენტარული ჟურნალისტური ზნეობა, რომელიც გამუდმებით ირღვეოდა ხელისუფლებაში „ნაცების“ ყოფნის პერიოდში, როდესაც ლამის ყველა ტელეწამყვანი რომელიმე ნაცპარლამენტარის, მინისტრის მოადგილის ან გუბნერნატორის ცოლი იყო.

ვფიქრობ, თუკი „პირველი არხი“ ამ ძალიან უზნეო „ტრადიციას“ დაარღვევს, აქ გასაპროტესტებელი არაფერია, რადგან **არხზე თოქშოუს ისეთი წამყვანის ყოლას, რომლის გამოჩენისას მაყურებელთა 80 პროცენტი ფიქრობს, რომ ის თავისი მეუღლის ინტერესებს ითვალისწინებს და მისი პოლიტიკური ჯგუფის რუპორია, სჯობს, საერთოდ არანაირი თოქშოუ აღარ გქონდეს.**

თუმცა, რა თქმა უნდა, საუკეთესო გამოსავალი ეს არ არის და იმედია, ტელევიზიები გაუქმებული თოქშოუების წამყვანების ნაცვლად ახლებს გამოძებნიან.

უნდა ვაღიაროთ, რომ, ამ მხრივ, ყველაზე მეტად სწორედ ტელეკომპანია „იმედს“ გაუჭირდება. მიმაჩნია, რომ **ინგა გრიგოლიას** სრულფასოვანად შეცვლის რესურსი ამ ტელევიზიას ამ ეტაპზე არ აქვს. დავაკონკრეტებ: აქ გრიგოლიას „ძლიერ“ თუ „სუსტ“ ჟურნალისტობაზე არ მაქვს საუბარი. ამ თემაზე ყველას თავისი თვალსაზრისი შეიძლება ჰქონდეს. უბრალოდ, გრიგოლიას აქვს თავისებური „ტელექარიზმა“ და მას რეიტინგი, შეიძლება ითქვას, „თან დაჰყვება“ ნაკლებად პოპულარულ ტელევიზიაში მუშაობის პირობებშიც კი.

ერთი რამ კი აუცილებლად უნდა აღინიშნოს — მართლაც არ არის გამორიცხული, ტელევიზიებიდან თოქშოუთა ასე ერთბაშად გაქრობა ვილაცის მიერ ჩატარებული „პოლიტიკური ფოკუსი“ იყოს. თუმცა, საპირწონედ, იმასაც მივაქციოთ ყურადღება, რომ მოცემულ შემთხვევაში ეს ამ თოქშოუთა მესვეურების აშკარად გამოხატულ „კოალიციურ“ ინეტერესებს უკავშირდება. **გავიხსენოთ ამ ზაფხულს სოციალურ ქსელებში გავრცელებუყლი ფოტო, რომელზეც ეს ჟურნალისტები ამერიკის შეერთებულ შტატებში, სავარაუდოდ, ირაკლი ალასანიას მიერ ორგანიზებულ ერთობლივ ე.წ. მედიატურში მო-** ▶

# ნიან.GE

SCREEN-SHOW

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


◀ **ნაწილეობისას არიან გამოსახულნი.**

გონივრულია ეჭვი, რომ გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალამ „ერთობლივი სტრატეგია“ დაუსახა მათ, რომლის გამოც მოწინააღმდეგე და უფრო მეტი გავლენის მქონე პოლიტიკურმა ძალამ თავისი უხილავი ბერკეტები აამოქმედა და ისინი ტელეეკრანებს ჩამოაშორა...

ასეთ ვარაუდებს კიდევ უფრო ამყარებს ისიც, რომ „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი **ნიკა გვარამია** ზედმეტი ემოციით ჩაერთო ე.წ. „საპროტესტო ეთერებში“, ხოლო თოქშოუების ხსენებული წამყვანები ლამის ერთ გუნდად და ერთ მონოლითურ კოლექტივად წარმოგვიდგნენ **გიორგი გაბუნიას** თოქშოუში...

ყოველივეს ისეთი ელფერი დაჰკრავს, რომ ნიკა გვარამიას თოქშოუთა ფარულ „ქურუმად“ კურთხევას აპირებდნენ, ანუ, მიშასდროინდელი ყველა ტელევიზიის დაუფარავი კონტროლის მეთოდისგან განსხვავებით, იყო არა მთლიანად ტელევიზიების, არამედ მათ ეთერებში გამავალი თოქშოუების კონტროლის ერთ ხელში (ნიკა გვარამიას) ფარული მობილიზების მცდელობა, და ვის ინტერესებს მოემსახურებოდა ეს „თოქშოუთა“ ფარული კოალიცია, **ნიკა გვარამიამ, ჭკუა არ ეყო და, ღიად განაცხადა: „ჩვენი აშკარა სიმპათია „ნაციონალურ მოძრაობას“, ალასანიას „თავისუფალ დემოკრატებსა“ და პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს ეკუთვნის!“**

მოგვიანებით ინგა გრიგოლიამ ვერ მოითმინა და „ფეისბუქზე“ სრულიად საქართველოს გააგებინა: **„პრეზიდენტს დავუმესიჯე და შევატყობინე მომხდარი. მან დამირეკა და დიდხანს ვისაუბრეთ. ვნანობ, რომ თავის დროზე მარგველაშვილს ხმა არ მივეცი!“...**

ინგა გრიგოლიას მიმართ ჩემი პატივისცემა, რიგი მიზეზების გამო, უპირველესად, იმის გამო, რომ მას უკან არასოდეს დაუხევია მანიაკი „ნაციონალების“ ქმედებების გაპროტესტებისგან, არაერთხელ აღმინიშნავს... მაგრამ გული მეუბნება, რომ **ინგა კიდევ ერთხელ ჩაითრიეს ბინძურ თამაშში. ვფიქრობ, იგი ამჯერადაც დროზე გაერკვევა რეალობაში და საბოლოოდ მაინც თავის სიტყვას იტყვის...**

რაც შეეხება ნიკა გვარამიას, ის საზოგადოებას ზურგზე აზის და მისი თავის ჭკუაზე ტარების მოსურნე ადამიანს მაგონებს. გეცოდინებათ, ვირზე გადამჯდარ კაცს ცხოველის ცხვირწინ ჯოხზე ჩამოკიდებული თივა რომ უჭირავს. ვირი ამ თივას მისდევს, მაგრამ ვირი რომ მიდის, თივაც „მიდის“ და ცხოველიც ინსტინქტურად უსასრულოდ მიჰყვება მისთვის სასურველ საკვებს. **აი, სწორედ ასე სურს ვიღაცას, გვარამია საზოგადოებაზე, როგორც ვირზე, შესვას და ჯოხზე ტელევიზორი ჩამოუკიდოს.**

ვნახოთ, რა გამოვა აქედან და რამდენად არის ქართველი საზოგადოება ჯერაც ჩარჩენილი „ვირის აზროვნებაში“...

# «კვესიტაძის წამება»

**გამაოგნებელი უტიფრობა! — სხვა რა შეიძლება ეწოდოს შოუვუმენ კვესიტაძის ამ ფრაზას — „წინა ხელისუფლებაც აკონტროლებდა მედიას და მეც ვიყავი ამის მსხვერპლი“?!**

„მსხვერპლი“ ყოფილა!

თანაც, წინა ხელისუფლება-„ც“ აკონტროლებდა მედიასო!

წინა ხელისუფლება ტოტალურად აკონტროლებდა, ჩაგრავდა, აწიოკებდა, „აჩმორებდა“ და ახლა ახალი ხელისუფლება-„ც“ ცდილობს, აკონტროლოსო, — ეს მაინც რომ ეთქვა, კიდევ ხო!

არა, თურმე პირიქით — **ეს ხელისუფლება ყოფილა „მედიაურჩხული“ და, აი, წინა ხელისუფლება-„ც“ ისე, უბრალოდ, დიდი მოწიწებითა და მორიდებით, გაუბედავად აკონტროლებდა თურმე მედიას...**

საწყალი კვესიტაძე...

ახლა მართლა შემეცოდა!

**შენ მოგიკვდეს ჩემი თავი, ჩაგრულო, მსხვერპლო ეკა! ვინ იცის, რამდენჯერ ჩაგიკბეჩია იდაყვი და ჩაგიკვნეტია მჟილი სიმწრისაგან, როდესაც იმ უზნეობის, უტიფრობის, უნამუსობისა და შხამის ნთხევას „გაძალებდნენ“, რომელსაც ანთხევდი, მაგრამ... ეჰ, რას გააწყობდი ასეთი უმწეო, პატარა, სიფრიფანა გოგო ამხელა სახელმწიფო მონსტრის, მჩაგვრელთა ურდოს, საზიზღარი სპეცსამსახურების წინააღმდეგ?!**

**იმდენიც კი ჰქენი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის უფროსს ცოლად გაჰყევი, მაგრამ ვერ მოდრიკე! ვერ მოარჯულე! ვერ მოათვინიერე!**

არა უშავს! საბოლოოდ დაუნახავი არაფერი რჩება და მადლიერი შთამომავლობა, დრო მოვა, აუცილებლად დააფასებს შენს ღვაწლსა და დაუღალავ ბრძოლას!

დიდება ხალხისთვის წამებულ თოქშოუების წამყვანებს!

დიდება „მსხვერპლებს“, წამებულო ეკა!

**ფრაზები ციკლიდან „უტიფრობის გაკვეთილები“ გრძელდება...**




# უტა ივანიშვილი — «ქართული ოცნების» საპარლამენტო სიის პირველი ნომერი?



უტა ივანიშვილი ქართული ოცნების საპარლამენტო სიის პირველი ნომერი იქნება!

**თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ ამ ინფორმაციის დადასტურება ჯერჯერობით არ ხერხდება, თუმცა იგი მნიშვნელობით მსოფლიო დონის ნიუსებს გა-უტა-ნაბრდა...**

21-ე საუკუნის საქართველოში ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის მოწინააღმდეგეთა არგუმენტები სავსებით გასაგებია, ამიტომ, მოდი, ამჯერად მის **უტა**-ვმოყვარეო მომხრეებს მოვუსმინოთ:

***„ამ ქვეყანაში უტა-ვბოლობა საბოლოოდ უნდა დასრულდეს! სწორედ ამიტომ მალე ამ ქვეყანას ერთ პატარა კაცი უტა-მადებს!**

*ეს განაჩენი ჩვენ საქართველოს უკვე გამოვ-**უტა**-ნეთ!

***გპირდებით, ვინც მას გვერდით დაუდგება უტა-ნამდებოდ არ დარჩება!**

*ვინც შეგვეწინააღმდეგება, ცოტა **უტა**-ქტობა კი გამოგვდის, მაგრამ პირდაპირ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ნუ **უტა**-კებთ თქვენ ამ კარგ და განათლებულ ბიჭს!

***ნუ ხართ ასეთი ა-უტანლები და გა-უტა-ნლები!**

*შეიძლება ყველაფერი ბოლომდე კარგად არ მიდის, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ იოლად და **უტა**-ნჯველად არაფერი გამოდის ცხოვრებაში!

***ამიტომ ზოგიერთს უტა-ნალი ნუ უტა-ნტალებს და წყნარად იყოს!**

თორემ თუ გავბრაზდით **უტა**-ტა-ტა-ტა-ტაააა“-ო, — აცხადებენ ისინი.

ჩვენი მხრიდან დავამატებთ: ნურავის დაავიწყდება, რომ, რაც უნდა იყოს, სამშობლო მაინც ყველაზე **უტა**-ვრესია და, თუკი ვიღაც-ვიღაცები ძალიან ამოვიდნენ ყელში, ხალხი მათ იმისთანას **უტა**-ვაზებს, რომ მერე ნახონ, ვისი **უტა**-ტა-ტა-ტა-ტა აჯობებს!

# გა-ფრაზ-ებულები

## მაია ასათიანი:



**„ახალი სეზონიდან მე დავუბრუნდები სერიოზული ჟურნალისტიკის ჟანრს. გავაკეთებ ჟურნალისტურ სიუჟეტებს, რადგან სიყვითლის და სხვის პირად ცხოვრებაში ქექვის დრო ახლა უკვე აღარ არის. ქვეყანაში უკვე უამრავი პრობლემაა და ყურადღება ამას უნდა მივაქციოთ“.**

**რედაქციისაგან:** სხვა თემაა და სხვა საკითხია, რამდენად ხარისხიანი შეიძლება იყოს მარიო ჩიმაროს ფავორიტი „ჟურნალისტკას“ სერიოზულად ნაჟურნალისტარი. ეს მაყურებელმა შეაფასოს...

ჩვენ, უბრალოდ, იმას გავუსვამთ ხაზს, რომ **ვეთანხმებით მაია ასათიანის პათოსს. აბა რა, 2003-დან 2012 წლამდე პერიოდში განა სადმე არსებობდა რაიმე პრობლემა? სერიოზული კი არა, არასერიოზული პრობლემაც კი არავის ჰქონია!**

განა შეიძლება ადამიანების ქუჩებში უმოწყალოდ ხოცვა, მშვიდობიანი დემონსტრაციების განუკითხავი რბევა, უარგუმენტოდ ათიათასობით ადამიანის ციხეში ჩაყრა, იქ მათი წამება და დამოუკიდებელ ტელეკომპანიაში ავტომატებით შეიარაღებული სპეცრაზმის შევარდნა პრობლემებად მივიჩნიოთ?!

**ჰოდა, აბა, რა ექნა მაიკოს? იდგა და იმ უპრობლემო ქვეყანაში 9 წელიწადი იქექებოდა სხვის პირად ცხოვრებაში და ეთერს გულმოდგინედ აყვითლებდა.**

ერთია, **ჯერ არ ვიცით, მაია ასათიანის „სერიოზულ ჟურნალისტობას“ რა ფერად აღიქვამს მაყურებელი.**

პალატა N41

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნიან.GE

# იდენტობის «კოალიციური» აშლილობა «ქართულ ოცნებაში», ანუ უტა-ვმოყვარეობის მორიგი გაკვეთილი?

**არა, არაფერი შემშლია. საქმე ისაა, რომ ვისაც ფსიქოლოგიურ მეცნიერებასთან შეხება ჰქონია, აუცილებლად მომცემდა შენიშვნას: მაგას, „კოალიციური“ კი არა, „დისოციაციური“ აშლილობა ჰქვიაო. დიახ, ბატონო, ეგ მასეა, როდესაც საქმე პიროვნებას ეხება და ამ დიაგნოზს სამედიცინო ფსიქოლოგიასა და ფსიქიატრიაში „პიროვნების გაორებასაც“ უწოდებენ.**

როგორც ცნობილია, „პიროვნების გაორება“ უიშვიათეს დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნება და ის კონკრეტულ ინდივიდებს ემართებათ ხოლმე. საქართველოში კი უკვე, მგონი, ვხდებით მოწმე, როდესაც ეს დაავადება პოლიტიკურ ავანსცენას იპყრობს და არა მხოლოდ ერთ პოლიტიკურ პარტიას, არამედ მთელ კოალიციას ემართება.

აი, სწორედ ამიტომ ვუწოდეთ ამ სრულიად ახალ დაავადებას „კოალიციური აშლილობა“!

აბა, სხვა რა უნდა ეწოდოს ასეთ ინფორმაციას: **„2016 წელს „ქართული ოცნება“ არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას და გაემიჯნება „ქართულ ოცნებას“...**

ანუ, „ქართული ოცნება“ დატოვებს „ქართულ ოცნებას“ და გახდება „ქართული ოცნება“...

ვაჰ, რაღაც უცნაურია, არა?

აი, სწორედ ამიტომ მივმართეთ მედიცინას და ფსიქიატრიას.

შევეცადოთ, უფრო კარგად გავერკვეთ: კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ გავა ბიძინა ივანიშვილის გუნდი, ანუ პარტია „ქართული ოცნება“... გასაგებია, მაგრამ ვინ დარჩება იქ? **ალასანიას გუნდი კოალიციას უკვე ჩამოშორდა. გუბაზ სანიკიძის, ზვიად ძიძიგურის, გია ჟორჟოლიანის პარტიებისა კი უკვე სახელწოდებაც აღარ ახსოვს არავის, მას შემდეგ, რაც ისინი კოალიციამ „შეიწოვა“. ასეა თუ ისე, ეს „ორკაციანი“ პარტიები სად იქნებიან და რას გააკეთებენ, ბევრს არც არაფერს შეცვლის.**

რა დარჩა?

მოდი, ყველაფერს საკუთარი სახელი დავარქვათ: **თუკი ყველაფერი ისე მოხდა, როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, გამოდის, რომ ბიძინა ივანიშვლი რესპუბლიკელებს ემიჯნება და „კოალიციიდან გასვლა“, უბრალოდ, ამ ყოველივეს ზრდილობიანი, დიპლომატიური შეფუთვაა და მეტი არაფერი.**

კარგი, ბატონო, და რისთვის სჭირდება ეს ან ერთ, ან მეორე მხარეს?

**რესპუბლიკელებისთვის არჩევნებში გამარჯვების ერთადერთი გარანტია ივანიშვილია. ამ პარტიის ლიდერები არასოდეს ყოფილან და არც არიან ალასანიას მსგავსი სულელები, რომ ეგონოთ, დამოუკიდებლად გამარჯვებას კი არა, თუნდაც ერთი წარმომადგენლის შეყვანას შეძლებენ პარლამენტში.**

მეორე მხრივ, ბიძინასთვის რესპუბლიკელები ამერიკის შეერთებული შტატების კეთილგანწყობის შენარჩუნების, ასევე, ერთადერთი ბერკეტია. მათ გარეშე ივანიშვილის საკმაოდ ოდიოზური და ხშირად კომიკური ფიგურებისგან შედგენილ გუნდს, საერთაშორისო კი არა, შინაურ ასპარეზზეც კი ძალიან უჭირს ფეხის მოკიდება.

აკი, საერთაშორისო პოლიტიკური სარბიელი საჩხერის ან სხვა რომელიმე რაიონი არ არის, რომ ბიძინას ავტორიტეტმა „იმუშაოს“ და რომელიმე კონკრეტული, ყოვლად ტუტუცი პერსონა ვინმემ „ფიგურად“ ჩააგდოს მხოლოდ იმიტომ, რომ მის გასწვრივ 41 წერია.

მოკლედ რომ ვთქვათ, კოალიციაში დარჩენილ ამ ორ მეტ-ნაკლებად სრულყოფილ სუბიექტს, როგორც ადამიანს სჭირდება ჟანგბადის შესუნთქვა და ნახშირორჟანგის ამოსუნთქვა და პირიქით, აი, ზუსტად ასე სჭირდება ერთმანეთი.

მაშ, **რას უნდა მიეწეროს მათი შესაძლო „გაყრა“?**

აქ ორი მიზეზი შეიძლება არსებობდეს:

**1. საგარეო ვექტორის მკვეთრი შეცვლა;**

**2. ახალი პერსონებისთვის საარჩევნო სიაში ადგილების გამოთავისუფლება.**

პირველი მიზეზი, თავისთავად რუსეთისკენ მკვეთრ შეტრიალებას და ნატოზე ოფიციალურად უარის თქმას, ანუ ე.წ. სომხურ გზას გულისხმობს. ასეთ შემთხვევაში ქართულ პოლიტიკაში რესპუბლიკელების ადგილი აღარ არის და ისინი თავიანთ ბუნებრივ პოზიციას უნდა დაუბრუნდნენ, ანუ იმ პოზიციას, რომელსაც მათი მხარდამჭერი ამომრჩევლის ნული მთელი ხუთი მეათედი პროცენტი ეკუთვნის.

თუმცა საგარეო პოლიტიკაში ასეთი მკვეთრი ცვლილებების რეალური წინაპირობა არ არსებობს. პირველ რიგში იმიტომ, რომ თვითონ ბიძინა ივანიშვილს, მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალებმა“ დიდი ხნის წინათ მონათლეს „პუტინის ბორიად“, საამისო არაფერი ეტყობა და ლიბერალურ-ფსევდოდასავლური ღირებულებების ხიბლშია ჩავრდნილი; მეორეც — ვფიქრობ, ამ ეტაპზე, რუსეთსაც ნაკლებად სურს, საქართველოს ჯეროვანი ყურადღება დაუთმოს და ამით გარკვეულწილად იძულებული გახდეს, დააბრუნოს ის ტერიტორიები, რრომლებიც ჩვენივე უთავბოლობის ეფექტიანად გამოყენებით წაგვართვა და დღემდე განაგრძობს მათ „შემომტკიცებას“.

ესეც რომ არა, რუსეთს ამჟამად ამისათვის არც სცალია, სამხრეთ-აღმოსავლეთით, კერძოდ, სირიასა და მის გარშემო, შექმნილი სიტუაციის გამო... მეორე მიზეზი, ცოტა უფრო რეალურია და ამ დღეებში საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, ამ მიზეზის ზუსტ ახსნასაც იძლევა.

**„2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ სიის პირველი ნომერი უტა ბიძინას ძე ივანიშვილი იქნება“,** — გვაუწყა ელექტრონულმა მედიამ. ჯერჯერობით ინფორმაციის დაზუსტება ვერ ხერხდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უტას შესაძლო გაპოლიტიკოსებაზე დიდი ხმაური მაინც ატყდა.

თუკი ეს ინფორმაცია მართალია, მაშინ უკვე ფაქტია, რა „შავ კატასაც“ გაურბენია „პიროვნების გაორების“ მქონე კოალიციაში. ფაქტია, რომ **რესპუბლიკელები სოსო ჯაჭვლიანის „იბიარდის“, თამაზ მეჭიაურის „მქსოველა პრეზიდენტის“ და თანაკოალიციელების სხვა მსგავსი სამარცხვინო გამოხდომების შემდეგ კიდევ ერთ სამარცხვინოობას — 21-ე საუკუნეში ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის მცდელობას, ვერ აიტანდნენ და საპარლამენტო სიაში უტა ბიძინოვიჩის პირველ ნომრად ჩასმას კატეგორიულად შეეწინააღმდეგებოდნენ.** დალახვროს ეშმაკმა და, აქ მხოლოდ სამარცხვინოობაზეც ხომ არ არის ლაპარაკი, „ბღარტი“ უტას უსუფაშვილ-ხიდაშელ-ბერძენიშვილების თავზე გადახტომა, აკი, ამ „ყოვლად ინტელექტუალი“ გვამების „კროვნი“ შეურაცხყოფაც იქნებოდა!

ახლა ივანიშვილების მხრიდან მივუდგეთ: როგორც ცნობილია, ოჯახთან დაპირისპირება, ეს უკვე კატეგორიულად მიუტევებელი ამბავია ივანიშვილებში. ვინც არ იცის, იცოდეს: ბიძინას „შიგა კანტორებში“ ეს მიღებული სიტყვაა. ვთქვათ, რაღაც გადაწყვეტილება უნდა აცნობონ ივანიშვილებისადმი დაქვემდებარებულ რომელიმე საწარმოს ან ორგანიზაციის დირექტორს. ასეთ შემთხვევაში, **თუკი „ზევიდან“ ითქვა სიტყვები „ოჯახმა გადაწყვიტა“, ეს უკვე აპელაციას არ ქვემდებარება!**

სწორედ ამიტომ პირადად ბიძინასთან სიტყვიერი შეკამათება ჯანდაბას, მაგრამ „ოჯახის“ წინააღმდეგ წასვლა ნამდვილად ძვირად დაუჯდებათ რესპუბლიკელებს. აქ უკვე აღარც საგარეო ავტორიტეტი დაეხმარებათ და დანარჩენში ისედაც ხომ „ფარჩაკები“ არიან...

გამოდის, **თუ უტას გაპირველნომრება სწორი ინფორმაციაა, მაშინ ეს ყველაფერს თავის ადგილას აყენებს და „ქართული ოცნების“ ახალ დიაგნოზს — „იდენტურობის კოალიციურ აშლილობას“ —უკვე სავსებით გასაგებს ხდის „პოლიტიკური მედიცინისთვის“.**

აქვე, სამართლიანობა მოითხოვს, ხსნებული ინფორმაციის ნამდვილობა-არანამდვილობასაც შევეხოთ.

პირველ რიგში, აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ ამ ცნობის გავრცელების შემდეგ მასზე ზოგიერთი ადამიანის რეაგირებამ უფრო დამაფიქრა და აღმაშფოთა, ვიდრე ცნობამ.

გახსოვთ, ალბათ, ჯერ კიდევ 2011 წელს ზუსტად ანალოგიური ინფორმაცია გავრცელდა **ნიკოლოზ მიხეილის ძე სააკაშვილის** პოლიტიკაში შესაძლო მოსვლაზე. აი, მაშინ საშინელი ყაყანი ატეხა არაერთმა ძალიან „დემოკრატმა“ და „თავისუფალმა“ ე.წ. მოღვაწემ.

— ეს რას ჰგავსო? ნახეთ მიშას თავხედობა სადამდე მივიდაო? 21-ე საუკუნეში ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემა ხომ ყველაზე სამარცხვინო რამეაო! ეს ხომ შუა საუკუნეობრივი გადმონაშთიაო! — ღაღადებდნენ ისინი.

**დღეს კი სწორედ ამავე ადამიანების კომენტარები „ნამუსზე აგდებს“ იმ მოქალაქეებს, რომლებიც უტას შესაძლო გაპირველკაცებას აპროტესტებენ და ეს ძალიან ცუდ ტონად, დაუშვებლად და უთავმოყვარეობად მიაჩნიათ.**

„დემოკრატიის დიადი დამცველების“ პოზიცია ამჯერად ასეთია: „რას შემოიხიეთ ტანზე? მერე რა, თუ უტა ივანიშვილი პოლიტიკაში მოვა? განათლებული ბიჭია, სამშობლო უყვარს; რადგან ბიძინას შვილია, არაფრის უფლება არ აქვს? და საერთოდ, რა თქვენი საქმეა, პოლიტიკაში ვინ წავა და ვინ მოვა?!“

აი, ეს ბოლო „არგუმენტი“ რომ განსაკუთრებით „მძიმეა“, ლაპარაკიც არ უნდა. **თურმე საზოგადოების საქმე სულაც არ ყოფილა, ვინ მოვა პოლიტიკაში.**

**ეგეც რომ არა, ნეტავ, რაშია საქმე? ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემა უკვე აღარ არის „შუა საუკუნეობრივი გადმონაშთი“? ან იქნებ 21-ე საუკუნე არ არის? ან ის, რაც არ ეპატიება სხვას, ძალიან იოლად ეპატიება „განათლებულ ბიჭ“ უტას?!**

აი, ასეთი აზროვნების ადამიანები ამუხრუჭებენ ამ ქვეყანას, თითქმის 30 წელიწადია, და, როგორც ჩანს, მსგავს ორმაგსტანდარტიანობას კიდევ დიდხანს არ ექნება დასასრული, ვიდრე საზოგადოების დიდი ნაწილი კარგად არ გამოფხიზლდება და ასეთებს საბოლოოდ არ მოკვეთს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან.

დასასრულ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ივანიშვილების არასამთავრობო საზოგადოებრივმა ორგანიზაცია „მოქალაქემ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომლითაც კატეგორიულად უარყო ხმები 2016 წლის საპარლამენტო საარჩევნო სიაში უტა ივანიშვილის ჩასმის თაობაზე...

თუმცა ერთგვარ ჟურნალისტურ ჩვევას მაინც ვერ ავუვლი გვერდს და დავაზუსტებ, რომ **მსგავსი „უარყოფები“ აქამდეც ბევრი გვინახავს. მოგვიანებით ეს „გავრცელებული ხმები“ მაინც დასტურდება ხოლმე და მერე „უარმყოფლები“ კიდევ ათასნაირ უაზრო მიზეზს იგონებენ, რატომ უარყვეს თავის დროზე ესა თუ ის ინფორმაცია...**

მსგავსი რამე განსკუთრებით სწორედ ბიძინა ივანიშვილს ეხერხება. საილუსტრაციოდ იმის გახსენებაც კმარა, როგორ განაცხადა თავის დროზე, მესამე წელს საკუთარ ჯიბეზე იგრძნობთო. მოგვიანებით ეს მან უარყო, — არა, ეგრე არ მითქვამსო!, როდესაც ჟურნალისტებმა ვიდეოჩანაწერი „სახეზე აააფარეს“, სრულიად უტიფრად განაცხადა: „ეგ კი არ ვთქვი, არამედ წამომცდა!“.

ასე რომ, მოდით, ერთი წელიც დავიცადოთ და ვნახოთ, კვამლი ამჯერადაც უცეცხლოდ გაჩნდა თუ პირიქით, როგორც უმეტეს შემთხვევებში ხდება ხოლმე, კოცონი საკმარისად გიზგიზებს?!



ВАС ТОЖЕ ВЫЛЕЧАТ!

ნახევარდაშლის პერიოდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კლოდ იზერლი აჯანყდა. მან განაცხადა, რომ ჰიროსიმასა და ნაგასაკიზე თავდასხმა „ბარბაროსობის მწვერვალს“ წარმოადგენდა, რომ ატომური ბომბი აუცილებლად უნდა აიკრძალოს, რომ ხიროსიმის საშინელება გაფრთხილება უნდა იყოს მათთვის, ვინც ისევ აპირებს ომის სახიფათო გზას დაადგეს.**

# ატომური პილოტი



იური ანოხინი

აშშ-მა ატომური ომის დოქტრინა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე შეიმუშავა, რომელიც აისახა აშშ-ისა და ნატოს ოფიციალურ სტრატეგიულ კონცეფციებში და ითვალისწინებდა ატომური იარაღით შეტევას მოწინააღმდეგეზე.

სსრკ-ისა და მოგვიანებით სხვა სახელმწიფოების მიერ ატომური ბომბის შექმნის შემდეგ კი ცხადი გახდა, რომ ატომური იარაღის გამოყენება საპასუხო დარტყმას გამოიწვევდა და კატასტროფის წინაშე დააყენებდა დედამიწას, გაანადგურებდა კაცობრიობას.

ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თავს დემოკრატიის შუქურად მიიჩნევს, სინამდვილეში სხვა ქვეყნებში დემოკრატიის გავრცელების საბაბით ინტერვენციებს ახორციელებს და ცდილობს, მსოფლიოზე იბატონოს, ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც ატომური იარაღი გამოიყენა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

აშშ-მა 70 წლის წინათ, 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს, როცა იაპონია უკვე თითქმის დამარცხებული იყო, ატომური ბომბები ჩამოყარა იაპონიის ქალაქებში — ჰიროსიმასა და ნაგასაკიში. შედეგად აფეთქების ეპიცენტრთან ახლოს მყოფი ადამიანები მყისვე დაილუპნენ — მათი სხეულები ნახშირად იქცა, რადიაციულმა გამოსხივებამ მხოლოდ ადამიანების სილუეტები დატოვა შენობების კედლებზე. აფეთქების ტალღამ ეპიცენტრის გარშემო ყველა შენობა გაანადგურა. აფეთქების მომენტში დაიღუპა 80 ათასი ადამიანი, 1945 წლის ბოლოს რადიოაქტიური დასხივების ზემოქმედების შედეგად მსხვერპლის რაოდენობა 166 ათასამდე გაიზარდა.

სულ კი, 2013 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, ატომური ბომბების ჩამოგდების შედეგად 450 ათასი ადამიანი დაიღუპა: 286,8 ათასი — ჰიროსიმაში და 162 ათასი — ნაგასაკიში.

სწორედ ამ საშინელ ტრაგედიაზე, ამერიკელთა მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე მოგვითხრობს რუსი ჟურნალისტის, იური ანოხინის, წიგნი „ატომური პილოტი“, რომელსაც „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ.

წიგნში მოთხრობილია ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის მაიორ კლოდ იზერლის — ჰიროსიმისა და ნაგასაკის ბარბაროსული ატომური დაბომბვის ერთ-ერთი მონაწილის — ტრაგიკული ბედის შესახებ.

კლოდ იზერლის ისტორია არა მხოლოდ ადამიანური ტრაგედიაა, იგი მოწოდებაა კეთილი ნების ყველა ადამიანისადმი, გააკეთონ ყველაფერი, რაც მათზეა დამოკიდებული, ბირთვული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მასობრივი მოსპობის საშუალებებით გამალებული შეიარაღების შესაჩერებლად.

## წინათქმა

კლოდ იზერლი... თანამედროვე ამერიკაში ვინ არ იცის ეს სახელი? ეს კლოდ იზერლი მართავდა თვითმფრინავ „სთრეით ფლეშს“, რომელმაც მიმართა ხიროსიმასა და ნაგასაკიზე ატომური ბომბებით დატვირთული ბომდამშენი **B-29 — „ენოლა გეი“.**

ორშაბათამდე, 1945 წლის 6 აგვისტომდე, კლოდ იზერლის ცხოვრებას სენსაციურს ვერ უწოდებდით. მეორე მსოფლიო ომში ამერიკის შეერთებული შტატების ჩაბმამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე იზერლი სწავლობდა სანტა ანას პრივილეგიურ სამხედრო სასწავლებელში. მალე იგი დაქორწინდა მსახიობ **კონჩეტა მარგეტიზე** (მოთხრობაში იგი აირინის სახელითაა გამოყვანილი).

თითქოს ყველაფერი ბედნიერად ეწყობოდა!

არა?

**კლოდ იზერლი, რომელიც, ჟურნალ „ნიუსუიკის“ სიტყვებით, სავსებით შეეფერებოდა არმიის სარეკლამო პლაკატებს (მაღალი ტეხასელი, ხუჭუჭა თმითა და მზით გარუჯული კანით, მხიარული და უდარდელი — დედამიწაზე, დინჯი — ჰაერში)... სწორედ ეს კლოდ იზერლი შეშლილად გამოაცხადეს.**

იმის გასაგებად, თუ როგორ მოხდა ეს, ისტორიას მივმართოთ.

**1945 წლის 6 აგვისტოს თვითმფრინავების — „ენოლა გეისა“ და „სთრეით ფლეშის“ ეკიპაჟები შეუდგნენ ოპერაცია „სეტებორდის“ — „გამოსაწევი კილის“ შესრულებას. დილის 9 საათსა, 16 წუთსა და 15 წამზე „ენოლა გეიმ“ ჰიროსიმის თავზე ჩამოაგდო კაცობრიობის ისტორიაში პირველი ურანის ბომბი.**

ასე აღსრულდა თანამედროვე ტრაგედიათაგან უდიდესი!




მაიორი იზერლი

მასში მონაწილეობდნენ თითქმის 200 000 იაპონელი და 11 ამერიკელი. მათგან ერთ-ერთია ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის **მაიორი კლოდ რობერტ იზერლი.**

ამერიკელმა იმპერიალისტებმა იაპონიაში ატომური ბომბები იმიტომ კი არ ჩამოყარეს, ომისთვის მოეღოთ ბოლო, არამედ იმისთვის, რომ პირველი ნაბიჯი გადაედგათ ახალი მსოფლიო ომისკენ. ამ ბარბაროსულ ატომურ დაბომბვას ეროვნული გმირობა უწოდეს, ხოლო მისი შემსრულებლები ეროვნულ გმირებად გამოაცხადეს.

კლოდ იზერლის მიეფერნენ, უმაღლესი ორდენებით, მათ შორის „საფრენოსნო დამსახურების ჯვრით“ (პილოტებისათვის ყველაზე დიდი ჯილდოთი) დააჯილდოვეს.

მაგრამ... დაიწყო თანამედროვე ამერიკის ოლიგარქიისთვის სრულიად გაუგებარი რამ: **კლოდ იზერლი აჯანყდა. მან განაცხადა, რომ ჰიროსიმასა და ნაგასაკიზე თავდასხმა „ბარბაროსობის მწვერვალს“ წარმოადგენდა, რომ ატომური ბომბი აუცილებლად უნდა აიკრძალოს, რომ ხიროსიმის საშინელება გაფრთხილება უნდა იყოს მათთვის, ვინც ისევ აპირებს ომის სახიფათო გზას დაადგეს.**

შეეცადნენ კლოდ იზერლის „მორჯულებას“, მაგრამ იგი არ ნებდებოდა; მოითხოვდა, მისი „საქმე“ სასამართლოს განეხილა. უარი უთხრეს. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ისწრაფვოდნენ, არ მოეცილებინათ კლოდ იზერლისთვის „გმირის“ შარავანდედი, რადგანაც ეს ჰიროსიმისა და ნაგასაკის დანაშაულად აღიარება ნიშნავდა.

იზერლიმ ამერიკის მხედრიონთან ბრძოლის თავისი გზა აირჩია. იგი მძარცველობას იწყებს დაუტენავი პისტოლეტით იმ იმედით, რომ მოკლავენ. ჯიბეში კი წერილი უდევს, რომელშიც ამხელს ატომურ ომში დამნაშავეებს. იზერლი წერდა: **„მე გადავწყვიტე, გავანადგურო გმირის ხატება. ეს ხატება სჭირდება საზოგადოების „ნაღებს“, რათა უფრო მყარად იგრძნონ თავი. მათ არ ცნეს ჩემი დანაშაული, რადგანაც მაშინ მათ მოუხდებოდათ თავიანთი, უფრო მძიმე დანაშაულის აღიარება“.** მაგრამ მას „ბედი სწყალობს“, არ კლავენ. უფრო მეტიც, დაპატიმრებული სამჯერ გადაურჩა სასამართლოს ჰიუსტონში, ნიუორლეანსა და ბომონტში. ბოლოს, უეიკოს (ტეხასის შტატი) საოლქო სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა ომის ვეტერანებისთვის განკუთვნილ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, მე-10, „უწესო (წაიკითხე: მძვინვარე) საქციელის“ ავადმყოფებისათვის განკუთვნილ განყოფილებაში, კლოდ იზერლიმ რამდენიმე წელი გაატარა. იაპონიის მშვიდობის დაცვის ერთ-ერთი კომიტეტისადმი ექიმებისგან მალულად გაგზავნილ წერილში იგი წერდა: **„რისთვის ვიომოთ? ომი საშინელია და არაადამიანური... ასე მგონია, ჰიროსიმის ნაცარქვეშ დამარხულები ქვითინით ითხოვენ მშვიდობას. იმედი მაქვს, ადამიანები საერთო ძალით უკეთეს მსოფლიოს ააშენებენ“.**

„იზერლის საქმეს“ დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა. პროგრესული ორგანიზაციების ზეგავლენით სასამართლო ხელისუფლებმა გადასინჯეს თავიანთი გადაწყვეტილება და იზერლი „პირობით“ გაათავისუფლეს საავადმყოფოდან.

მაგრამ იგი ცოტა ხანს იყო თავისუფალი.

ახალი სასამართლო და ახალი „იზოლაცია“...

...წლების წინათ ჰიროსიმისა და ნაგასაკის ხსოვნის დღეებში ამერიკული გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერდა: გადაწყვეტდა თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რეიგანი იაპონიის ქალაქების ატომურ დაბომბვას, 1945 წლის აგვისტოში, ტრუმენი კი არა, ის რომ ყოფილიყო პრეზიდენტი?

ამ მოთხრობას, რომლის მოქმედება გასული საუკუნის 60-იანი წლების ამერიკაში ხდება, კლოდ იზერლის ისტორია დაედო საფუძვლად. ეს არ არის მხოლოდ პირველი „ატომური პილოტის“ ტრაგედია, მხოლოდ იმ ადამიანის ტრაგედია, რომელიც იმპერიალიზმის სამხედრო მანქანასთან თანამშრომლობამ გასრისა. ესაა აქტუალური მოწოდება ყველა პატიოსანი ადამიანისადმი — გააკეთონ ყველაფერი, რაც მათზეა დამოკიდებული, რათა აცილონ მსოფლიოს ბირთვული საფრთხე, შეაჩერონ ვაშინგტონის მიერ გაჩაღებული მასობრივი განადგურების საშუალებებით გამალებული შეიარაღება.



## ნაწილი I
## ყოველთა, რომელთა აღიდონ მახვილი...

**„და შიშის ზარი,**
**იმ ვაებით გამოწვეული,**
**გამაოგნები და**
**დიადი იყო იმდენად,**
**რომ მიწიერი წარმოსახვაც,**
**მრავალს ჩვეული,**
**ვერ ჩახვდა მის არსს,**
**ველარ შეძლო**
**თვით წარმოდგენაც“.**

**ჰერმან ეიჯედორნი**
***„ბომბი, რომელიც დაეცა ამერიკას“***

### I

1945 წლის 16 ივლისი. ალამაგორდის ავიაბაზა ალბუკერკეს სამხრეთ-აღმოსავლეთით 120 მილის დაშორებით მდებარეობს.

დილის 5 საათია.

ჩრდილოეთის ქარი თითქმის დედამიწაზე გაკრულ ფთილა ღრუბლებს ერეკება. კოკისპირული წვიმა მთელი ძალით სცემს სახეებში, ზურგებზე, გენერალთა ქუდებზე. მის მიღმა იკარგება ბადისებრი ფოლადის კოშკის სილუეტი. ელვის ზიგზაგები ისეთი კაშკაშაა, რომ მის გვერდით მზეც კი უფერულდება. ჯერ არ გაჩენილა ელვაზე უფრო კაშკაშა სინათლე, მაგრამ მისი დაბადების წუთი ახლოვდება.

ახალშობილი უკვე მონათლეს. მას „ფეტმენი“ — „ბლენძი“ უწოდეს. თუ რას ნიშნავს ეს, მხოლოდ მან იცის, ვინც ამ საქმეში უფრო გათვითცნობიერებულია, დანარჩენები კი „ნაკეთობას“ ეძახიან.

რეპროდუქტორები ხმამაღალი მუსიკისგან თრთიან. მთელი ხმით ისმის ფოქსტროტები — ყველაზე მოდურები, ყველაზე მხიარულები.

მაგრამ არავინ მხიარულობს.

ქუდები წვიმისგან სველდება. ანთებულსიგარეტიანი ხელები ნერვულად კანკალებენ. იქვე, ახლოს, ორ ნაბიჯზე, საიმედო თავშესაფარია, სადაც შეიძლება წვიმისაგან თავის დაცვა, მაგრამ არავინ მიდის, იქით არავინ იყურება. წახვიდე — ნიშნავს აღიარო სიმხდალე, მათ კი ახლა სჭირდებათ, დაუმტკიცონ ყველას, პირველ რიგში — საკუთარ თავს, რომ არაფრის ეშინიათ.

„ხუთი საათი და ათი წუთია“, — დაძაბული ხმით გამოაცხადა რეპროდუქტორში დოქტორმა ალისონმა ჩიკაგოს უნივერსიტეტიდან, — „დარჩა ოცი წუთი“.

გორაკზე მდგარ, კოკისპირული წვიმისგან დასველებულ ადამიანებს შურთ დოქტორ საული კ. ალისონის სიმშვიდისა. თვითონ ისე არიან განერვიულებულნი, რომ ვერ ამჩნევენ, როგორ უწყდება ალისონს ხმა ფრაზის ბოლოს. უფრო გვიან ისინი გაიხსენებენ ამას და სულგრძელად მიაკუთვნებენ კოლეგის შიშს ისტორიული ფაქტების რიცხვს.

მაგრამ ეს შემდეგ იქნება. ჯერჯერობით კი ვერაფერს ამჩნევენ. ფიქრობენ. თითოეულ მათგანს ჰგონია, მათმა ფიქრებმა დროს გაუსწრო და ხვალინდელი დღე ნათელია. ნათელია კი?

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2014 წელს გაეროს მაღალი რანგის მოხელემ ადამიანის უფლებების მიმართულებით — ანდერს კომპასმა იპოვა საგანგაშო მტკიცებულებები იმისა, რომ ჩადის, ეკვატორული გვინეისა და საფრანგეთის სამხედრო მოსამსახურეები სამხედრო საგზლის, მათ შორის ორცხობილების, სანაცვლოდ გადაადგილებულ პირთა ბანაკებიდან ღატაკ ბავშვებს იტყუებდნენ სექსუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.**

# გაეროს საგამოძიებო ომები

**Foreign Policy-ის მიერ ჩატარებული გამოძიება აჩვენებს, რომ გააფთრებული შიგა დაპირისპირებების გამო გაერთიანებული ერების ორგანიზაციისთვის რთულია კორუფციით დაწყებული და სექსუალური ძალადობებით დასრულებული საკუთარი დანაშაულების გამოძიება.**



კანადელი კარმან ლაპუანტი, რომელიც გაეროში კორუფციის პრობლემებითაა დაკავებული, მიმდინარე წლის იანვარში შევიდა გაეროს გენერალური მდივნის კანცელარიის ხელმძღვანელის — სუსანა მალკორეს კაბინეტში და პროვოკაციული თხოვნით მიმართა — მას დაქვემდებარებული გაეროს გამოძიებათა განყოფილება, რომელიც ისე ჩაიძირა შიგა ანგარიშსწორებებში, დაეხურათ და ახალი შეექმნათ.

ლაპუანტის თქმით, მისი ხელქვეითები დაკავებულნი არიან ურთიერთქიშპით, რაც გამომძიებლებს მთავარი ამოცანების შესრულებაში უშლით ხელს. „ან — ისინი, ან — მე, — უთხრა ლაპუანტმა მალკორეს. — საჭიროა ყველა ხელმძღვანელი მოიხსნას და ყველაფერი თავიდან დაიწყოს“. ლაპუანტმა შეიმუშავა გამოძიებათა განყოფილების დირექტორისა და კიდევ ოთხი ხელმძღვანელი პირის თანამდებობებიდან გათავისუფლების გეგმაც.

გამოძიებების განყოფილება არ დახურეს და ლაპუანტიც დათანხმდა, შიგა ზედამხედველობის სამსახურთა საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის მოადგილედ ემუშავა ხუთწლიანი ვადის ბოლომდე — 13 სექტემბრამდე.

**მალკორესთან საუბარმა გამოაშკარავა გაეროს მმართველობის აპარატში გამეფებული არეულობები, თაღლითობა, თუ როგორ იფლანგება ყოველწლიურად მილიარდობით დოლარი სამშვიდობო მისიების განმახორციელებელ ორგანიზაციაში.**

ლაპუანტი მაღალი რანგის ხელმძღვანელობასთან შეთქმულებაში დაადანაშაულეს. **გაეროს გამოძიებათა განყოფილების დირექტორმა, ავსტრალიელმა მაიკ (მიკ) სტეფანოვიჩმა განაცხადა, რომ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში უცხოელი სამხედროების მიერ ბავშვების სექსუალური ექსპლოატაციის გამოძიება ყურადღების გადასატანი მანევრია, სინამდვილეში კი საჭიროა თვით ლაპუანტის სამართალდარღვევათა გამოძიება.**

პრობლემები შიგა მეთვალყურეობის სამსახურების სამმართველოში ნიუ იორკისა და ვაშინგტონის მცდელობების წარუმატებლობებზე მიანიშნებს ათწლეულების განმავლობაში გაფლანგვებთან, თაღლითობებთან და თანამდებობრივ დანაშაულებებთან ბრძოლის საქმეში.

სამშვიდობო მისიების განხორციელებისათვის საჭიროა, საზოგადოებას სჯეროდეს, რომ გაეროს მშვიდობის მყოფელები უცხოეთში პროფესიონალურად მოქმედებენ და სათანადოდ იქცევიან, რომ ის მილიარდობით დოლარი, რომელსაც გადასახადების გადამხდელები გაიღებენ გაეროს მოღვაწეობისთვის, ფუჭად არ იფლანგება. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ შიგა მეთვალყურეობის ორგანო წევრი ქვეყნებისა და თვითონ გაეროს ნდობით უნდა სარგებლობდეს.

სტეფანოვიჩმა დაიწყო ჰუმანიტარულ საკითხთა კოორდინაციის სამმართველოსა და კერძო დაქირავებულებს შორის კონტრაქტების შემოწმება აღმოსავლეთ აფრიკასა და აფრიკის რქის მიმართულებით. გაირკვა, რომ, სულ მცირე, **ოთხი დაქირავებული ყალბი დოკუმენტებით სარგებლობდა და სომალიში შიმშილის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყოფილი თანხების მითვისებას ცდილობდა. ზარალმა მილიონობით დოლარი შეადგინა.**

2013 წელს ჩატარდა გაეროს თანამშრომლების მხრიდან სექსუალური ექსპლოატაციის ფაქტების გამოძიებაზე გაეროს ქმედებათა შემოწმება. გაირკვა, რომ შიგა მეთვალყურეობის სამსახურთა სამმართველო, ისევე, როგორც გაეროს წევრი ქვეყნები, თავიანთი სამხედროების შეუფერებელ ქცევას მალავდნენ. ივნისში შიგა მეთვალყურეობის სამსახურთა სამმართველოს ინსპექციისა და შეფასებების განყოფილებამ მოამზადა ანგარიში, რომელშიც აღიარა გამოძიების განყოფილების მიერ გამოძიებების უზომოდ გაჭიანურება 2008-დან 2013-წლამდე პერიოდში. მაშინ გამოძიება საშუალოდ 16 თვეს გრძელდებოდა. ყველაზე ხანგრძლივი გამოძიება 62 თვეს გაგრძელდა, ყველაზე ხანმოკლე კი — ერთ თვეს.

აშშ-ის დემოკრატიული და რესპუბლიკური ხელისუფლებები, უკვე 20 წელზე მეტია, ცდილობენ, როგორმე ამოძირკვონ კორუფცია ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში,

**გამოძიებათა განყოფილების კომპეტენტურობა ეჭვქვეშ მაშინ დადგა, როდესაც მას მხედველობის მიღმა დარჩა გაეროს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი სკანდალი. საუბარია კორუფციასა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაზე გაეროს პროგრამაში «ნავთობი — სურსათის სანაცვლოდ»**

რომელიც ამერიკელი და სხვა გადასახადების გადამხდელების ფულიდან მილიარდობით დოლარს ხარჯავს. ცივი ომის დასრულებისას აშშ და სხვა ქვეყნები მიისწრაფვოდნენ, რომ გაეროს საკუთარ თავზე აეღო ახალი ვალდებულებები, მაგალითად, წინ აღდგომოდა სადამ ჰუსეინის მცდელობას, მიეტაცებინა ქუვეითი, ასევე, შეენარჩუნებინა მშვიდობა ბოსნიაში, კამბოჯასა და სომალიში. მაგრამ **ცივ ომში მშვიდობის შესანარჩუნებლად გაეროს გამოყენებას ხელს უშლიდა ერთი სამწუხარო ფაქტი — ორგანიზაციაში არ არსებობდა ფინანსური კონტროლის საკმარისად ეფექტიანი მექანიზმები, რომლებიც წინ აღუდგებოდა მილიარდობით დოლარის არასათანადოდ ხარჯვას.**

ამ პრობლემის გადასაჭრელად დიდი დაპირისპირებების შემდეგ აშშ და გაეროს სხვა წევრი ქვეყნები კომპრომისამდე მივიდნენ და გაერომ შექმნა შიგა მეთვალყურეობის სამსახურთა სამმართველო. გაეროს რეზოლუციის თანახმად, ახალ სამმართველოს ხელი უნდა შეეწყო გენერალური მდივნისთვის შიგა მეთვალყურეობის მხრივ საკუთარი მოვალეობების შესრულებაში. სამმართველომ მიიღო უფლებამოსილება „ნებისმიერი ქმედების ინიცირებისა და განხორციელებისათვის თანმდევი ანგარიშით“ და მას უნდა ჰქონოდა „ოპერატიული დამოუკიდებლობა გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით“. ეს ძალზე არაერთგვაროვანი მანდატი იყო. შიგა მეთვალყურეობის სამსახურთა სამმართველო გაეროს მმართველობაზე აღმოჩნდა დამოკიდებული, რადგან მისგან მიიღო დაფინანსების ძირითადი ნაწილი და ადმინისტრაციული უზრუნველყოფა.

შიგა მეთვალყურეობის სამსახურების სამმართველოში თავიდანვე ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ, რომ ხელეწიფებოდათ თაღლითობისა და სისხლის სამართლის დანაშაულთა ფაქტების გამოძიება, მაგრამ ის მძლავრ წინააღმდეგობას აწყდებოდა გაეროს გავლენიანი წევრი ქვეყნების მხრიდან და ძალზე ცივ მხარდაჭერას იღებდა გაეროს ხელმძღვანელობისგან.

ამის შესაებ აღნიშნავდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი იურისტი ბრუს რაშკოვი, რომელიც 1994 წელს კონგრესში შიგა მეთვალყურეობის სამსახურთა სამმართველოს შექმნაზე მუშაობდა. შემდგომში იგი გაეროში მაღალი რანგის იურისტი გახდა და შიგა მეთვალყურეობის სამსახურებთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს აკონტროლებდა.

როგორც რაშკოვი აღნიშნავს, **გაეროს გენერალური მდივნები და მათი მრჩევლები თავიდანვე ცდილობდნენ, კარგი ურთიერთობა დაემყარებინათ შიგა მეთვალყურეობის სამსახურების სამმართველოს ხელმძღვანელებთან და, სამწუხაროდ, არსებობს გარკვეული საფუძვლები ვარაუდისთვის, რომ ლაპუანტმა ვერ შეძლო სამმართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება.**

იურისტი ირწმუნება, რომ ზემოხსენებულ სამმართველოს არაფრის დიდებით არ შექმნიდნენ, რომ არა გაეროს დაფინანსების შეწყვეტის საფრთხე ამერიკის კონგრესის მხრიდან. სამმართველო უკანასკნელ პერიოდამდე მართლაც დამოუკიდებლად აწარმოებდა გამოძიებებს. 2005 წლის თებერვალში მას დამსახურებად ჩაუთვალეს ყოფილი ჰოლანდიელი პრემიერის, დევნილთა საქმეებში გაეროს უმაღლესი კომისრის — რუუდ ლიუბერსის გადაყენება. მას წაუყენეს ხელქვეით ქალებზე სექსუალური ძალადობის ბრალდებები.

**გამოძიებათა განყოფილების კომპეტენტურობა ეჭვქვეშ მაშინ დადგა, როდესაც მას მხედველობის მიღმა დარჩა გაეროს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი სკანდალი. საუბარია კორუფციასა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაზე გაეროს პროგრამაში „ნავთობი — სურსათის სანაცვლოდ“.**

როდესაც მასმედიაში შესაძლო დარღვევებზე ალაპარაკდნენ, ამერიკული ფედერალური რეზერვის ყოფილმა მეთაურმა პოლ ვოლკერმა ამ 64-მილიარდიანი ბრუნვის პროგრამის 18-თვიანი გამოძიება ჩაატარა. გამომძიებლები მივიდნენ დასკვნამდე, რომ სუსტი მეთვალყურეობის გამო ერაყის ლიდერმა სადამ ჰუსეინმა უკუგების სახით 1,7 მილიარდი დოლარი შეაგროვა, ნავთობის კონტრაბანდული მიწოდებებიდან კი 11 მილიარდი დოლარი მიითვისა.

ამ სკანდალის გამო იმხანად სენატორმა ნორმ კოულმანმა გაეროს გენერალური მდივნის — კოფი ანანის გადაყენებაც კი მოითხოვა.

მომდევნო წლებში გაეროში კონტროლისა და მეთვალყურეობის საკითხისადმი ვაშინგტონის ყურადღება შესუსტდა. სამაგიეროდ, მკაცრი კრიტიკის ობიექტი გახდა თვითონ გამოძიებათა განყოფილება. გამოძიებების შედეგად 2007 წლის ივნისში ნიუ იორკის ფედერალურ სასამართლოში გაასამართლეს გაეროს შესყიდვების აგენტი სანჯაია ბაჰელი, რომელმაც ინდურ სახელმწიფო კომპანიას რამდენიმე მილიონი დოლარის კონტრაქტები გადასცა. ორი წლით ადრე გამოძიებათა განყოფილებამ მას ყველა ბრალდება მოუხსნა.

გამოძიებათა განყოფილებაში გარდაქმნების განხორციელების მცდელობა თავიდანვე წარუმატებლობისთვის იყო განწირული. ამერიკელი იურისტი დადლი, რომელიც ორი წლის განმავლობაში მუშაობდა განყოფი- ▶



## 9/11-ის ტერაქტიდან 14 წელი გავიდა

**2001 წლის 11 სექტემბერს „ალ ქაიდას“ ტერორიტებმა ამერიკაზე იერიში მიიტანეს.** ამ დღეს თვითმკვლელმა ტეროტისტებმა ორი გატაცებული თვითმფრინავით ნიუ იორკში მდებარე მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ტყუპ ცათამბჯენსა და ვაშინგტონში მდებარე პენტაგონის შენობაზე მოახდინეს თავდასხმა. მესამე გატაცებული თვითმფრინავი კი, რომელშიც ეკიპაჟი და მგზავრები ტერორისტების განეიტრალებას შეეცადნენ, პენსილვანიაში ჩამოვარდა. ტრაგედიის დროს 3000 ადამიანი დაიღუპა. 9/11-ის შემდეგ ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საკუთარ ხალხს მიმართა, რომლითაც ტერორისტებს და მათ მფარველებს ომი გამოუცხადა. „ალ ქაიდას“ ლიდერი უსამა ბინ ლადენი, რომელიც ამ თავდასხმების ორგანიზატორი იყო, ამერიკის სპეცრაზმმა ტრაგედიიდან 10 წლის შემდეგ 2011 წლის ზაფხულში პაკისტანში მოკლა.



# ცივ ომში მშვიდობის შესანარჩუნებლად გაეროს გამოყენებას ხელს უშლიდა ერთი სამწუხარო ფაქტი — ორგანიზაციაში არ არსებობდა ფინანსური კონტროლის საკმარისად ეფექტიანი მექანიზმები, რომლებიც წინ აღუდგებოდა მილიარდობით დოლარის არასათანადოდ ხარჯვას.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ლების აღმასრულებელ დირექტორად, განზე გასწიეს და დირექტორად დაინიშნა ზემოხსენებული მაიკლ სტეფანოვიჩი.

„ამ მომენტიდან გამოძიებათა განყოფილებაში პრობლემებმა იმატა“, — დაწერა 2014 წლის თებერვალში კონფედენციალურ ანგარიშში ლაპუანტის მიერ მიწვეულმა კონსულტანტმა ბეტ ფიშერიოშიდამ, რომელსაც დაავალეს, გაერკვია, თუ რა სჭირდა გამოძიებათა განყოფილებას.

მან განაცხადა, რომ ორ მთავარ გამომძიებელს შორის მტრობამ მთელი განყოფილება გაყო ორ მტრულ ბანაკად. დადლის მომხრეები თვლიდნენ, რომ მას უსამართლოდ აუარეს გვერდი, დანარჩენები კი სტეფანოვიჩს მიემხრნენ.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ნიუ იორკში გამოძიების განყოფილების 34 თანამშრომელმა, სულ მცირე, 50 საჩივარი დაწერა და განაცხადა სხვადასხვა სახის დარღვევაზე — მიკერძოებით დაწყებული, სამსახურებრივი დევნით დამთავრებული. საჩივარი შეიტანა განყოფილების დირექტორმაც კი და დაქვემდებარებულთა წინააღმდეგ რეპრესიების შესახებ განაცხადა. იმავე პერიოდში ორგანიზაციის ბიუჯეტის 15 პროცენტი საავადმყოფო ფურცლების ანაზღაურებას მოხმარდა. ამასობაში გაერომ მხოლოდ შვიდი საქმის დასარეგულირებლად ფინანსური კომპენსაციების სახით 300 000 დოლარზე მეტი გასცა.

აშშ-მა, ძირითადად, სტეფანოვიჩის მხარე დაიჭირა და კულისებში ცდილობდა დადლის სხვა სამმართველოში გადაყვანის მიღწევას. მაგრამ მათ ვერ აიძულეს ლაპუანტი, მოქმედება დაეწყო. სტეფანოვიჩმა გადაწყვიტა, მოვლენები დაეჩქარებინა.

მან შეადგინა დიდი დოსიე დადლის წარსულის შესახებ, რათა მაღალი თანამდებობისათვის მისი შეუფერებლობა დაემტკიცებინა. 2012 წლის მარტში სტეფანოვიჩმა ეთიკის საკითხთა ბიუროს ხელმძღვანელს — ჯოან დუბინსკის მისწერა წერილი, რომელშიც ირწმუნებოდა, რომ გამოძიებათა განყოფილებაში თანამდებობის დაკავებით დადლი ინტერესთა კონფლიქტს ქმნიდა, ვინაიდან მისი მეუღლე მუშაობდა გაეროს სამშვიდობო სამმართველოში იმ დისციპლინური ქვეგანყოფილების ხელმძღვანელად, რომელმაც სამშვიდობო მისიაში სამართალდარღვევებს უნდა ადევნოს თვალი.

თანამდებობიდან ახლახან გადამდგარმა დუბინსკიმ სტეფანოვიჩს აცნობა, რომ მეუღლეებს განსხვავებული დაქვემდებარების არხები ჰქონდათ, მაგრამ ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნისთვის სამომავლო პერსპექტივა მაინც არსებობდა.

მალკორამ დადლის მეუღლე მერსედეს გერვილა ზემოხსენებულ თანამდებობაზე მას შემდეგ დანიშნა, რაც გაეროს მაშინდელმა საკადრო ხელმძღვანელმა კეტრინ პოლარდმა განუმარტა, რომ ეს არ იქნებოდა ინტერესთა კონფლიქტი.



**გაეროს გამოძიებათა განყოფილების დირექტორმა, ავსტრალიელმა მაიკ (მიკ) სტეფანოვიჩმა განაცხადა, რომ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში უცხოელი სამხედროების მიერ ბავშვების სექსუალური ექსპლოატაციის გამოძიება ყურადღების გადასატანი მანევრია, სინამდვილეში კი საჭიროა თვით ლაპუანტის სამართალდარღვევათა გამოძიება**



სტეფანოვიჩს ლაპუანტთან ურთიერთობა გაუფუჭდა. იგი მიიჩნევდა, რომ ეს უკანასკნელი დადლის მოშორებას საკმარისად არ ცდილობდა. 2013 წლის აპრილში გამომძიებელმა რობერტა ბალდინიმ სტეფანოვიჩის წინააღმდეგ შეიტანა საჩივარი და ფავორიტიზმში დაადანაშაულა მას შემდეგ, რაც უარი უთხრეს მაღალ თანამდებობაზე დანიშვნაზე. ამ საქმის გამოძიება 21 თვის განმავლობაში გრძელდებოდა და 2015 წლის იანვარში სტეფანოვიჩს ყველა ბრალდება მოუხსნეს.

გაეროს წარმომადგენელთა თქმით, სტეფანოვიჩმა ჩათვალა, რომ ლაპუანტი არ შეეცადა მის დაცვას. როდესაც ბრალდებები მოუხსნეს, მან თავად შეიტანა საჩივარი და ლაპუანტის დაკითხვა მოითხოვა. 2014 წლის დასასრულიდან ლაპუანტიმ დაიწყო სტეფანოვიჩის, დადლისა და კიდევ სამი მაღალი რანგის გამომძიებლის თანამდებობებიდან გადაყენების გეგმის შემუშავება.

**2014 წელს გაეროს მაღალი რანგის მოხელემ ადამიანის უფლებების მიმართულებით — ანდერს კომპასმა იპოვა საგანგაშო მტკიცებულებები იმისა, რომ ჩადის, ეკვატორული გვინეისა და საფრანგეთის სამხედრო მოსამსახურეები სამხედრო საგზლის, მათ შორის ორცხობილების, სანაცვლოდ გადაადგილებულ პირთა ბანაკებიდან ლატაკ ბავშვებს იტყუებდნენ სექსუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.** ბანაკები ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქის მთავარი აეროპორტის მახლობლად მდებარეობდა. გამოძიებათა განყოფილება ამ საქმეში არ მონაწილეობდა, რადგან, როგორც გაირკვა, სავარაუდო დამნაშავეები სამხედრო მოსამსახურეები იყვნენ და არ ექვემდებარებოდნენ გაეროს.

მაგრამ ლაპუანტმა ბრძანა, გამოეძიებინათ კომპასის მოღვაწეობა, რადგან გაეროს ხელმძღვანელობამ განგაშის ზარებს შემოჰკრა და სწორედ მასზე მიიტანა ეჭვი საიდუმლო ანგარიშიდან საფრანგეთის სამთავრობო ორგანოებში ინფორმაციის გაჟონვის გამო. ანგარიშში გადმოცემული იყო ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ფრანგი სამხედროების სავარაუდო სამართალდარღვევათა შესახებ.

სტეფანოვიჩმა უარი განაცხადა აღნიშნული გამოძიების ჩატარებაზე და მაისში გაეროს წევრი ქვეყნების კომიტეტის წევრთა დახურულ სხდომაზე განაცხადა, რომ მისი ხელმძღვანელი გაეროს წესებისა და პროცედურების გვერდის ავლით მოქმედებდა და კომპასის კარიერის დასამსხვრევად პოლიტიკურად მოტივირებულ კუდიანებზე ნადირობას აწყობდა.

მან ლაპუანტი და კიდევ რამდენიმე მაღალი რანგის მოხელე თანამდებობრივ შეცდომებშიც დაადანაშაულა და შესაბამისი გამოძიების ჩატარება მოითხოვა. პან გი მუნმა ივნისში საგამოძიებო ქმედებების დაწყება ბრძანა.

გენერალური მდივნის მიერ კომისიის შექმნიდან ცოტა ხანში სტეფანოვიჩს აცნობეს, რომ ამ კომისიის სამ წევრს, შესაძლოა, ინტერესთა კონფლიქტი ჰქონოდა. დაახლოებით ათი წლის წინათ რუანდის საქმის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მთავარი პროკურორი ჰასან ბუბაკარ ჯალოუ შიგა მეთვალყურეობის სამსახურების სამმართველოს თვალთახედვის არეში მოხვდა. ტრიბუნალის საკადრო დეპარტამენტმა მას აცნობა, რომ ჯალოუმ გადამეტებული ფინანსური შეღავათები მიიღო თავისი შვილების განათლების საფასურზე. ჯალოუმ ფული დააბრუნა, ამიტომ შიგა მეთვალყურეობის სამსახურების სამმართველოში გადაწყვიტეს, ოფიციალური გამოძიება არ ჩაეტარებინათ. სწორედ ამის გამო ჩათვალეს, რომ კომისიაში ეს ადამიანი გაეროს მაღალი რანგის მოხელეების მიმართ ლოიალობას გამოიჩენდა.

ლაპუანტი განრისხდა, რომ გამოძიებათა განყოფილებამ ამ საქმეს მოჰკიდა ხელი. მან სტეფანოვიჩს განუცხადა, რომ ამით, შესაძლოა, გამოუსწორებელი ზარალი მიადგა ძალზე პატივსაცემი ადამიანის რეპუტაციას.

„თქვენ პანდორას ყუთი გახსენით, ორგანიზაციისთვის მთელი რიგი პრობლემებისა შექმენით და ზიანი მიაყენეთ შიგა მეთვალყურეობის სამსახურების სამმართველოს რეპუტაციას“, — განაცხადა მან და მიუთითა სტეფანოვიჩს, შეეხსენებინა თავისი თანამშრომლებისთვის, რომ გამოძიებისას აუცილებელია კონფიდენციალობის დაცვა.

სტეფანოვიჩმა საპასუხო დარტყმის სახით ლაპუანტს განუცხადა, რომ პოტენციური მამხილებელი ბევრია იმ გამომძიებელთა შორისაც, რომლებიც ათი წლის წინანდელ საქმეს იძიებდნენ.

სტეფანოვიჩმა უარი განაცხადა ლაპუანტის მითითებების შესრულებაზე და განყოფილებაში ინფორმაციის გაჟონვის წყაროს მოშორებაზე. მისი განცხადებით, კონფიდენციალობის ნორმების გამკაცრებისთვის მიღებული ნებისმიერი ზომები მაშინ, როდესაც ექსპერტების ჯგუფი გენერალური მდივნის დავალებით აანალიზებს განყოფილების ქმედებებს, შესაძლოა, განხილულ იქნეს „დაშინებად“. ამის ნაცვლად იგი გამოვიდა წინადადებით, რომ მისი თანამშრომლები ჩაებან პან გი მუნის კომისიასთან საუბარში და ყველა საჭირო დოკუმენტი გადასცენ მას.

ლაპუანტს შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა ის დაცინვა, რომელიც აღნიშნულ წინადადებაში იმალებოდა. სინამდვილეში სტეფანოვიჩმა შესთავაზა, რომ გაეროს გამომძიებლებს უფრო აქტიურად ეთანამშრომლათ კომისიასთან, რომელიც მისი ხელმძღვანელის ქმედებებს აანალიზებდა.

**Foreign Policy**



## დიდი ბრიტანეთი მზადაა, 20 ათასამდე სირიელი მიგრანტი მიიღოს

**დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრის განცხადებით, ქვეყანა მზადაა, 20 ათასამდე სირიელი მიგრანტი მიიღოს.** მისივე თქმით, არ მოხდება ბრიტანეთში მყოფი მიგრანტი ბავშვების დეპორტაცია არც მას შემდეგ, რაც მათ 18 წელი შეუსრულდებათ. როგორც ბრიტანული გამოცემა Independent-ი წერს, პრემიერის განცხადებით, არ არსებობს ლიმიტი, თუ რამდენი მიგრანტი შეიძლება შევიდეს ბრიტანეთში, თუმცა ყველასთვის გასაგებია, რომ მათი რაიოდენობა 20 ათასს არ გადააჭარბებს. აღსანიშნავია, რომ, კემერონის თქმით, 20 ათასი სირიელის ბრიტანეთში დასახლება 2020 წლამდე მოხდება, რაც სხვა ევროპული ქვეყნების მხრიდან კრიტიკის საგანი გახდა. მათი თქმით, სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, ეს რიცხვი ძალიან დაბალია.



## საფრანგეთი სირიაში საჰაერო იერიშებს იწყებს

**საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა ბრძანება გასცა, რომ საფრანგეთის საჰაერო ძალები სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ იერიშის მისატანად მოემზადოს.** ოლანდის თქმით, ტერორისტული აქტები სწორედ სირიაში იგეგმება, მათ შორის საფრანგეთის წინააღმდეგაც. „ჩემი მოვალეობაა, უზრუნველვყო ის, რომ გვქონდეს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარ საფრთხეებზე. ამიტომ, მე ვთხოვე თავდაცვის სამინისტროს, რომ ხვალიდან დაიწყოს სადაზვერვო ფრენები სირიის საჰაერო სივრცეში, რომელიც საშუალებას მოგვცემს, დავიწყოთ საჰაერო იერიშები „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ“, — განაცხადა ოლანდმა.

მოკლედ



## უნგრელმა ოპერატორმა მიგრანტებს სცემა

**უნგრული ინტერნეტტელევიზიის — 444.hu-ს ოპერატორი პეტრა ლასლო სამსახურიდან მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც სოციალურ ქსელში გავრცელდა კადრები, როგორ წააქცია მან მიგრანტი, რომელიც ბავშვით ხელში გაურბოდა პოლიციას და როგორ ურტყამს იგი სხვა მიგრანტებს.** მიგრანტები სერბეთის საზღვრიდან რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით მდებარე როსკეს თავშესაფრიდან გარბოდნენ. ბანაკის პირობებით უკმაყოფილოებმა, მათ შორის, სირიელმა, ერაყელმა და ავღანელმა მიგრანტებმა პოლიციის კორდონი გაარღვიეს.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2011-2012 სასწავლო წლის განმავლობაში სახელმწიფო სკოლებში გაკვეთილებზე არ დაუშვეს 1,2 მილიონი შავკანიანი მოსწავლე.**

# შავკანიანთა შორის ძალადობაში დამნაშავე თეთრები არიან

**ქალაქ ტამპა ბეიში გამომავალმა გაზეთმა Times-მა ახსნა, თუ რატომაა, რომ ადგილობრივ სკოლებში, სადაც უმრავლესობას შავკანიანი მოსწავლეები წარმოადგენენ, საშინელი ქაოსი, ძალადობა და საფრთხეა გამეფებული. ამ ყველაფერში დამნაშავე თეთრკანიანი ადამიანები არიან. მსგავსი სურათია შავკანიანთა სკოლებში ბალტიმორში, სენტ-ლუისში, ფილადელფიაში, ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში, მილუოკში, ლოს-ანჯელესში, ჩიკაგოში, დეტროიტში, როჩესტერში, იუტიკაში, ოლბანში, სირაკიუსში, პიტსბურგში, ჰარისბერგში... ეს ძალზე გრძელი სიაა.**

გაზეთ Times-ში მოყვანილია ფაქტები, როგორ ძალადობენ შავკანიანები ნებისმიერ ადამიანზე, რომელიც კი მათ სკოლებს მიუახლოვდება.

ეს ყველაფერი დოკუმენტური სიზუსტითაა აღწერილი ბესტსელერში სახელწოდებით „არ ღირს შავკანიანი ბიჭების გაბრაზება“. სინამდვილეში მასალა ბევრი იყო და ამის გამო მრავალი ეპიზოდი წიგნის საბოლოო ვერსიაში ვერ მოხვდა, მაგრამ ამ ეპიზოდების წაკითხვა შესაძლებელია სტატიაში „დაკლებული ქვეთავი სკოლებში შავი ძალადობის შესახებ“.

ამ სტატიაში ასევე აღწერილია, რამდენ ხანს ახდენდნენ სკოლები ამ ყველაფრის უარყოფას, რამდენ ხანს არ ხუჭავდნენ თვალს ძალადობის დონესა და ინტენსივობაზე და იტყუებოდნენ კიდეც ამ ყველაფერზე.

ზოგიერთი ახალი ამბავი Times-იდან:

„სულ რაღაც რვა წლის განმავლობაში პინელასის ოლქის სასკოლო საბჭოს წევრებმა შავკანიანი მოსახლეობის კვარტლებში ხუთი სკოლა ფლორიდის ყველაზე ცუდ სკოლებად აქციეს.

თავდაპირველად ისინი უარს აცხადებდნენ ინტეგრაციაზე. შემდეგ არ შეასრულეს პირობა დიდი რაოდენობით ფულისა და რესურსების მიღებაზე.

ამის შემდეგ, როდესაც შავკანიანი ბავშვების უდიდესი რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩა, უკიდურესი სტრესის ქვეშ მყოფმა მასწავლებლებმა კი უარი განაცხადეს სამსახურზე, როდესაც საშუალო კლასის წარმომადგენელი ოჯახების ბავშვებმა მასობრივად დაიწყეს გადასვლა სხვა სკოლებში, სასკოლო საბჭო მხოლოდ პასიურად ადევნებდა თვალს ამ ყველაფერს და არანაირ ზომებს არ მიმართავდა“.

ყურადღებას იპყრობს ის, რომ ამ რამდენიმე ნაწილისგან შემდგარ სტატიაში ნახსენები არაა ფედერალური პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც სკოლაში ქცევაში, დისციპლინაში ან მოსწრებაში შეუსაბამობა განიხილება, როგორც ერთადერთი მიზეზის — თეთრი რასიზმის შედეგი.

კიდევ იქ არ არის მინიშნებული, რომ ამერიკის სახელმწიფო სკოლებში ყველა მასწავლებელმა იცის ეს. ნახსენებიც არაა, როგორ ცვლის ეს მოსწავლეთა ქცევას.

სალიმა ბალოკმა კემპბელ-პარკის დაწყებითი სკოლის მეორე კლასში სწავლა 2013 წლის შემოდგომაზე დაიწყო. სკოლაში მისვლიდან 10 წუთიც არ იყო გასული, რომ თანაკლასელმა სახეში გაარტყა.

ამის შემდეგ ყოველდღე ახალ-ახალი საფრთხე ჩნდებოდა.

„ისინი დამცინოდნენ, მახინჯს მეძახდნენ და მემუქრებოდნენ, რომ მცემდნენ“, — თქვა სალიმამ.

რამდენიმე თვის შემდეგ ამ 8 წლის გოგონას ორმა ბიჭმა სცემა.

იმ დღეს იგი სკოლიდან სასწრაფო დახმარების მანქანით წავიდა.

სალიმას ისტორია რეალობაა: **პინელასის ოლქის ყველაზე სეგრეგირებულ დაწყებით სკოლებში ძალადობა ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად იქცა.**

კემპბელ-პარკის დაწყებით სკოლაში მეორეკლასელი ორ გოგონას მოკვლითა და გაუპატიურებით ემუქრებოდა, თან იქნევდა სამზარეულოს დანას, რომელიც სკოლაში ზურგჩანთით მიიტანა.

ფეირმაუნტ-პარკის დაწყებით სკოლაში 9 წლის ბიჭმა ბეისბოლის სუვენირული ჯოხი თავში ჩაარტყა მოსამზადებელი კლასის ორ ბავშვს.

**მაქსიმოს დაწყებით სკოლაში რამდენიმე პირველკლასელმა კლასელი გოგონა მიწაზე წააქცია, საცვალი გახადა და ხელები უფათურა.**




**პინელასის ოლქის ყველაზე სეგრეგირებულ დაწყებით სკოლებში ძალადობა ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად იქცა. მაქსიმოს დაწყებით სკოლაში რამდენიმე პირველკლასელმა კლასელი გოგონა მიწაზე წააქცია, საცვალი გახადა და ხელები უფათურა**




იმ დღეს, როდესაც სალიმა ჰოსპიტალში გადაიყვანეს, ძალადობის გამოყენებით 1100 ინცინდენტი უკვე იყო დარეგისტრირებული (2013-დან 2014-წლამდე პერიოდში). ამ შემთხვევამ ისე შეაძრწუნა გოგონას დედა ტემი ბალოკი, რომ გადაწყვიტა, ოჯახთან ერთად ფილადელფიაში დაბრუნებულიყო. მან თქვა, რომ უჯობს, გარისკოს და ქალაქის სახელმწიფო სკოლებიდან ერთ-ერთი აირჩიოს, ვიდრე სენტ-პიტერსბერგში დარჩეს.

„ცხოვრებაში მსგავსი არაფერი მინახავს, — განაცხადა ბალოკმა კემპბელის დაწყებით სკოლაზე, — მივედი დასკვნამდე, რომ ღმერთს არ სურს, ჩემი ოჯახი ფლორიდაში დარჩეს“.

ოლქის მაღალჩინოსნები ბოლო დრომდე არ ამხელდნენ ზოგიერთ სერიოზულ ინცინდენტს და მონაცემებს არ გადასცემდნენ სახელმწიფო სამსახურს, რომელიც სკოლებში უსაფრთხოების საკითხებს ადევნებს თვალს — ეს შტატის კანონის დარღვევაა და შედეგად სკოლები გაცილებით უფრო უსაფრთხოდ გამოიყურებოდნენ, ვიდრე სინამდვილეშია.

„არ მგონია, რომ ოლქის ხელისუფლებას ნამდვილად ესმის, რა ხდება იქ და რამდენად ექსტრემალური შეიძლება იყოს სიტუაცია, — განაცხადა ჯენა სტრიკლენდმა, რომელიც ლეიკვუდის დაწყებით სკოლაში მოსამზადებელ კლასებთან მუშაობდა 2008-დან 2014-წლამდე. — ოლქის ხელმძღვანელობას წარმოდგენა არ აქვს, რა ხდება სინამდვილეში ამ სკოლებში“.

ცხადია, საუბარია არა მხოლოდ ტამპაზე.

დავიწყოთ „სრული ქაოსითა“ და „ველური ჩხუბებით“ ფილადელფიაში, ოვერბრუკის რაიონში მდებარე შავ საშუალო სკოლაში. 2013 წლის ნოემბერი. შევიდეთ ტელეკომპანია CBS-ის ფილიალში:

„სრული გაუგებრობა. მოსწავლეები დერეფანში არიან, საპირფარეშოში სიგარეტსა და მარიხუანას ეწევიან, — ამბობს თანამშრომელი. — ჩვენ არ შეგვიძლია მათი გაკონტროლება და აქ მუშაობა სინამდვილეში ჩვეთვისაც სახიფათოა. ბავშვები სკოლაში საერთოდ ვერანაირ განათლებას ვერ იღებენ“.

იმავე თანამშრომელმა მობილური ტელეფონით გადაიღო, როგორ გარბიან მოსწავლეები სასადილოში, რათა იქ ატეხილი ჩხუბი ნახონ.

„აქ ნამდვილი ზოოპარკია. მშობლები უნდა მოვიდნენ და ნახონ, რა ხდება ამ სკოლაში, ეს საშინელებაა“, — განაცხადა მან.

სკოლის თანამშრომელმა, რომელმაც არ ისურვა სახელის საჯაროდ გამხელა, ინტერვიუში თქვა, რომ ამგვარი ქმედებები იშვიათი არ არის.

დიახ, უკვე დიდი ხანია, აქ ასეთი სიტუაციაა.

რა შეიძლება ითქვას ნიუჯერსის შტატის ქალაქ პატერსონზე?

2014 წლის მარტში გაზეთი იტყობინებოდა: „მასწავლებლები ამბობენ, რომ პატერსონის მე-12 სკოლაში მომხდარი ჩხუბები საერთო ტენდენციის ნაწილია“.

მასმედიის სხვა საშუალებებში ამ მოვლენას დიდი ჩხუბი უწოდეს. მასწავლებელთა კავშირში კი განაცხადეს, რომ ამგვარი რამ მუდამ ხდება:

„ოლქის სასკოლო ადმინისტრაციის თანამშრომლებმა დაწყებით სკოლა- ▶




## «საბრალო, პატივმოყვარე, ძალაუფლებას მოწყურებულო პატარა კაცო...»

**ცნობილი ამერიკული როკ ჯგუფის — R.E.M.-ის მოღერალი მაიკლ სტაიპი „ტვიტერში“ აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატს — დონალდ ტრამპს დაუპირისპირდა.** ამის მიზეზი ტრამპის მიერ აშშ-ის რესპუბლიკელების ერთ-ერთ შეკრებაზე ჯგუფის სიმღერის It’s The End Of The World გამოყენება გახდა. „საბრალო, პატივმოყვარე, ძალაუფლებას მოწყურებულო პატარა კაცო... არ გაბედო ჩემი ხმის გამოყენება თქვენი იდიოტური შეკრებებისთვის“, — წერს სტაიპი „ტვიტერზე“.



## „ობამას რეჟიმის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია მეცადინეობებიდან ჩამოშორების წინააღმდეგ, ნეგატიურ შედეგებს განაპირობებს. ლოს-ანჯელესის მასწავლებლები ჩივიან, რომ ძალადობისკენ მიდრეკილი მოსწავლეები აშინებენ მათ და რომ რეალურად ისინი მართავენ კლასებს“.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ში მომხდარ ამ ჩხუბს „იზოლირებული მოვლენა“ უწოდეს. „ჩვენ ძალადობის გამოვლინების შესახებ მასწავლებლებისგან ცნობებს ვიღებთ ელექტრონული ფოსტით და მსგავსი შემთხვევები მუდმივად ხდება“, — აღნიშნა პეტერსონის საგანმანათლებლო ასოციაციის, ანუ ქალაქის მასწავლებლების გაერთიანების მეორე ვიცეპრეზიდენტმა ჯინ ჰარველმა.

ან კიდევ, მაგალითისთვის ავიღოთ ქალაქი სენტ-ლუისი, რომელსაც შავკანიანთა შორის ძალადობასთან დაკავშირებით იგივე პრობლემები აქვს, ამ ძალადობის მიზეზი კი კვლავაც თეთრკანიანი მასწავლებლები არიან.

ტელეკომპანია Fox-ის ადგილობრივი ფილიალის რეპორტიორი ესაუბრა ერთ-ერთ მასწავლებელს, რომელმაც უამბო, თუ რა ხდება ხოლმე ფერგიუსონის სკოლებში: მუდმივი ქაოსი. მუდმივი ძალადობა, რომლის მსხვერპლნიც ახლა მასწავლებლებიც ხდებიან.

სენტ-ლუისში გამომავალმა გაზეთმა St. Louis Post Dispatch-მა იჩქარა, შეეფასებინა ფერგიუსონის საშუალო სკოლაში ბოლოდროინდელი მასობრივი შეტევა შავი კლასების შავი მოსწავლეების მხრიდან:

„მრავალი ახალი მასწავლებელი თეთრკანიანია და ადრე ისინი გარეუბნის უფრო მდიდარ სკოლებში ასწავლიდნენ, — ხაზგასმულია სტატიაში. — ზოგიერთი მათგანი ცდილობს, კონტაქტი დაამყაროს თავის მოსწავლეებთან, რომელთა უმრავლესობა ღარიბი ოჯახიდანაა და შავკანიანია“. სანაცვლოდ იღებს დაცინვას, შეურაცხყოფას და ძალადობას, შედეგად, მრავალი თეთრკანიანი მასწავლებელი სენტ-ლუისის სკოლებში მუშაობაზე უარს ამბობს პირველივე დღის შემდეგ.

როგორია სიტუაცია ბალტიმორში, ამერიკის ერთ-ერთ უდიდეს ოლქში, სადაც ბევრი შავკანიანია? **ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, ბალტიმორში, 2998 მასწავლებლიდან 80% თავის სამუშაო ადგილზე თავდასხმის მსხვერპლი გახდა.** ამის შესახებ ტელეარხ ABC-ს ადგილობრივი განყოფილების მასალებშია აღნიშნული. მხოლოდ ქალაქ ბალტიმორში სკოლების თანამშრომლებმა 2013 წელს 300-ზე მეტი განცხადება შეიტანეს მოსწავლეთა მხრიდან თავდასხმების შედეგად მიღებული ჭრილობების თაობაზე. ბალტიმორში ყოველდღიურად ოთხ მასწავლებელს ესხმიან თავს.

გაზეთი Investors Business Daily, სხვა გამოცემებთან ერთად, ამის თაობაზე 2014 წლის ივლისში იტყობინებოდა. მასში გამოქვეყნებულ იქნა რამდენიმე მასალა, რომლებშიც აღწერილი იყო, თუ როგორ ზემოქმედებდნენ ქვეყნის სასკოლო ოლქებზე განათლებისა და იუსტიციის სამინისტროების ტექნოკრატები და ცდილობდნენ აფროამერიკელების სასწავლო მოსწრებაზე პრეზიდენტის განკარგულების რეალიზაციას. მასში საუბარია იმაზეც, რომ აუცილებელია იმ პოლიტიკის შეცვლა, რომლის შედეგადაც შავკანიანი მოსწავლეები არაპროპორციულად ისჯებიან სასკოლო დისციპლინის დარღვევათა გამო.

ეს სტატია მოუწოდებდა, რომ სკოლებში უფრო მეტი შავკანიანი მასწავლებლები ყოფილიყვნენ და ნაკლებად ჩამოეშორებინათ მეცადინეობებისთვის შავკანიანი მოსწავლეები. გაზეთი მკითხველს მოსალოდნელი კატასტროფის შესახებ აფრთხილებდა:

**„ობამას რეჟიმის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია მეცადინეობებიდან ჩამოშორების წინააღმდეგ, ნეგატიურ შედეგებს განაპირობებს. ლოს-ანჯელესის მასწავლებლები ჩივიან, რომ ძალადობისკენ მიდრეკილი მოსწავლეები აშინებენ მათ და რომ რეალურად ისინი მართავენ კლასებს“.**

2011 წელს განათლების დეპარტამენტმა ლოს-ანჯელესის გაერთიანებული სასკოლო ოლქი დაადანაშაულა იმ შავკანიანი ბიჭების დისკრიმინაციაში, რომლებიც გაკვეთილებზე არ დაუშვეს ცუდი ქცევის გამო. დეპარტამენტმა გასცა მითითება, შეემცირებინათ მეცადინეობებზე არდაშვების რაოდენობა და ეს იმ იმედით გაკეთდა, რომ უმცირესობაში მყოფი ურჩი მოწაფეები სკოლაში ივლიდნენ და განათლებას მიიღებდნენ.

ამ ოლქის სკოლებს ასევე დაავალეს, განეხორციელებინათ გეგმა, რომელიც მიმართული იყო აფროამერიკელი მოსწავლეების მიმართ დისციპლინური სასჯელების შემცირებისაკენ, რაც ამავე ხუთგვერდიან ინსტრუქციაშია მოცემული. აღნიშნული სასკოლო ოლქის მთავარი ინსპექტორი დათანხმდა, „შეეცვალა საკუთარი პოლიტიკა, პროცედურები და პრაქტიკა“.

გასულ წელს ლოს-ანჯელესის სკოლები შტატში პირველები გახდნენ, სადაც შემოღებულ იქნა „ჯიუტი დაუმორჩილებლობის“ გამო მოსწავლეთა გაკვეთილებზე დაუშვებლობის პრაქტიკის აკრძალვა. შედეგად, 2008 წლის 8%-იანი მაჩვენებელი 1,5%-მდე შემცირდა.

ნაცვლად იმისა, რომ სკოლიდან გარიცხულიყვნენ ან რაიმე სხვა სერიოზული სასჯელი მიეღოთ, ახლა მოსწავლეები განმეორებითი დარღვევების შემთხვევაშიც კი „აღდგენითი მართლმსაჯულების“ პროცედურას ექვემდებარებიან.

მათ შეუძლიათ, განიხილონ თავიანთი ცუდი საქციელის შედეგები და ამ მიზნით ხშირად ატარებენ „საუბრებს“, რომელთა მსვლელობისას მასწავლებლები ბავშვებთან ერთად აყალიბებენ „განხილვის ჯგუფებს“, რათა გამყარებულ იქნას „ურთიერთგაგების კულტურა“. ამგვარი საუბრებისას გარდაუვლად დგება რასიზმისა და „თეთრკანიანთა უსამართლობის“ საკითხები. მასწავლებლებს სპეციალურად ამზადებენ იმისათვის, რომ შავკანიანმა ბავშვებმა პატივისცემა იგრძნონ. მემარცხენე შეხედულებების ჯგუფი, რომელმაც ლოს-ანჯელესის გაერთიანებული საგანმანათლებლო ოლქის ორი ათასზე მეტი მასწავლებელი და „სამართლიანობის აღდგენის კოორდინატორი“ მოამზადა, თვლის, რომ ეს პროგრამა ხელს უწყობს იმ უსამართლო დამოკიდებულების შემცირებას, რომელიც დისციპლინური ზომების დისპროპორციული გამოყენების ერთ-ერთი მიზეზია.

მაგრამ სინამდვილეში ეს პოლიტიკა ხულიგნურ უმცირესობას აძლევს თავის მართლების საფუძველს.

სინამდვილეში ამ პოლიტიკამ მხოლოდ გაზარდა ჩაშლილი გაკვეთილებისა და მასწავლებლებისა თუ მოსწავლეების მიმართ მუქარა.

ამ პოლიტიკის ინიციატორები დაჟინებით ირწმუნებიან, რომ შავკანიანი ბავშვები, რომლებსაც გაკვეთილებზე არ უშვებენ, სინამდვილეში რასიზმის მსხვერპლნი არიან და არა საკუთარი — ხშირად დამნაშავეობრივი — ქმედებებისა.

**ამერიკის 13 სამხრეთულ შტატში შავკანიან ბავშვებს გაცილებით უფრო ხშირად აგდებენ გაკვეთილებიდან, ვიდრე თეთრკანიანებს;** ამას ფედერალური მონაცემების ახალი ანალიზი მოწმობს.

**2011-2012 სასწავლო წლის განმავლობაში სახელმწიფო სკოლებში გაკვეთილებზე არ დაუშვეს 1,2 მილიონი შავკანიანი მოსწავლე.**

სამხრეთის სასკოლო ოლქში შავკანიანი მოსწავლეები საერთო რაოდენობის 24%-ს შეადგენენ, მაგრამ ისინი შეადგენენ იმ მოსწავლეთა 55%-ს, რომლებიც გაკვეთილებზე არ დაიშვებიან, და კლასიდან გაგდებული მოსწავლეების ზუსტად ნახევარს.

გლენ სინგლტონი იმ ჯგუფის ლიდერია, რომელიც განათლების სფეროში რასიზმთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავს. ის და მისი ხელქვეითები ასობით სასკოლო ოლქში ჩადიან ქვეყნის მასშტაბით და მასწავლებლებს უხსნიან, თუ როგორ უნდა ჩაატარონ პირველად „გაბედული საუბარი“, თუკი აპირებენ შავკანიან მოსწავლეებთან მუშაობას.

სიტყვა „გაბედულში“ კი სინგლტონი გულისხმობს შემდეგს: თეთრკანიანი მასწავლებლები საკმარისად გაბედულნი უნდა იყვნენ და უნდა აღიარონ, რომ რასისტები არიან, რომ მათი რასიზმი არის განსხვავებათა მიზეზი შავკანიანი და თეთრკანიანი მოსწავლეების ქცევაში, მათ მოსწრებასა და დისციპლინაში.

**სინგლტონის თქმით, შავკანიანი მოსწავლეები სინამდვილეში არც ისე ხშირად არღვევენ სასკოლო დისციპლინას. უბრალოდ, თეთრკანიანი მასწავლებლები ვერ უგებენ მათ.** მაგალითად, შავკანიან მოსწავლეებს უყვართ ხმამაღლა საუბარი კლასში. სინგლტონი მიიჩნევს, რომ ისინი ამით სინამდვილეში ხელს არ უშლიან მუშაობას და მათ, უბრალოდ, ასეთი ქცევა ასწავლეს ეკლესიაში.

გარდა ამისა, სწავლის სტილიც კი შავებსა და თეთრებს შორის განსხვავებულია. „თეთრი საუბარი“ ვერბალურია, ინტელექტუალური და ორიენტირებულია ამოცანაზე, — მიიჩნევს სინგლტონი. „ფერადთა კომენტარები“ კი ემოციური და პირადულია. სინგლტონის აზრით, **თეთრი მასწავლებლებისთვის იოლი არ არის შავ მოსწავლეებთან კონტაქტის დამყარება, რადგან შავი ადამიანები ყოველდღე საუბრობენ რასობრივ საკითხებზე, თუნდაც ერთმანეთში. თეთრებს კი შესისხლხორცებული აქვთ, რომ ეს არ უნდა გააკეთონ.**

მაშინ, როდესაც სინგლტონი ირწმუნება, რომ არაფერია არასწორი სკოლაში შავკანიანთა ძალადობაში და რომ თეთრკანიანი მასწავლებლების წასვლა სიტუაციას ვერ გამოასწორებს, მთელი ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებების შავკანიანი თანამშრომლები შავების მიერ წარმოქმნილ პრობლემებს ყურადღებას არ აქცევენ, რადგან არ სურთ, რომ მოსწავლეები „დამნაშავეებად აქციონ“.

ტრეივონ მარტინი ამგვარი მიდგომის ყველაზე სახელგანთქმული წარმომადგენელია. ტრეივონი დანაშაულის ადგილზე დაიჭირეს მოპარული ნივთებით, მაგრამ ხსენებული პოლიტიკის გამო არ დააპატიმრეს. ჯეკ კეშილმა ამ ისტორიის შესახებ მშვენიერი წიგნი დაწერა, ისტორიისა, რომელიც პირველ, უკანასკნელ და ფინალურ სიტყვას წარმოადგენს წმიდა ტრეივონის კრიმინალურ ისტორიაში.

შავკანიანების დისპროპორციული ძალადობა სკოლებში საიდუმლო არაა. ამ საკითხს ხშირად განიხილავენ შავ ვებგვერდებზე.

გლენ სინგლტონი კი ცდილობს ამ ყველაფრის ახსნას თავის სახელმძღვანელოში „გაბედული საუბრები“.

„თეთრი მასწავლებლები მიდრეკილნი არიან, გაიკვირვონ, რომ შავი და ყვითელი მოსწავლეები სკოლაში ჩხუბისკენ არიან მიდრეკილნი, — აღნიშნავს იგი. — ისინი სვამენ კითხვას: რატომ ასწავლიან ფერადებს სახლებში ძალადობას? **მაგრამ ისინი არ ითვალისწინებენ, რომ ამ ბავშვებზე გავლენას ახდენს ის, რომ ისინი თეთრების მიერ მართულ ქვეყანაში ცხოვრობენ, ქვეყანაში, რომელსაც შეუძლია, დაემუქროს ახალგაზრდა ფერადკანიანებს, ქვეყანაში, რომელსაც არ სჯერა მათი შესაძლებლობების, მიაღწიონ წარმატებებს და დაიცვან კანონი, ქვეყანაში, რომელიც კვარტლებში, სკოლებსა და სასკოლო კლასებში საშუალებას აძლევს ყოველდღიურ რასობრივ სტრესს, განუხრელად გაიზარდოს“.**

**American Thinker**




## ამერიკის 13 სამხრეთულ შტატში შავკანიან ბავშვებს გაცილებით უფრო ხშირად აგდებენ გაკვეთილებიდან, ვიდრე თეთრკანიანებს






## თურქეთმა ერაყის ტერიტორიაზე სახმელეთო ძალები შეიყვანა

**თურქეთის არმიის სახმელეთო ძალები ერაყის ტერიტორიაზე ქურთ მებრძოლებს დაედევნენ.** თურქი მაღალჩინოსნები აცხადებენ, რომ ეს მოკლევადიანი ზომაა, რათა ქურთების მუშათა პარტიის მეამბოხეების ლიკვიდაცია მოხდეს. სახმელეთო ძალების გარდა, თურქეთის საჰაერო ძალებმა იერიში მიიტანეს ერაყის ჩრდილოეთში განლაგებულ მუშათა პარტიის მეამბოხეების ბაზებზე. ამის ფონზე 14 თურქი სამართალდამცავი ნაღმის აფეთქების შედეგად დაიღუპა თურქეთის ტერიტორიაზე.



პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1963 წლიდან მოყოლებული, ომის დასრულებამდე ამერიკელებმა ვიეტნამის ტერიტორიაზე დააფრქვიეს 72 მლნ ლიტრი დეფოლინტი, ამ ნივთიერებას იყენებდნენ ტყეების გასანადგურებლად, რომლებშიც ვიეტნამელი პარტიზანები იმალებოდნენ, და დასახლებული პუნქტების გასანადგურებლად. დიოქსინი, რომელიც ყველა ქიმიურ ნაერთში არსებობდა, ორგანიზმში ილექებოდა და იწვევდა ღვიძლის, სისხლის დაავადებებს, ახალშობილებში კი — სიმახინჯეებს.**

# ვისი თვითმფრინავი სჯობს — რუსების, ჩინელების თუ ამერიკელების

## რუსულ T-50-ს 5 ამერიკული F-35-ის განადგურება შეეძლება




**მეხუთე თაობის მრავალფუნქციური გამანადგურებლების მახასიათებლების შედარება**

| | T-50 | F-22 | J-20 | F-35 |
|---|---|---|---|---|
| მაქსიმალური ასაფრენი მასა კგ | 3700 | 38000 | 3600 | 32700 |
| მაქსიმალური სიჩქარე კმ/სთ | 2600 | 2100 | 2300 | 1900 |
| კრეისერული სიჩქარე კმ/სთ 1 | 300/2500 | 950/1350 | უცნ. | 850/1350 |
| საბრძოლო მოქმედების რადიუსი კმ | 2700 | 1900 | უცნ. | 2200 |
| ფრენის მაქსიმალური სიშორე კმ | 5500 | 3400 | 5500 | 3200 |

* ექსპერტთა შეფასებით, T-50 მეხუთე თაობის საუკეთესო მრავალფუნქციური გამანადგურებელია. დაზიანების ზონაში შესვლამდე, შეეძლება, გაანადგუროს 4 F-22 ან 5 F-35.



**ამერიკული გამოცემა The National Interest-ის სამხედრო ექსპერტმა დეივ მაჯუმდარმა სამი ქვეყნის — რუსეთის, ჩინეთისა და აშშ-ის — ბოლო თაობის გამანადგურებლების ტექნიკური მახასიათებლები გააანალიზა.**

**F-35-ის კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ ახალი ამერიკული გამანადგურებელი მანევრირების შესაძლებლობებით ჩამორჩება წინა თაობის გამანადგურებელ F-22-საც კი. რუსული და ჩინური თვითმფრინავების კინემატიკური მახასიათებლები გაცილებით სჯობს ამერიკული F-35-ისას**

„ბოლო ხანს ბევრს კამათობდნენ ფირმა „ლოკჰიდ მარტინის" მიერ შექმნილ გამანადგურებელ-ბომბდამშენ F-35-ის ეფექტიანობაზე — შეუძლია თუ არა მას რუსეთისა და ჩინეთის მაღალი კლასის თვითმფრინავებთან წარმატებით ბრძოლა. ეს კამათი არ შეწყდება, ვიდრე ამერიკული F-35, ჩინური J-20, J-31 და რუსული T-50, აგრეთვე, СУ-35 ერთმანეთს რეალურ ბრძოლაში არ დაუპირისპირდებიან", — წერს დევ მაჯუმდარი The National Interest-ში გამოქვეყნებულ სტატიაში.

F-35-ის კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ ახალი ამერიკული გამანადგურებელი მანევრირების შესაძლებლობებით ჩამორჩება წინა თაობის გამანადგურებელ F-22-საც კი. რუსული და ჩინური თვითმფრინავების კინემატიკური მახასიათებლები გაცილებით სჯობს ამერიკული F-35-ისას.



# ჩინელების ახალი რაკეტა — უდიდესი საფრთხე ავიამზიდებისთვის

**ჩინური რაკეტა „დუნფენ-21D" (DF-21D), რომლის დემონსტრირებაც პეკინში მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებისადმი მიძღვნილ აღლუმზე მოხდა, უნიკალუროია თავისი მახასიათებლებით, — წერს Financial Times-ი.**

ჩინელების ახალი რაკეტის სიჩქარე ბგერის სიჩქარეს 10-ჯერ აღემატება და ავიამზიდების ჯგუფის თავდაცვითი სისტემის გარღვევა შეუძლია.

დედამიწის ახლო ორბიტაზე გასვლის შემდეგ, ისევე, როგორც სხვა ბალისტიკური რაკეტები, DF-21D ბრუნდება ატმოსფეროში და მანევრირებს მოძრავი მიზნის მოსაძებნად.

იგი თავისი შესაძლებლობებით დიდ საფრთხეს უქმნის აშშ-ის ავიამზიდებს, რომლებიც ვაშინგტონის გეოპოლიტიკური ინტერესების დაცვის ძირითადი ინსტრუმენტია.

პეკინში გამართულ გამარჯვების აღლუმზე ჩინეთმა წარმოადგინა იარაღის სახეობები, რომლებიც ადრე არასოდეს უჩვენებია არა მხოლოდ უცხოელებისთვის, არამედ ჩინელი საზოგადოებისთვისაც.

იარაღის 84%-ის დემონსტრირება პირველად მოხდა.

# მასობრივი განადგურების იარაღები

## წერილი ციმბირის წყლულის თეთრი ფხვნილით



**ბიოლოგიური იარაღის გამოყენება ადამიანმა უძველესი დროიდან დაიწყო. ჩვ.წ.აღ.-მდე 1500 წელს ხეთებმა მტრის ტერიტორიაზე ჭირი გაავრცელეს. ბიოლოგიური იარაღის ძალას კარგად იყენებდა ბევრი არმია და ციხესიმაგრეებში გამაგრებულ მტერს უმოწყალოდ ანადგურებდა.**

ერთ-ერთ სახიფათო ვირუსად ციმბირის წყლული ითვლება.

2001 წელს აშშ-ის სენატის ოფისებში მიიღეს წერილები, რომელთა კონვერტებში თეთრი ფხვნილი იდო. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს იყო სასიკვდილო ბაქტერია Bacilus anthracis-ის სპორები, რომლებიც ციმბირის წყლულს იწვევს. დასნეულდა 22 ადამიანი, 5 — დაიღუპა.

სასიკვდილო ბაქტერია ნიადაგში ცოცხლობს. ადამიანი შეიძლება დასნეულდეს ციმბირის წყლულით, თუ მას ხელით შეეხება, შეისუნთქავს ან ჩაყლაპავს.




## ქიმიური იარაღი

**ქიმიური იარაღის პირველად გამოყენების თარიღად 1915 წლის 22 აპრილი ითვლება. ბელგიის ქალაქ იპრთან გერმანიამ რუსი ჯარისკაცების წინააღმდეგ ქლორი გამოიყენა. გერმანელთა პოზიციებიდან გაშვებულმა ქლორმა უზარმაზარი ღრუბელი შექმნა, შედეგად მოიწამლა 15 ათასი ადამიანი, მათგან 5 ათასი დაიღუპა.**

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში **იაპონიამ** ბევრჯერ გამოიყენა ქიმიური იარაღი ჩინეთის წინააღმდეგ. ჩინეთის ქალაქ ვოციუის დაბომბვისას იაპონელებმა 1000 ქიმიური ყუმბარა ჩამოაგდეს, მოგვიანებით — კიდევ 2500 ავიაბომბი ქალაქ დინსიანის დაბომბვისას. მომწამვლელმა ნივთიერებებმა 50 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა — დაიღუპნენ როგორც სამხედროები, ისე მშვიდობიანი მოქალაქეები.

იაპონელების შემდეგ ქიმიური იარაღი **აშშ**-მა გამოიყენა. ვიეტნამთან ომში ამერიკელები აქტიურად იყენებდნენ მომწამვლელ ნივთიერებებს და მშვიდობიან მოსახლეობას გადარჩენის შანსს არ უტოვებდნენ.

1963 წლიდან მოყოლებული, ომის დასრულებამდე ამერიკელებმა ვიეტნამის ტერიტორიაზე დააფრქვიეს 72 მლნ ლიტრი დეფოლინტი, ამ ნივთიერებას იყენებდნენ ტყეების გასანადგურებლად, რომლებშიც ვიეტნამელი პარტიზანები იმალებოდნენ, და დასახლებული პუნქტების გასანადგურებლად. დიოქსინი, რომელიც ყველა ქიმიურ ნაერთში არსებობდა, ორგანიზმში ილექებოდა და იწვევდა ღვიძლის, სისხლის დაავადებებს, ახალშობილებში კი — სიმახინჯეებს.

სპეციალისტების გამოთვლებით, **ამერიკელებმა ქიმიური იარაღით 4,8 მლნ ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს, მათი ნაწილი ომის დასრულების შემდეგ დაიღუპა.**

# ლეგენდარული იარაღი

## ბრაუნინგის M1911

**ლეგენდარული პისტოლეტი M1911, რომელიც ყველა სატაბელო იარაღზე დიდი ხნისაა, 100-ზე მეტი წლის წინათ შექმნა ლეგენდარულმა ამერიკელმა კონსტრუქტორმა ჯონ ბრაუნინგმა ფირმა „კოლტისთვის".**

შექმნიდან დღემდე გამოშვებულია ამ იარაღის 2 მილიონი ეგზემპლარი. უკვე 80 წელია, აშშ-ის სამხედრო შენაერთებში, ძირითადად, 1926 წლის მოდელს — M1911A-ს იყენებენ.

M1911-ს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იყენებდნენ როგორც საბჭოთა არმიის მებრძოლები, ისე ფაშისტები. ამჟამად ამ პისტოლეტით შეიარაღებულია მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სამხედრო პირი — დაწყებული ჰაიტიდან, დამთავრებული ლუქსემბურგამდე.



მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95









# ბრაზილია — ყავის, ფეხბურთისა და კარნავალის ქვეყანა

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

ბრაზილია (ოფიციალურად — ფედერაციული რესპუბლიკა ბრაზილია) ტერიტორიითა და მოსახლეობით სამხრეთ ამერიკის ყველაზე დიდი სახელმწიფოა, ერთადერთი პორტუგალიურენოვანი ქვეყანა ამერიკის კონტინენტზე.

ჩრდილოეთით ესაზღვრება საფრანგეთის გვიანას, სურინამს, გაიანასა და ვენესუელას, ჩრდილო-დასავლეთით — კოლუმბიას, დასავლეთით — პერუსა და ბოლივიას, სამხრეთ-დასავლეთით — პარაგვაისა და არგენტინას, სამხრეთით — ურუგვაის. აღმოსავლეთით აქვს სანაპირო ზოლი (7,4 ათასი კმ) ატლანტის ოკეანეზე. ბრაზილიას, აგრეთვე, ეკუთვნის რამდენიმე არქიპელაგი: ფერნანდუ-დი ნორონია, როკასი, სან პედრუ-ი-სან პაულუ და ტერინიდადი-ი-მარტინ-ვასი.

1500 წლიდან ბრაზილია პორტუგალიის კოლონია იყო. 1822 წლის 7 სექტემბერს კი დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

**კლიმატი.** ბრაზილიაში ცხელი კლიმატია. ყოველთვიური საშუალო ტემპერატურა პლუს 16-დან 29 გრადუსამდე მერყეობს, მხოლოდ აღმოსავლეთის მთიან მასივებში ეცემა პლუს 12-14 გრადუსამდე.

**ფლორა.** მდინარე ამაზონის ველსა და ატლანტის ოკეანის სანაპიროს გასწვრივ ხარობს ფართოფოთლიანი მცენარეები, ეკვატორულ ნაწილში — პალმა (100 სახეობის), კაუჩუკის ხე, ფიკუსი, ორქიდეა, კაქტუსი.

**ფაუნა**. ბრაზილიის ცხოველთა სამყარო განსაკუთრებულია. ეს ქვეყანა მსოფლიოში პირველია პრიმატების რაოდენობითა (77 სახეობა) და მტკნარი წყლის თევზებით (3000 სახეობა). ბრაზილიაში ბინადრობს იაგუარი, პუმა, ლეოპარდი, ავაზა, ოცელოტი, ზარმაცა, ტაპირი, ჯავშნოსანი, ჭიანჭველაჭამია, ტროპიკულ ტყეებში — მაიმუნი, ანაკონდა.

ფრინველებიდან აღსანიშნავია კოლიბარი, თუთიყუში, იბისი, შევარდენი, არწივი, ფლამინგო. მდინარეებში — ამაზონსა და ორინოკოში — ბინადრობს თევზი-ძროხა — ლამანტინი, ვარდისფერი დელფინი.

ბრაზილიის ყველაზე მაღალი წერტილია ვენესუელის საზღვართან მდებარე მთა **პიკო და ნებლინა — 3014 მ.**

**უდიდესი ტბები: პატუსი** და **ლამაია-მარინი.**

**უდიდესი მდინარეები: ამაზონი** (ადგილობრივი ინდიელები პარანგო-ტინგოს, ანუ მდინარეების დედოფალს უწოდებენ), სიგრძე — დაახლოებით 7000 კმ). ამაზონი მსოფლიოში ყველაზე გრძელ და დიდი აუზის მქონე მდინარედ ითვლება. **პარანა (4380 კმ), სან-ფრანსისკუ (2830 კმ).**

ბრაზილიის ტერიტორია 8 514 877 კვ კმ-ს შეადგენს (მე-5 მსოფლიოში).

**მოსახლეობა.** 2014 წლის შეფასებით, ბრაზილიაში **202 მლნ კაცი ცხოვრობს (მე-5 მსოფლიოში).** რასობრივი შემადგენლობა: თეთრები (ევროპული წარმოშობის ბრაზილიელები) — 47.7%; შერეული — 43,3%; ნეგროიდული — 7,9%; აზიელები — 0,8%; ინდიელები — 0,3%.

**დედაქალაქი — ბრაზილია** (2,6 მლნ).

**უდიდესი ქალაქები: სან-პაულუ (11 მლნ); რიო-დე-ჟანეირო (6,4 მლნ), სალვადორი (2,6 მლნ), ბრაზილია, ბულუ ორიზონატი (2,4 მლნ).**

**ოფიციალური ენა — პორტუგალიური (ბრაზილიური ვარიანტი).**

## მმართველობის ფორმა და რელიგია

ბრაზილია საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც 4 წლით ირჩევენ. ამჟამად ბრაზილიის პრეზიდენტია **დილმა რუსეფი.**

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ეროვნული კონგრესი, რომელიც ორი პალატისგან შედგება: ფედერალური სენატისა (81 ადგილი) და დეპუტატთა პალატისგან (513 ადგილი).

ბრაზილია დაყოფილია 26 შტატად და 1 ფედერალურ ოკრუგად (დედაქალაქის).

**რელიგია.** ბრაზილიელთა 64,3% რომის კათოლიკურ ეკლესიას აღიარებს. ქვეყანაში მოქმედებს ბრაზილიის კათოლიკური ეკლესიაც. ბრაზილიელთა 22% პროტესტანტია, ცხოვრობენ, აგრეთვე, ორმოცდაათიანელები, ბაპტისტები, სპირიტისტები, ბუდისტები, ისლამისტები, ინდუისტები და იუდეველები.

## ეკონომიკა

სოფლის მეურნეობის, სამთო-მომპოვებელი და სამრეწველო დარგების განვითარებამ, აგრეთვე, შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდმა რაოდენობამ, ბრაზილიას საშუალება მისცა, ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებისთვის მნიშვნელოვნად გაესწრო.

ბრაზილიას საზღვარგარეთ გააქვს საავიაციო ტექნიკა, ყავა (ყავის წარმოებით ბრაზილია მსოფლიოში პირველ ადგილზეა), სატრანსპორტო საშუალებები, სოია, რკინის მადანი, ფორთოხლის წვენი, ფოლადი, ქსოვილები, ფეხსაცმელი, ელექტროაპარატურა და შაქარი. განვითარებულია ტურიზმი.

ბრაზილიის **მთლიანი შიგა პროდუქტი 3,07 ტრილიონ დოლარს შეადგენს,** მოსახლეობის ერთ სულზე — **14 637 დოლარს.**

**ვალუტა — ბრაზილიური რეალი. 1 ბრაზილიური რეალი უდრის 0,26 აშშ დოლარს.**

**ინტერნეტდომენი: br**

**სატელეფონო კოდი: +55**

**საათობრივი სარტყელი: UTC-2... UTC-5**


რიო დე ჟანეირო


კარნავალი


საკათედრო ტაძარი

## კულტურა

ბრაზილიური კულტურა ჩამოყალიბდა ბრაზილიელი ერის შემადგენელი ხალხების კულტურითა და ტრადიციებით. თუმცა განსაკუთრებული გავლენა მაინც პორტუგალიურმა კულტურამ იქონია.

მსოფლიოში სახელი გაითქვეს ბრაზილიელმა მწერლებმა: **ჟოაკიმ მაშადუმ (XIX საუკ.), ჟორჟი ამადუმ,** ბოლო ხანს დიდი პოპულარობა მოიხვეჭა **პაულო კოელიომ.**

ბრაზილიელები არიან სახელგანთქმული არქიტექტორები **ოსკარ ნიმეიერი** და **ლუიზიო კოსტა**; მხატვრები — **დი კავალკანტი** და **კანდიდუ პოსტინარი;** „ფორმულა 1"-ის ავტომრბოლები: **ემერსონ ფიტიპალდი, ნელსონ პიკე, აირტონ სენა;** ფეხბურთელები: **პელე, გარინჩა, რონალდო, ნეიმარი...** სუპერმოდელები: **ალესანდრა ამბროსიო** და **ადრიანა ლიმა**.

ყოველი წლის თებერვალში რიო დე ჟანეიროში იმართება ტრადიციული კარნავალი, რომელიც ყველაზე გრანდიოზული სანახაობაა პლანეტაზე და რომლის სანახავადაც უამრავი ტურისტი ჩადის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

## სამზარეულო

ბრაზილიული სამზარეულო პორტუგალიური, აფრიკული, ფრანგული და ადგილობრივი ინდიელების სამზარეულოს ტრადიციებით შეიქმნა.

კერძების ძირითადი ინგრედიენტებია ხორცი (საქონლის, ღორის, ცხვრის), ლობიო, ბრინჯი, თევზი და ზღვის სხვა პროდუქტები. განსაკუთრებით პოპულარულია კერძი „ფეიჯოადა" და ეგზოტიკური სალათები, სასმელები: მატე, ლუდი, კაშასა (შაქრის ლერწმის არაყი), კოქტეილი კაიპირინია (კაშასა, ლიმონის წვენი, შაქარი და ყინული), გუარანა (მცენარე გუარანის ნაყოფის სასმელი) და, რა თქმა უნდა, ყავა სხვადასხვა ვარიაციით.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

## „ფეიჯოადა"



**ინგრედიენტები:**

* ღორის ნეკნები — 900 გრ.
* შებოლილი ძეხვი (პილპილიანი) — 900 გრ.
* საქონლის ხორცი — 1,5 კგ.
* ზეითუნის ზეთი — 3 სუფრის კოვზი
* ლობიო (შავი) — 8 ჭიქა
* დაფნა — 2 ფოთოლი
* ნიორი — გემოვნებით
* ხახვი — 1 დიდი თავი
* მარილი — გემოვნებით
* შავი პილპილი — გემოვნებით
* სალათის 2 ფოთოლი
* ბრინჯი — 100 გრ
* ფორთოხალი — 1 ც.
* ქინძი და ოხრახუში — 50 გრ

**მომზადება:**

**1. ლობიო ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით წყალი და დატოვეთ ასე ღამის განმავლობაში.**

**2. ცალკე ქვაბში ჩადეთ საქონლის ხორცი და დაასხით წყალი.**

**3. დილით ქვაბიდან, რომელშიც ლობიოა, გადაღვარეთ წყალი, ლობიო სხვა ქვაბში ან თიხის ქოთანში გადაიტანეთ და დაასხით ახალი წყალი ისე, რომ 7-8 სმ-ით დაფაროს. ქვაბი საშუალო ცეცხლზე დადეთ და დაელოდეთ, ვიდრე წყალი ადუღდება.**

**4. საქონლის ხორცი დაჭერით 2-3 სმ-ის ნაჭრებად, ასევე, დაჭერით ძეხვი (დაჭრამდე 10 წუთით ჩადეთ ადუღებულ წყალში).**

**5. ღორის ნეკნები სექციებად განაცალკავეთ.**

**6. ლობიოიან ქვაბში ჩაყარეთ ნეკნები, ხორცისა და ძეხვის ნაჭრები, დაფნის ფოთლები და ნელ ცეცხლზე ხარშეთ 2 სთ-ის განმავლობაში. დროდადრო მოურიეთ და წყალი დაამატეთ. ხარშვისას წყალი ყოველთვის უნდა ფარავდეს ლობიოს.**

**7. ხახვი და ნიორი წვრილად დაჭერით. ზეითუნის ზეთი ტაფაზე გააცხელეთ და მასში ხახვი და ნიორი მოშუშეთ. ამ მასას დაუმატეთ 2 სუფრის კოვზი ლობიო (ქვაბიდან ამოღებული) და გააკეთეთ პიურე. შემდეგ ეს პიურე ლობიოიან და ხორციან ქვაბში გადაიტანეთ. პიურე კერძს გაასქელებს. განაგრძეთ ხარშვა კიდევ 1 სთ-ით. წყლის დამატება არ დაგავიწყდეთ. მზა კერძს კრემის კონსისტენცია უნდა ჰქონდეს. მოაყარეთ მარილი და შავი პილპილი. ღორის ნეკნები შეგიძლიათ განაცალკევოთ ან ერთად მოათავსოთ ღრმა თეფშზე ან ქოთანში. გარნირად მოამზადეთ მოხარშული ბრინჯი, სალათის დაჭრილი ფოთლები, ფორთოხლის ნაჭრები, დაჭრილი ქინძი და ოხრახუში.**

## ბრაზილიური კრემ-ყავა

**ინგრედიენტები:**

* რძე — 0,5 ლ
* შაქარი — 150 გრ
* ნაღები — 4 ს. კოვზი
* ყავა — 25 მლ

**მომზადება:**

**აადუღეთ რძე, რომელშიც წინასწარ აურევთ შაქარს. ცეცხლიდან გადმოიღეთ რძე, დაუმატეთ ნაღები და მიღებული მასა კარგად ათქვიფეთ ყავასთან ერთად. შემდეგ კრემ-ყავა ფინჯნებში ჩაასხით.**



## ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბონდო კობაძე ახლა რუსთაველის პრემიაზე იკლავს თავს, უტიფრად აგროვებს საამისო ხელმოწერებს, მთელი დღე დალაყუნებს თბილისის ქუჩებში ნაცოდვილარი წიგნებით, თავი მოაბეზრა ცნობილ ადამიანებს, განსაკუთრებით — უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს, რუსთაველის პრემიაზე ვარ წარდგენილი და თქვენი ხელმოწერა მაკლიაო და ა. შ., მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა — სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, აღარ არსებობს ასეთი პრემია...**



# გიორგი ლეონიძე — ქართული წიგნის ინკვიზიტორის მორიგი მსხვერპლი

„დილეტანტი თავხედია, მან არ იცის სირთულე თავისი პროფესიისა".
ლილი იოსელიანი

**მას შემდეგ, რაც საბოლოოდ მივივიწყეთ ვახტანგ VI-ს მიერ დამკვიდრებული „სწავლულ კაცთა კომისიის" უმაღლესი ზნეობრივი პრინციპები, ჩვენში, სამწუხაროდ, კატასტროფულად დაეცა წიგნის, როგორც პოლიგრაფიული ერთეულის, გამოცემის კულტურა. ამ ტრაგიკულ გარემოებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ერთობ ცუდი ტრადიცია დამკვიდრდა — საიუბილეო გამოცემებზე, სხვადასხვა სახის კრებულზე, ალბომზე და მისთ. მხოლოდ კარგი უნდა ითქვას და არავითარ შემთხვევაში — კრიტიკული რამ. საკმარისია, თარიღი იყოს მქუხარე და წიგნიც მაღალმხატვრულ ყდაში შეფუთული, საიუბილეო ღონისძიებათა ორგანიზატორები ენად გაიკრიფებიან, ნახეთ, რა წიგნი გამოვეცითო და ა. შ., მაგრამ, როცა ისე გაბრიყვდები, რომ მართლაც „ნახავ" (ანუ გადაშლი) წინასწარ ასე ფართოდ რეკლამირებულ გამოცემას, გულზე შემოგეყრება...**

სწორედ ამ საკითხზე იყო ჩემი ერთი კრიტიკული სტატია („**ვინ უნდა გამოაცხოს პური?**"). იგი ორი წლის წინათ გამოქვეყნდა პრესაში (გაზ. „**საქართველო და მსოფლიო**", 7.XI.2013) და ეხებოდა ქართული წიგნის ნამდვილი ინკვიზიტორის — **ბონდო კობაძის** „ახალგამომცხვარ" (ვაი, რომ სხვაგვარად ვერც იტყვი!), 960-გვერდიან (თანაც A4 ფორმატისა და მთლიანად ე. წ. ცარცის ქაღალდიან) კრებულს, რომელიც მიეძღვნა საქართველოს უპირველეს მოჭირნახულეს, აწ უკვე წმინდანად შერაცხილ **ექვთიმე თაყაიშვილს.**

სტატია ისეთი კრიტიკული იყო ამ საიუბილეო კრებულის უწიგნური სარედაქციო კოლეგიის მიმართ, რომ თაღლითმა ბონდო კობაძემ უმალ იპოვა გამოსავალი და წიგნის რედაქტორი, როგორც განტევების ვაცი, თავიდან მოიშორა (სხვათა შორის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი), მაგრამ თავისი „ბიზნესკანტორა" რომ არ გაეჩერებინა, მომავალი გამოცემისთვის **(„დიმიტრი ყიფიანი — 200")** ახალი რედაქტორი მოიწვია. თუმცა მას შემდეგ, რაც ამ ახალ საიუბილეო კრებულზეც წამოვიდა ტალღა კრიტიკული სტატიებისა და უმწვავესი სატელევიზიო გადაცემებისა, განტევების ვაცად ისევ რედაქტორი იქცა.

ყოველგვარ ინტელექტს (ანუ ადამიანური აზროვნების უნარსა) და ელემენტარულ ცოდნას მოკლებული ბონდო კობაძე თანამედროვე ტუტრუცანებმა ექვსიოდე წლის წინათ შემოაგდეს არენაზე ფეთიანი ხარივით და პირველივე უბადრუკი (პროფესიული დონის თვალსაზრისით) საიუბილეო კრებულების გამოცემის შემდეგ საპატიო წოდებებით დახუნძლეს (იხ. ჩემი სტატია: „ტუტრუცანებო მთელი ქვეყნისა, შეჩერდით!" გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 28.XI.2014). არ გაგიკვირდეთ და, ეს უწიგნური არსება, რომელმაც, ყველა ამ „სიკეთესთან" ერთად, არც მოსმენა იცის, არც ქცევა საზოგადოებაში და ა.შ., უკვე არის ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძისა და დავით აღმაშენებლის პრემიების ლაურეატი. ახლა რუსთაველის პრემიაზე იკლავს თავს, უტიფრად აგროვებს საამისო ხელმოწერებს, მთელი დღე დალაყუნებს თბილისის ქუჩებში ნაცოდვილარი წიგნებით, თავი მოაბეზრა ცნობილ ადამიანებს, განსაკუთრებით — უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს, რუსთაველის პრემიაზე ვარ წარდგენილი და თქვენი ხელმოწერა მაკლიაო და ა. შ., მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა — სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, აღარ არსებობს ასეთი პრემია...

თავის დროზე რომ უყურადღებოდ არ მიგვეტოვებინა ამ ავანტიურისტის „ლიტერატურული დებიუტი" — უგამომცემლოდ და ურედაქტოროდ გამოქვეყნებული, ვიმეორებ, უგამომცემლოდ და ურედაქტოროდ გამოცემული-მეთქი, 202-გვერდიანი (რა თქმა უნდა, A4 ფორმატისა და, რაღა თქმა უნდა, მთლიანად ცარცის ქაღალდისა) კრებული **„ტაშისკარი 400 გიორგი სააკაძე"**, მაშინ ჩვენს პოლიგრაფიაში ველარ იბოგინებდა ეს ავანტიურისტი, რომელიც ნაჯახით (აბა, კალმის გამოყენება მან არ იცის), ერთიანად ჩეხს და გლეჯს ქართულ მეცნიერულ წიგნებსა თუ ცალკეულ მხატვრულ ნაწარმოებებს, მერე მართლაც მოკლე ჭკუით აკოწიწებს ახალ-ახალ ვარიანტებს, ბეჭდავს და ბეჭდავს სქელტანიან გამოცემებს ჩვენს სახელოვან მოღვაწეებზე და დაგვცინის თანამედროვე საზოგადოებას.

სწორედ ასე გამოაცხო მან **ხელახლა** 2009 წლის გამოცემის (**„ტაშისკარი 400 გიორგი სააკაძე"**) ახალი, შევსებული ვერსია (**„გიორგი სააკაძე — 440"**), რომლის ერთ-ერთ ქვეთავზეც უნდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება. ისე, სულო ცოდვილო, **თუ 2009 წელს იყო ტაშისკარისა და გ. სააკაძის 400 წლისთავი, წლეულს (ანუ, სულ რაღაც 6 წლის შემდეგ) როგორღა გამოდის სააკაძის 440 წელი?!** მაგრამ ამაზე, მოდით, შეგნებულად დავხუჭოთ თვალი, ნეტავ, მხოლოდ ასეთ მათემატიკურ გამოთვლებში ცდებოდეს ეს ჩემი ცოდვით სავსე კობაძე!

ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის გამორჩეული ოსტატი, მშობლიური ლიტერატურის კლასიკოსი — **გიორგი ლეონიძე**, არა მგონია, წარდგენას საჭიროებდეს თანამედროვე მკითხველი საზოგადოების წინაშე, მაგრამ, როგორც ჩანს, ერთხელაც ხმამაღლა უნდა ითქვას, რომ გიორგი ლეონიძე, ხალხი რომ დღემდე სიყვარულით „გოგლათი" მოიხსენიებს, არა მხოლოდ ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია ქართული პოეზიისა, არამედ ეროვნული ლიტერატურის უთვალსაჩინოესი ისტორიკოსიც და ამ მხრივაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ჩვენს კულტურას. გავიხსენოთ მისი, როგორც მკვლევარის, მეცნიერული ნაშრომები რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ბესიკის, ალექსანდრე ყაზბეგის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და სხვათა შესახებ. 1944 წელს გიორგი ლეონიძე ხომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრადაც აირჩიეს და ა. შ.

1939 წელს გიორგი ლეონიძემ სათანადო კომენტარებითა და შესანიშნავი გამოკვლევით გამოსცა იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი", რომელიც პროფესიულ წრეებში მიჩნეულია მეცნიერული სიღრმითა და ფაქიზი პოეტური გემოვნებით შესრულებულ გამოცემად, მაგრამ რად გინდა – ბონდო კობაძეს მაინც არ მოსწონს გიორგი ლეონიძის 64-გვერდიანი გამოკვლევა და იგი დაიყვანა, არც მეტი, არც ნაკლები, 3 გვერდზე, აქაოდა, დანარჩენი 61 გვერდი სულაც არაა საჭიროო... ზუსტად ისეა, მე და ჩემმა ღმერთმა, სვეუბედურ მამას რომ ანუგეშებენ, თქვენი ქალიშვილი, მართალია, გააუპატიურეს, მაგრამ ახლა უფრო სიმპათიურად გამოიყურებაო...

ტექსტის შემოკლება, როგორ არა, შეიძლება, მაგრამ ამას აქვს თავისი წესი – იმთავითვე უნდა ითქვას რიდითა და კრძალვით და შემდეგ შესრულდეს პროფესიულ დონეზე...

დედნისეული **„ტფილელი"** რომ უკომენტაროდ **„თბილელად"** აქცია, ნურც ამას გამოვეკიდებით — სკოლაში ნამყოფს ეგ არ ჰგავს და, მით უმეტეს — უმაღლესდამთავრებულს და ვის ესწავლებინა, რომ **ც ი ტ ა ტ ა** ნიშნავს რაიმე ტექსტიდან სიტყვასიტყვით გადმოტანილ ფრაზას, წინადადებას და ა. შ. მრჩევლები? როგორ არა, ჰყავს, მაგრამ ესღა აკლია, ვინმეს დაუჯეროს!

არც დედნისეულ ე. წ. ხაზგასმას, ანუ ყურადღების გამახვილების საშუალებას, უწევს ანგარიშს – გიორგი ლეონიძეს მეხუთე სტრიქონშივე მოჰყავს ისტორიკოს **პლატონ იოსელიანის** ციტატა, რომელშიც მკითხველის ყურადღებას ამახვილებს ავტორისეულ სიტყვებზე — **„ქებულ არს მრავალთაგან"**, ასევე ხაზგასმით გამოჰყოფს ისტორიკოსის გვარსა და ინიციალსაც — **„პ ლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი".** ბონდო კობაძე, ცხადია, აზრზე არ არის, რას ნიშნავს ყოველივე ეს, რატომაა ასოები ერთმანეთს დაშორებული, ეს ხომ ზედმეტ ფართობს ▶

**ყოველგვარ ინტელექტს (ანუ ადამიანური აზროვნების უნარსა) და ელემენტარულ ცოდნას მოკლებული ბონდო კობაძე თანამედროვე ტუტრუცანებმა ექვსიოდე წლის წინათ შემოაგდეს არენაზე ფეთიანი ხარივით და პირველივე უბადრუკი (პროფესიული დონის თვალსაზრისით) საიუბილეო კრებულების გამოცემის შემდეგ საპატიო წოდებებით დახუნძლეს. ეს უწიგნური არსება, რომელმაც, ყველა ამ «სიკეთესთან» ერთად, არც მოსმენა იცის, არც ქცევა საზოგადოებაში და ა.შ., უკვე არის ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძისა და დავით აღმაშენებლის პრემიების ლაურეატი**

---

მსოფლიო



## არეულობა თურქეთში — დაღუპულია 30-ზე მეტი ადამიანი

**თურქეთში არეულობა გრძელდება. ქალაქ ჯიზრეში სამხედროებსა და ქურთ მებრძოლებს შორის შეტაკებებს, სულ ცოტა, 30 ადამიანი ემსხვერპლა.**

ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაღუპულთა უმრავლესობა ქურთი მებრძოლები არიან. განსხვავებულ მონაცემებს ავრცელებს „ქურთების მუშათა პარტია". მათი ცნობით, დაღუპულთაგან დაახლოებით 20 ადამიანი მშვიდობიანი მოქალაქეა. ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში ქვეყნის შეიარაღებულ ძალებსა და ქურთ ამბოხებულებს შორის შეტაკებები, ბოლო რამდენიმე თვეა, ინტენსიური გახდა. არმია ქურთების პოზიციებს უტევს. საპასუხოდ ამბოხებულები თითქმის ყოველდღე ესხმიან თავს ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს.



**ლეონიძისეული ფრაზა („როგორც ზემოთ ითქვა“) კობაძემ ზედმეტად მიიჩნია და თავის ვარიანტში საერთოდ ამოაგდო („დიდმოურავიანის“ მიზანია პოპულარიზაცია გიორგი სააკაძის გმირობისა“). ამასთანავე, ერთი სიტყვაც ჩაუსწორა გიორგი ლეონიძეს, რომელსაც „ახდენის“ გაგებით უწერია სიტყვა „ახდა“ („ახდა მისგან მოღალატური ბრალდებისა“), აქ „ახდა“ კი არა „ახლა“ უნდა იყოსო. ვინ შეეკამათებოდა?!**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ეს წერილი ა.წ. 21 აგვისტოს გადავუგზავნე ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორს, ქალბატონ ირმა რატიანს, რომელიც შემპირდა, ხვალვე (ე.ი. 30 აგვისტოს) გიპასუხებთო, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე არ დაურეკავს. მიკვირს, ნუთუ ეს საკითხი არ უნდა აღელვებდეს იმ უწყების ხელმძღვანელს, რომლის უპირველესი მოვალეობაა ზრუნვა ქართულ ლიტერატურაზე, სხვა თუ არაფერი, გიორგი ლეონიძე ხომ მრავალი წელი (1954-66) სწორედ ამ ინსტიტუტის დირექტორი გახლდათ?!

◀ იკავებსო. არც იმაში ეთანხმება გიორგი ლეონიძეს, ამ ცნობილი ისტორიკოსის სახელი რატომ უნდა იყოსო შემოკლებული („პლ.“) და მთლიანად გვთავაზობს...

ამასაც გაუძლებდა კაცი, მაგრამ **მეორე აბზაცის მეხუთე სტრიქონი რომ უცებ გადაამონტაჟა მეხუთე გვერდის მეშვიდე აბზაცზე (ანუ ისე გამოტოვა ავტორისეული 86 სტრიქონი, თავის სქოლიოებიანად, რომ ერთი ტრადიციული მრავალწერტილიც (...) არ გაიმეტა, მივხვდი, თუ როგორ აღიზიანებს გიორგი ლეონიძის უხვსიტყვიანობა, ამიტომაც ამ გვერდიდან მხოლოდ 5 სტრიქონი იკმარა, იქვე, ამ ხუთსტრიქონიან მონაკვეთში, პუნქტუაციაც დაუწუნა — ორი წერტილი (:) კი არა, წერტილ-მძიმე (;) უნდა აქო, არც სიტყვა „საუკუნე“ უნდა შეგემოკლებინაო და ჩაუსწორა კიდეც...**

როგორც ჩანს, ლეონიძის ტექსტის ასეთმა ნიუანსებმა ისე მოაბეზრა თავი ბონდო კობაძეს, რომ ადგა და (ხომ არ დაგავიწყდა, ძვირფასო მკითხველო, რომელ გვერდზე ვართ?!), დიახ, დიახ, მეექვსე გვერდიდან, ახტა, გადაევლო მთებსა და ველებს, და 30-ე გვერდზე დახტა (ა, როგორია 25-გვერდიანი ნახტომი, არ არის მსოფლიო რეკორდი?!), მაგრამ წინა გვერდი ვერ გადამონტაჟდა ბუნებრივი თანმიმდევრობით და საჭირო გახდა კინემატოგრაფიული პრაქტიკის გამოყენება — როცა ორი სხვადასხვა ფირი ერთმანეთს ისე ვერ გადაეწებება, რომ ფაზები არ აირიოს და ე. წ. ნახტომები არ გაჩნდეს (ეს ტექნიკურ წუნად ითვლება), საჭიროა მეორე, ანუ მომდევნო ფირის თავის წაჭრა (ისეც შეიძლება, რომ პირველს წააჭრა ბოლო კადრი) და რაიმე ახალი გამოსახულების (კინოში ამას „ფოთოლს“ ვეძახით) შემოტანა, რომ მაყურებლის თვალი წამით, დიახ, დიახ, მხოლოდ წამით, სხვა გამოსახულებაზე გადავიდეს და შემდეგ ყველაფერი ბუნებრივი გზით წავა, ანუ აღარ მოგეჩვენებათ, რომ ფაზები აირია. ეს კინემატოგრაფიული მონტაჟის ანბანია და, აი, 25 გვერდის შემდეგ სტრიქონის სტრიქონზე გადასაბმელად გიორგი ლეონიძის ფრაზა **„... საიდანაც ირკვევა“** კობაძემ, ვითარცა ჯადოსნურმა მემონტაჟემ, ახალი ფრაზით **(„როგორც ირკვევა“)** შეცვალა, რაც მთავარია, ეს ახალი ფრაზა სათავეში ჩაუყენა აბზაცს და, ჰაიდა, წავიდა და წავიდა, როგორც იტყვიან...

კობაძის თვალს რა გამოეპარება და ერთგან ისიც არ მოეწონა, რომ გიორგი ლეონიძის ტექსტში „დიდმოურავიანი“ (გვ. XXXI, მეხუთე აბზაცი) მოხსენიებულია, როგორც **„ჩვენი პოემა“** („ჩვენი პოემა დაწერილია არჩილის ცნობილი თხზულების შემდეგ“)... რა ფამილიარობააო! — შესძახა ბონდო კობაძემ და ჩაუსწორა: **„პოემა „დიდმოურავიანი“ დაწერილია არჩილის ცნობილი თხზულების შემდეგ“ (გვ. 269, ბოლოს წინა აბზაცი).**

ამავე გვერდზე კიდევ ერთხელ უწუნებს პუნქტუაციას, ციტირების წინ ორი წერტილი (:) კი არ უნდაო, არამედ წერტილ-მძიმე (;) და ასწორებს კიდეც („ასევეა ნათქვამი პოემის ეპილოგში“;) და მხოლოდ ამის შემდეგ მოჰყავს ციტატა პოემიდან, ოღონდ ეს ციტატა, როგორც საჭიროა, არც ბრჭყალებით იწყება და არც ლექსად (ანუ შესაფერისი, განსხვავებული შრიფტით) არის გადმოტანილი.

ახლა თვით იოსებ თბილელსაც ხომ უნდა მიხედოს და ასკვნის, რომ პოემის ავტორს არასწორად აქვს გამოყენებული სიტყვა **„ვიქმენ“, უნდა იყოსო „ვქმენ“.** ნამდვილად მიკვირს, **ასე უგზო-უკვლოდ განსწავლული როგორაა ეს შეჩვენებული?! გიორგი ლეონიძეს რომ უსწორებს, „გასაგებია“, მაინც ჩვენი თანამედროვე იყო, მაგრამ მე-17 საუკუნის პოეტს რომ უწუნებს ლექსიკას, აი, ესაა, მართლაც, საოცარი.**

ისე, მაინც გიორგი ლეონიძეს უფრო უტევს, — ეს ე. წ. ჩართული წინადადება რა საჭიროა, რაღას იმეორებო. კერძოდ, ერთგან გიორგი ლეონიძე წერს, „დიდმოურავიანის“ მიზანია, როგორც ზემოთ ვთქვით, პოპულარიზაცია გიორგი სააკაძის გმირობისაო (გვ. XXXIV, ბოლოდან მე-4 აბზაცი). ეს **ლეონიძისეული ფრაზა („როგორც ზემოთ ითქვა“), კობაძემ ზედმეტად მიიჩნია და თავის ვარიანტში საერთოდ ამოაგდო („დიდმოურავიანის“ მიზანია პოპულარიზაცია გიორგი სააკაძის გმირობისა“). ამასთანავე, ერთი სიტყვაც ჩაუსწორა გიორგი ლეონიძეს, რომელსაც „ახდენის“ გაგებით უწერია სიტყვა „ახდა“ („ახდა მისგან მოღალატური ბრალდებისა“), აქ „ახდა“ კი არა „ახლა“ უნდა იყოსო. ვინ შეეკამათებოდა?!**

უფრო „ტაქტიანი“ რომ გამოჩნდეს, კობაძე თავისი ჭკუით „აბალანსებს“ სიტუაციას და მორიგეობით ტუქსავს პოეტსაც (იოსებ თბილელს) და მკვლევარსაც (გიორგი ლეონიძეს). ამჯერად, როგორც ჩანს, ისევ პოეტის (ი. თბილელის) ჯერი დადგა და შენიშნავს, სიტყვაში „დაგულვა“ (ანუ „დაკეტვა“, „დახურვა“) წინა ორი ასო ჩვეულებრივი კავშირი „და“ არისო და ამიტომაც ასე უსწორებს პოეტს:

„არც ის ვარგა, არავინა თქვას კარგის კაცის გარჯილობა, გოდოლშიგან დაფარულსა, და გულვას (ხაზი ჩემია – გ. დ.) სჯობს გახსნილობა!“ (გვ. 271, აბზ. 5)

სხვათა შორის, თუნდაც მძიმისთვის რომ მიექცია ყურადღება, ცხადი გახდებოდა, რომ კავშირი „და“ აქ სრულიად ზედმეტია.

აქვე, ამას გარდა, კიდევ ერთ სიტყვას უწუნებს პოეტს — **„ჩემგან ქნილი“** არ ვარგა, **„ჩემგან ქმნილი“** უნდა იყოსო.

ბარემ ისიც მივანიშნოთ, რომ აქვე კატეგორიულად უარყოფს კობაძე ავტორისეულ (ი. თბილელი იგულისხმება) ხაზგასმას, როცა ეს უკანასკნელი გამოყოფს სიტყვას — **„ავი“ („ავი შარად განუტევეთ“)** და თავის ვარიანტში მთელი ეს სტრიქონი ჩვეულებრივ აუწყვია. იგივე ითქმის უკანასკნელ სტრიქონზე პოემიდან, მაშინ, როცა იოსებ თბილელი მთელ სტრიქონს ხაზგასმით წარმოგვიდგენს:

„რა მოიშალა, ვინ იცის, რა წყობა, რა გარიგება?“

ახლა ორი მაგალითიც, თუ წინადადებების აგებას როგორ ურჩევს გიორგი ლეონიძეს და დროა, დავამთავრო.

**გ. ლეონიძე: „ფხიზელი თვალით და პოეტური გულით იოსებ ტფილელმა განჭვრიტა თავისი საუკუნე“ (გვ. XXXV, მე-7 აბზ.).**

ბ. კობაძე: „იოსებ თბილელმა ფხიზელი თვალით და პოეტური გულით განჭვრიტა თავისი საუკუნე“ (გვ. 271, მე-8 აბზ.).

როგორც ხედავთ, მხოლოდ სტილს „უწუნებს“ გ. ლეონიძეს, თორემ აზრი სწორიაო — კიდევ კაი!

ბარემ ერთი მაგალითიც, რა „დაუნდობელია“ ბ. კობაძე გ. ლეონიძის მიმართ:

გ. ლეონიძე: **„პოეტი თავის მიზანს „დიდმოურავიანში“ დიდი გულწრფელობით და პოეტური დამაჯერებლობით ასრულებს“ (გვ. XXXV, მე-6 აბზ.).**

ბ. კობაძე: „იოსებ თბილელი თავის მიზანს „დიდმოურავიანში“ დიდი გულწრფელობითა და პოეტური დამაჯერებლობით ასრულებს“ (გვ. 276, ბოლო აბზაცი).

ახლა, ყოველივე ამის დამაგვირგვინებელი აკორდი — როგორ არის მითითებული, თუ სად, რომელ გამოცემაში დაიბეჭდა გიორგი ლეონიძის ეს ვითომ შესავალი წერილი. ბონდო კობაძე თავისი ვარიანტის ბოლოში მიუთითებს:

**„გიორგი ლეონიძე
იოსებ ტფილელი
„დიდმოურავიანი“
გიორგი ლეონიძის რედაქციით**
სახელგამი, 1939 “.

ე. ი. გამოდის, რომ გ. ლეონიძე და ი. ტფილელი თანაავტორები ყოფილან „დიდმოურავიანისა“! — ოო, აი, ამაში, მართლაც, „ეკუთვნის“ ბ. კობაძეს კიდევ ერთი ახალი პრემია, თორემ დიდი ხანია, არაფერი მიუღია.

აბა, ჰე, ტუტრუცანებო მთელი ქვეყნისა, შეერთდით და ამ თქვენს ფავორიტს მეოთხე პრემიაც მიანიჭეთ! მაგრამ რომელი დარჩა? რუსთაველის აღარ არსებობს, როგორც მივუთითე. ასე რომ, თვით ბ. კობაძის სახელობის პრემია დააწესონ და პირველივე სწორედ მას მიანიჭონ. აი, ერთადერთი გამოსავალი.

მკითხველი, ცხადია, გაოცებული დარჩება და იკითხავს, ყველაფერზე რომ ბონდო კობაძეს სთხოვთ პასუხს, ბოლოს და ბოლოს, იგი, როგორც იმთავითვე მითითებულია, მხოლოდ პროექტის ავტორი და წიგნის შემდგენელია და სხვები რას აკეთებდნენო? ცხადია, გამოცემას რედაქტორიც ჰყავს, თანაც სამი(!), მხატვარიც (ორი), კორექტორიც (ორი), ოპერატორიც და ა.შ., მაგრამ საქმე ისაა, რომ ისინი მხოლოდ ფორმალურად აწერია გამოცემას — ყველაფერს, აბსოლუტურად ყველაფერს, თვით ბონდო კობაძე აკეთებს და ეტყობა კიდეც.

პროფ. **გოგი დოლიძე**,
**თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი სამეცნიერო კონსულტანტი.**

**P.S. ეს წერილი ა.წ. 21 აგვისტოს გადავუგზავნე ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორს, ქალბატონ ირმა რატიანს, რომელიც შემპირდა, ხვალვე (ე.ი. 30 აგვისტოს) გიპასუხებთო, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე არ დაურეკავს. მიკვირს, ნუთუ ეს საკითხი არ უნდა აღელვებდეს იმ უწყების ხელმძღვანელს, რომლის უპირველესი მოვალეობაა ზრუნვა ქართულ ლიტერატურაზე, სხვა თუ არაფერი, გიორგი ლეონიძე ხომ მრავალი წელი (1954-66) სწორედ ამ ინსტიტუტის დირექტორი გახლდათ?!**

** სერიიდან — „ქართული წიგნი ჩიოდა...“*

**აბა, ჰე, ტუტრუცანებო მთელი ქვეყნისა, შეერთდით და ამ თქვენს ფავორიტს მეოთხე პრემიაც მიანიჭეთ! მაგრამ რომელი დარჩა? რუსთაველის — აღარ არსებობს, როგორც მივუთითე. ასე რომ, თვით ბ. კობაძის სახელობის პრემია დააწესონ და პირველივე სწორედ მას მიანიჭონ. აი, ერთადერთი გამოსავალი**



## გერმანია მზად არის, ყოველწლიურად ნახევარი მილიონი მიგრანტი მიიღოს

**გერმანია რამდენიმე წლის განმავლობაში ყოველწლიურად 500 ათასი მიგრანტის მიღებას შეძლებს.** ამის თაობაზე განცხადება ქვეყნის ვიცეკანცლერმა ზიგმარ გაბრიელმა გააკეთა. მანვე განაცხადა, რომ გერმანიას ნახევარ მილიონზე მეტი მიგრანტის მიღებაც შეუძლია. ვიცეკანცლერი თვლის, რომ მიგრანტების განთავსებაში მონაწილეობა მთელმა ევროკავშირმა უნდა მიიღოს. ზიგმარ გაბრიელის განცხადებამდე მსგავსი მოსაზრება გამოთქვა ქვეყნის კანცლერმა ანგელა მერკელმაც. მას მიაჩნია, რომ 2015 წელს გერმანიაში 800 ათასი დევნილის განთავსება იქნება შესაძლებელი.



## «ისლამური სახელმწიფო» ერაყსა და სირიაში ქიმიურ იარაღს იყენებს

**ვაშინგტონმა ოთხი ადგილი გამოავლინა, სადაც ისლამისტმა მებრძოლებმა, სავარაუდოდ, მასობრივი განადგურების იარაღი გამოიყენეს.** ოთხივე ადგილი ერაყისირიის საზღვარზე მდებარეობს. არსებობს ეჭვები, რომ „ისლამური სახელმწიფო“ თავად აწარმოებს ქიმიურ იარაღს. თუმცა არსებობს, ასევე, კიდევ ერთი ვერსია, რომლის მიხედვითაც, ექსტრემისტებმა ქიმიური იარაღი ერაყსა და სირიაში მდებარე საწყობებში აღმოაჩინეს.



## „ნორმანდიულმა ოთხეულმა“ უკრაინის კრიზისის შესახებ ახალი დოკუმენტი მიიღო

**ბერლინში გაიმართა ე.წ. ნორმანდიული ოთხეულის (გერმანია, საფრანგეთი, უკრაინა, რუსეთი) შეხვედრა, რომელზეც უკრაინის კრიზისის მშვიდობიანი გზით მოგვარების გზები განიხილეს.** გერმანიის დედაქალაქში კვარტეტის საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ. მოლაპარაკება რამდენიმე საათს გაგრძელდა. მხარეებმა შეათანხმეს კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის შენარჩუნების მიზნით კონფლიქტის ზონაში მძიმე შეიარაღების გაყვანასა და განაღმვის სამუშაოების დაწყებას ითვალისწინებს.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ნასამ ახალი ჯუჯა პლანეტის ფოტოები გამოაქვეყნა

**ნასას სპეციალისტებმა გამოაქვეყნეს ჯუჯა პლანეტა ცერერის პირველი ფოტოები, რომლებიც სადგურმა „დონმა“ მისი კვლევის მესამე ეტაპზე გადაიღო.** ფოტოებზე ჩანს ახალი რელიეფის დეტალები. ამერიკული სააგენტოს მონაცემებით, ფოტოები გადაღებულია 18-19 აგვისტოს 1470 კილომეტრის მანძილის დაშორებით ცერერის ზედაპირიდან. ცნობილია, რომ კვლევის მეოთხე ეტაპზე, რომელიც 2015 წლის დეკემბერს დაიწყება, სადგური ჯუჯა პლანეტის ზედაპირს 375 კილომეტრით მიუახლოვდება.

შეგახსენებთ, რომ სადგური „დონი“ ამერიკის კოსმოდრომიდან 2007 წლის 27 სექტემბერს გაუშვეს კოსმოსში რაკეტა „დელტა 2“-ის საშუალებით. აპარატი ორბიტაზე ცერერას მახლობლად 2015 წლის 6 მარტს აღმოჩნდა. პროექტის ღირებულება დაახლოებით 500 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს.



## იდეალური ქალი

**აბერდინის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ლაბორატორიულ პირობებში დაამტკიცეს ქალის ფიზიკური მიმზიდველობის კავშირი მისი სხეულის მასის მიმართ.**

ამის თაობაზე ინფორმაცია უნივერსიტეტის ოფიციალურ საიტზე გავრცელდა. მეცნიერებმა კვლევები ჩაატარეს ევროპაში, აზიასა და აფრიკაში.

ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო 1300-ზე მეტმა ადამიანმა. ყოველ მათგანს უჩვენეს 21 ფოტო, რომლებზეც ქალის სხვადასხვა მასის სხეული იყო გამოსახული და შესთავაზეს დაელაგებინათ ისინი ფიზიკური მიმზიდველობის ხარისხის მიხედვით.

მეცნიერებმა გამოიმუშავეს შკალა — სხეულის მასის ინდექსი. ის ტრადიციულად განსაზღვრავს წონის სიმაღლესთან თანაფარდობას. მაგალითად, სმი (სხეულის მასის ინდექსი) 23 ეკუთვნის 170 სანტიმეტრი სიმაღლის და 67 კილოგრამი წონის ქალს.

კვლევამ ცხადყო, რომ ყველაზე მეტად მიმზიდველი ქალები არიან ისინი, რომელთა სმი 17-დან 20-მდეა.



## პირამიდის ქვეშ მაიას ცივილიზაციის ცენტრი აღმოაჩინეს

**მექსიკის ნაციონალური ავტონომიური უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ფარული მიწისქვეშა მდინარე პირამიდა კუკულკანის სიახლოვეს, ქალაქ ჩიჩენ იცაში აღმოაჩინეს. მეცნიერების აზრით, პირამიდის ქვეშ არსებული მდინარე მაიას ცივილიზაციის სამყაროს ცენტრი იყო.**

მიწისქვეშა მდინარე პირამიდის ქვეშ დაახლოებით 20 მეტრის სიღრმეში მდებარეობს. გეოფიზიკოსი რენე ჩავესის თქმით, ეს მიწისქვეშა მდინარე აერთიანებს მაიას საკულტო ჭებს, რომლებშიც ადამიანებს მსხვერპლად სწირავდნენ.

სპეციალისტები თვლიან, რომ მიწისქვეშა მდინარის აუზი, შეგვიძლია, მაიას ცივილიზაციის ცენტრად მივიჩნიოთ. მეცნიერებმა კიდევ ერთი აღმოჩენა გააკეთეს ქალაქ უშმალში. შენობის ნანგრევების სიახლოვეს ნაპოვნია 150 სამკურნალო მცენარე, რომელიც კურნავს სხვადასხვა დაავადებებს — დაწყებული გველის ნაკბენით, დამთავრებული მუცლის ინფექციებით.

## მეცნიერი ამტკიცებს, რომ სიკვდილი არ არსებობს

**რეგენერაციული მედიცინის სპეციალისტი და კომპანია Advanced Cell-ის სამეცნიერო ხელმძღვანელი რობერტ ლანცი, რომელიც ცნობილი გახდა უჯრედების კვლევისა და გადაშენების პირას მყოფი ცხოველების კლონირებით, აცხადებს, რომ სიკვდილი არ არსებობს.**



თავის წიგნში სახელწოდებით „ბიოცენტრიზმი: ცხოვრება და ცნობიერება — სამყაროს რეალური ბუნების წვდომის გასაღები“ ლანცი ირწმუნება, რომ სხეულის სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე არ სრულდება, ის სამუდამოდ გრძელდება. მისი აზრით, სიკვდილი ილუზიაა, რომელიც ადამიანების ცნობიერში იქმნება, რადგან ადამიანი თავს თავის „ფიზიკურ მატარებელთან“ აიგივებს.

რამდენიმე წლის წინათ მკვლევარი ფიზიკით, კვანტური მექანიკითა და ასტროფიზიკით დაინტერესდა და გადაწყვიტა, ამ დისციპლინებით თავის მოსაზრება დაემტკიცებინა. ლანცის ვერსიით, ცნობიერება დროისა და სივრცის მიღმა არსებობს და შეიძლება ნებისმიერ ადგილას იმყოფებოდეს: ადამიანის სხეულში და მის მიღმაც.

წიგნის ავტორი დარწმუნებულია, რომ სამყარო სინამდვილეში მრავალია და ყოველი მათგანი შეიცავს სიტუაციების სხვადასხვანაირ განვითარებას. თუ ერთ სამყაროში სხეული მოკვდა, ის ცხოვრებას მეორეში აგრძელებს. მოკლედ რომ ვთქვათ, გარდაცვლილი გვირაბის გავლის შემდეგ ხვდება არა სამოთხეში ან ჯოჯოხეთში, არამედ ისეთივე სამყაროში, რომელშიც ცხოვრობდა, მაგრამ იქ ისევ ცოცხალია.

## კედელი ადამიანის თავის ქალებისგან

**მექსიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ადამიანების თავის ქალებისგან აშენებული კედელი, რომელიც აცტეკური იმპერიის პერიოდს მიეკუთვნება. გვატემალის ქუჩაზე ოცდაათმეტრიანი პლატფორმა აღმოაჩინეს, რომლის ცენტრშიც ადამიანის რამდენიმე ათეული თავის ქალაა, რაც საბოლოოდ წრეს გამოსახავს. ეს რიტუალური წყობა ნაუტალის ენაზეა შესრულებული, რომელსაც აცტეკები იყენებდნენ.**



„ეს კედელი ვულკანური წარმომავლობის ქვებისგანაა აშენებული, დაფარულია ფილებით, განთავსებულია სამხრეთიდან ჩრდილოეთით, მასში ადამიანის ყბებისა და თავის ქალის ფრაგმენტებია ჩატანებული, ცენტრალურ ნაწილში კი მთლიანად თავის ქალებია ჩაშენებული და წრეს ქმნის“, — ყვება ქალაქის არქეოლოგიური პროგრამის ხელმძღვანელი რაულ ბარერა. მისი თქმით, ამ დროისათვის მეცნიერებმა 35 თავის ქალა აღმოაჩინეს, თუმცა მათი რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდება. ძირითადად, თავის ქალა ზრდასრულ მამაკაცებს ეკუთვნით, თუმცა აქაიქ ქალებისა და ბავშვების თავის ქალებიც გამოერევა.

ექსპერტები თვლიან, რომ კედელი მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებშია აშენებული და აცტეკური იმპერიის დედაქალაქის ღირშესანიშნაობას წარმოადგენს.

„ამ კედელს განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, ამ თავის ქალების დიდი ნაწილი აცტეკების მტრებს ეკუთვნოდა, რომლებიც მათ ტყვედ აიყვანეს, მსხვერპლად შესწირეს და თავი მოჰკვეთეს, რომ მათ ძლევამოსილებას ხაზი გასმოდა“, — განაცხადა არქეოლოგმა ედუარდო მატოს მოკტესუმამ.

## მეცნიერებმა დედამიწის ყველაზე სასტიკი მტაცებელი დაასახელეს

**კანადელმა მეცნიერებმა ვიქტორიის უნივერსიტეტიდან შეადგინეს პლანეტის მტაცებლების სარეიტინგო სია. კვლევის შედეგების მიხედვით, პლანეტაზე ყველაზე აგრესიული და სახიფათო მტაცებელი ადამიანია. სუპერმტაცებელი, როგორც მეცნიერებმა უწოდეს, გაცილებით აგრესიული აღმოჩნდა ლომსა და მგელზე და, აგრეთვე, გაუსწრო ზვიგენის მაჩვენებლებს წყლის ბინადართა შორის.**



მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ ადამიანი 14-ჯერ მეტ თევზს მოიპოვებს, ვიდრე ზღვის მტაცებლები და 9-ჯერ მეტ ცხოველს კლავს, ვიდრე ხმელეთის ნებისმიერი მტაცებელი. გარდა ამისა, ორი ათასზე მეტი სახეობის ხმელეთისა და წყლის მტაცებლების კვლევისას მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ ადამიანის ნადირობამ და თევზაობამ უდიდესი ცვლილებები გამოიწვია.

კვლევის ხელმძღვანელის — კრის დარმონტის თქმით, ადამიანი თავის ქცევით ველური ბუნების მრავალ კანონს არღვევს. მაგალითად, მტაცებლები ცდილობენ, თავს დაესხან პატარა, არაჯანმრთელ ან დაჭრილ ცხოველებს.

ადამიანები კი ხშირად ჯანმრთელ ცხოველებზე ნადირობენ, რაც პოპულაციას ანადგურებს.



## საოცნებო ვაკანსია

**ფრანგულმა კომპანიამ, რომელიც ტურიზმისა და გართობის სფეროში მუშაობს, გამოაცხადა ვაკანსია „საუკეთესო სამუშაო საფრანგეთში“. კომპანია Loisirs Enchères სულ ხუთ ადამიანს ეძებს. მათ მოვალეობაში შევა პარაშუტით გადმოხტომა, აკვალანგით ცურვა, იახტით სეირნობა და სხვა გართობები, რომელზეც მხოლოდ ოცნება შეიძლება.** მიღებული განცდებისა და შთაბეჭდილებების შესახებ მათ ბლოგებში უნდა წერონ, შეაფასონ კომპანიების მუშაობა და შეთავაზებული მომსახურების ხარისხი. იდეის ავტორების აზრით, ამ პიარის შემდეგ ტურისტების რაოდენობა მოიმატებს. თანამშრომლებთან კონტრაქტი ოთხი თვით დაიდება. როგორც Loisirs Enchères-ში იტყობინებიან, დღეში ვაკანსიაზე 20 გამოხმაურება მოდის, საიტის მნახველების რაოდენობა კი 30%-ით გაიზარდა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დედას ორი თვის ბავშვი სუპერმარკეტში დარჩა




**ამერიკის შტატ არიზონას მცხოვრებმა ქალმა საკუთარი ორი თვის შვილი პროდუქტების კალათში დატოვა. 27 წლის ჩერიშ პეტერსონი სამ შვილთან ერთად მივიდა სუპერმარკეტში, რათა დის შვილის დაბადების დღისთვის ტკბილეული ეყიდა.**

კალათში დატოვებული ბავშვი პოლიციის თანამშრომელმა აღმოაჩინა. სახლში მისული პეტერსონი მიხვდა, რომ შვილი სუპერმარკეტში დატოვა. ქალი ირწმუნება, რომ ბავშვის წამოსაყვანად დაახლოებით ორმოც წუთში მივიდა. პოლიციელებმა მას ბავშვი დაუბრუნეს, მაგრამ უფლებადამცველ ორგანიზაციას განცხადებით მიმართეს, რომ დედა შვილს პოტენციურ საფრთხეს უქმნიდა.

მას შემდეგ, რაც მომხდარის თაობაზე პრესაში გახდა ცნობილი, ინტერნეტის მომხმარებლებმა ქალი შვილების ცუდ მოვლაში დაადანაშაულეს. დაიწერა, რომ ის მთვრალი იყო ან ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. კრიტიკის საპასუხოდ ქალმა განაცხადა, რომ ძალიან უყვარს თავისი შვილები და მომხდარი მხოლოდ შემთხვევითობა იყო.






# სიმსუქნის 6 ტიპი და დამარცხების გზები



**სპეციალისტები ამბობენ, რომ ყველა ერთნაირად არ სუქდება და ყველა ერთნაირად ვერ გახდება. არსებობს გასუქების 6 ტიპი და წონის დასაკლებად ყველა ტიპს თავისი სპეციფიკური დატვირთვა და დიეტა სჭირდება.**




**გასუქება ჭამით**

თუ ჭარბი კილოგრამები სხეულზე თანაბრად ნაწილდება, წონის მიზეზი გადამეტებული საკვების ან შაქრის მიღებაა. რჩევა მარტივად შესასრულებელია: ჭამამდე ნახევარი საათით ადრე დალიეთ 500 მლ წყალი. ეს მეთოდი დაგეხმარებათ, რომ გაცილებით ნაკლები საკვები მიიღოთ. ჩაი და ყავა უშაქროდ უნდა დალიოთ, ტკბილეულობასაც უნდა დაემშვიდობოთ. ამასთანავე, საჭიროა ყოველდღიური 30-წუთიანი ფიზიკური დატვირთვა, თუნდაც სიარული.

**გამობერილი მუცელი**

თუ მხოლოდ მუცელი გისუქდებათ, ეს ან დეპრესიის მიზეზია, ან მუდმივი შიშის. თქვენ ტკბილეულის მოყვარული ადამიანი ხართ ან სტრესს ასე ებრძვით. თუ კანფეტების რაოდენობას შეამცირებთ და მშვიდად, ზედმეტი ნერვიულობის გარეშე იცხოვრებთ, წონაში დაიკლებთ.

**შეძენილი „გალიფე“**

ზედმეტი კილოგრამების მომატება თეძოებში მენოპაუზის ან ჰორმონალური დისბალანსის მიზეზია. უნდა მოერიდოთ ალკოჰოლს და შეამციროთ სიგარეტის რაოდენობა. ნაკლებად უნდა იდგეთ ერთ ადგილას და მეტი იმოძრაოთ. ეცადეთ, გაიუმჯობესოთ მეტაბოლიზმი.

**ზედა ტანის სიმსუქნე**

თუ ცხიმი მუცლისა და მის ზედა მხარეს გიგროვდებათ, უარი უნდა თქვათ ალკოჰოლზე. დილაობით რეგულარულად უნდა ივარჯიშოთ და კვირაში 2-3-ჯერ სპორტდარბაზსაც ეწვიოთ. თქვენ შეიძლება, მარტო გასუქების კი არა, სუნთქვის პრობლემაც გქონდეთ. გაამდიდრეთ რაციონი ხილითა და ბოსტნეულით და ნაკლები ცხოველური წარმოშობის პროდუქტი მიიღეთ.

**მსუქანი ფეხები**

მიჩნეულია, რომ ფეხებში ცხიმის დაგროვება მემკვიდრეობით გერგოთ ან ცხოვრების არასწორი წესი გაქვთ. ფეხები მისახედია, რადგან ფეხმძიმობის დროს მდგომარეობა საგრძნობლად გაგირთულდებათ. ხშირად უნდა ირბინოთ კიბეზე, აკეთეთ ფეხების გასახდომი ვარჯიშები.

**მუდმივი ფეხმძიმე**

თუ ადრე ფიზიკურად აქტიური იყავით და ახლა დილის გამამხნევებელ ვარჯიშსაც არ ასრულებთ, მუდმივად ორსულს ემსგავსებით. გასუქების ასეთი ფორმა ახასიათებთ ადამიანებს, რომლებიც დიდხანს სხედან კომპიუტერთან, მანქანაში. მოერიდეთ ხანგრძლივ შიმშილობას. იკვებეთ ხშირ-ხშირად და მცირე ულუფებით. შეამცირეთ ტკბილი, ფქვილოვანი და ცხიმიანი საკვები და, რაც მთავარია, მეტი იმოძრავეთ.

# 2015 წლის ივლისი მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე ცხელი თვე იყო

**2015 წლის ივლისი ტემპერატურული დაკვირვების ისტორიაში ყველაზე ცხელი თვეა. ამერიკული ოკეანოლოგიური კვლევების ინსტიტუტის თანამშრომლების თქმით, ტემპერატურა რეკორდულ მაჩვენებლებზე ავიდა, როგორც ხმელეთზე, ისე ოკეანეში.**

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ 2015 წელი გახდება ყველაზე ცხელი წელი 1880 წლიდან მოყოლებული, ანუ მას შემდეგ, რაც კლიმატზე დაკვირვება დაიწყო. აქამდე ყველაზე ცხელ წლად 2014 წელი ითვლებოდა.

ივლისსა და აგვისტოში ანომალიური სიცხე დაფიქსირდა ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში. საერთო ჯამში, სიცხისგან ასობით ადამიანი გარდაიცვალა.



# ქალს თავზე რქა ამოუვიდა

**ჩინეთში ექიმები საგონებელში ჩავარდნენ, როდესაც მოხუცი ქალის თავზე გიგანტური წანაზარდი დაინახეს. 87 წლის ლიან სიუჩჟენი საავადმყოფოში 13-სანტიმეტრიანი რქისგან გასათავისუფლებლად მივიდა.**

ლიანის შვილი ყვება, რომ თავიდან მას თავის ძლიერი ქავილი ჰქონდა, შემდეგ იმ ადგილზე კოპი გაუჩნდა. კოპი მცირე მოცულობის იყო, ქავილის შეგრძნება კი სახალხო მედიცინის საშუალებით მოურჩინეს.

ორი წლის წინათ კი პენსიონერმა შემთხვევით მოიგლიჯა კოპზე კანი და მის ადგილას ძალიან სწრაფად დაიწყო ფორმირება ნამდვილმა რქამ, რასაც სისხლდენა ახლდა. ლიანს ახლა გამუდმებით სტკივა თავი და ცუდად ძინავს.

ექიმებმა დაადგინეს, რომ რქა კეთილთვისებიანი კერატინული კანის სიმსივნეა და მისი მოშორება ურჩიეს, სანამ სიმსივნე ავთვისებიანი გამხდარა, მაგრამ ლიანის ნათესავებს ეშინიათ, რომ ქალი ოპერაციას ვერ გადაიტანს.

**„დედაჩემი მოხუცია. არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს კარგი იდეაა. ოპერაციის დროს რამე ისე რომ არ წავიდეს, როგორც საჭიროა, შეიძლება ტრაგედია დატრიალდეს“**, — განაცხადა ლიანის შვილმა.

# ყველაზე დიდი ენა



**ბოლივიის ნაციონალურ პარკ მადიდში სამეცნიერო ექსპედიციისას აღმოაჩინეს ღამურების იშვიათი ჯიში. მილისებრი პირის მქონე ნექტარული ღამურა ყველაზე გრძელი ენის მქონე ძუძუმწოვარია პროპორციების გათვალისწინებით. მას შეუძლია ენის 8,5 სანტიმეტრზე გაწელვა, რათა ღრმა ტროპიკული მცენარეების ნექტარი ამოიღოს.**

მიუხედავად გიგანტური ზომის ენისა, ღამურას მრავალფეროვანი კვების რაციონი აქვს, რომელშიც შედის ნექტარი, ყვავილების მტვერი და მწერები. მილისებრი პირის მქონე ნექტარული ღამურების შესახებ ცოტა რამაა ცნობილი. პირველად ისინი ეკვადორის ტროპიკულ ტყეებში აღმოაჩინეს დაახლოებით ათი წლის წინათ. მას შემდეგ გამოიცა მხოლოდ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია, რომლებშიც ეს იშვიათი ცხოველი იყო ნახსენები.

18-თვიანი ექსპედიცია ამაზონის აუზის ზედა ნაწილში ივნისში დაიწყო. მისი მონაწილეები ცდილობენ მადიდის ნაციონალური პარკის პოპულარიზაციას, როგორც ბიოლოგიურად ყველაზე მრავალფეროვანი ადგილისა პლანეტაზე.

მადიდის ნაციონალური პარკი 1995 წელს დაარსდა და ერთ-ერთ ყველაზე დიდ დაცულ ტერიტორიად ითვლება მსოფლიოში. იქ 156 სახეობის ძუძუმწოვარი და 914 სახეობის ფრინველი ბინადრობს.

სასარგებლო რჩევები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ზეთის შეცვლა რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის: ძრავის მახასიათებლებსა და თავისებურებებზე; გამოყენებული საწვავის ხარისხზე; ავტომობილის ექსპლუატაციის პირობებსა და რეჟიმზე. თუ ავტომობილმა უკვე გაიარა ინსტრუქციაში მითითებული კილომეტრაჟი ან ხვდებით ზეთი აუცილებლად გამოსაცვლელია, დარწმუნდით, რომ თქვენ მიერ შერჩეულ ზეთს ექნება ცვეთისგან დამცავი დანამატები. ზეთის გამოცვლასთან ერთად სასურველია, ზეთის ფილტრიც გამოცვალოთ.**



# როგორ შევარჩიოთ ავტომობილის ძრავის ზეთი

**ყველა მძღოლს არ აქვს იმდენი გამოცდილება, რომ სწორად შეარჩიოს ძრავის ზეთი თავისი ავტომობილისთვის, რის გამოც ძრავა ზიანდება. ზეთის შეძენამდე, საჭიროა, მისი სახეობები შეისწავლოთ.**

* რეკომენდაცია სთხოვეთ დილერებს, რომლებისგანაც იძენთ ავტომობილს. როგორც წესი, ბოლო წლებში გამოშვებული მანქანის შეძენისას მფლობელს აძლევენ ინსტრუქციას, თუ როდის უნდა ჩაუტარონ ავტომობილს ტექდათვალიერება და რამდენი კილომეტრის გავლის შემდეგ შეცვალონ ძრავაში ზეთი. ახალ ავტომობილს ეს ინსტრუქცია აუცილებლად მოჰყვება.

პირველი 30-150 ათასი კილომეტრის გავლის შემდეგ ზეთის შეცვლა აუცილებელი არ არის.

*** ტექდათვალიერების შემდეგ თვითონ შეძლებთ ზეთის შეცვლას, ამისათვის კი უნდა იცოდეთ თქვენი ავტომობილისთვის საჭირო ზეთის ტიპი, რადგან არსებობს მინერალური სინთეტიკური, ნახევრად სინთეტიკური და ჰიდროკრეკინგული ზეთები. ზეთები ერთმანეთისგან სიბლანტითაც განსხვავდება, ამიტომ უნდა გაარჩიოთ ზაფხულისა და ზამთრის ზეთები. მახასიათებლებით დაინტერესდით წინასწარ, წინააღმდეგ შემთხვევაში, უხარისხო ზეთის ჩასხმით შეიძლება, ძრავა დააზიანოთ.**

* გამოიყენეთ მხოლოდ კარგი რეპუტაციის მქონე კომპანიების მიერ წარმოებული ზეთები. ძრავების ბევრ ტიპს შეესაბამება მხოლოდ კონკრეტული ტიპის ზეთი. დიზელისა და ბენზინის ძრავებს სხვადასხვა კილომეტრაჟის გავლის შემდეგ სჭირდება ზეთის გამოცვლა, მაგალითად, „ტოიოტა“ თავისი ავტომობილების მყიდველებს ურჩევს, რომ დიზელის ძრავაში ზეთი ყოველი 5 ათასი კმ-ის გარბენის შემდეგ გამოცვალონ, ბენზინის ძრავაში — ყოველი 10 ათასი კმ-ის შემდეგ. საერთოდ კი, ზეთის შეცვლა რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის: ძრავის მახასიათებლებსა და თავისებურებებზე, გამოყენებული საწვავის ხარისხზე, ავტომობილის ექსპლუატაციის პირობებსა და რეჟიმზე. თუ ავტომობილმა უკვე გაიარა ინსტრუქციაში მითითებული კილომეტრაჟი ან ხვდებით, რომ ზეთი აუცილებლად გამოსაცვლელია, არ დაგავიწყდეთ ისიც, რომ თქვენ მიერ შერჩეულ ზეთს ექნეს ცვეთისგან დამცავი დანამატები. ზეთის გამოცვლასთან ერთად, სასურველია, ზეთის ფილტრიც გამოცვალოთ.

*** ზეთის შეძენისას უპირატესობა მიანიჭეთ საიმედო მწარმოებლებს —Shell-ს, Mobil-სა და Castrol-ს. გაითვალისწინეთ, რომ პირველი ორი უფრო შეესაბამება დასავლურ ავტომობილებს, Castrol-ის ზეთის გამოყენება კი „ვაზ“-ის მარკის ავტომობილებისთვის შეიძლება.**

* მოერიდეთ იაფფასიან და ფალსიფიცირებულ პროდუქტს. ისიც გახსოვდეთ, რომ მაღალი ფასი არ არის ყოველთვის მაღალი ხარისხის გარანტი, ვინაიდან ყველაზე ხშირად ცნობილი ბრენდების ნაწარმს აყალბებენ.

ამიტომ ზეთი შეიძინეთ მხოლოდ სპეციალურ მაღაზიებში.

## როგორ მივხვდეთ, რომ ზეთის შეცვლა აუცილებელია

**გაჩერებულ ძრავაში ზეთის სპეციალური სასინჯი ზუმბით შეამოწმეთ ზეთის დონე და ფერი. თუ ზეთის ფერი მუქი ყავისფერია, უნდა გამოცვალოთ, თუ მომწვანო — არა.**

## ავტოკურიოზები










# თავი არავის დაარჩაგვრინოთ!

ფსიქოლოგები გვირჩევენ

## ფსიქოლოგიური ხერხები, რომლებიც საშუალებას მოგცემთ, უზრდელს საკადრისი პასუხი გასცეთ

**ბიბლიური ლეგენდის თანახმად, უზრდელობა სათავეს იღებს ნოეს მესამე შვილიდან — ქამიდან. ერთხელ მან დაინახა, რომ მამას შიშველს ეძინა და იმის ნაცვლად, რომ მისთვის საბანი გადაეფარებინა, ნანახის შესახებ ძმებს უამბო. ამით ქამმა არა მხოლოდ მშობლისადმი უპატივცემულობა გამოამჟღავნა, არამედ იმდროინდელი ადათ-წესებიც დაარღვია. ამ საქციელის გამო ქამმა სასტიკად ზღო: მისი შვილი ქანაანი მონად აქციეს. შეიძლება იფიქროთ, რომ ამ ამბავსა და მაღაზიის გამყიდველის უხეშობას შორის არაფერია საერთო. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. უზრდელობა ხომ არა მხოლოდ სხვების მიმართ, არამედ საკუთარი თავისადმი უპატივცემულობაცაა. როგორ მოვიქცეთ, კონფლიქტს თავი რომ ავარიდოთ?**

### 1. შეეცადეთ, გაუგოთ მას, ვინც გეუზრდელებათ

ერთი შეხედვით, ეს თითქოს შეუძლებელია, მაგრამ, თუკი ჩასწვდებით მიზეზებს, რომლებაც ადამიანს უბიძგებს დაცემისა და სხვისი შეურაცხყოფისკენ, ეს შესაძლებლობას მოგცემთ, უზრდელობა გულთან არ მიიტანოთ.

გახსოვდეთ: უზრდელობენ და თავხედობენ მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარ თავს პატივს არ სცემენ და აგრესიის გამოვლენით ცდილობენ საზოგადოებაში თავის დამკვიდრებას.

### 2. დაიცავით დისტანცია

მახვილსიტყვიანი პასუხი გონებაში ხშირად გვიან გაგვიელვებს ხოლმე, როდესაც უზრდელი უკვე თვალსაა მოფარებული. ამით თვითშეფასება მცირდება, მაგრამ გახსოვდეთ, რომ უზრდელი, როცა რაღაცას ამბობს, თქვენთან დიალოგის გამართვას სულაც არ აპირებს.

და კიდევ — **უზრდელისა და უხეშის წინაშე არასოდეს გამოამჟღავნოთ შიში.**

### 3. იმოქმედე მოულოდნელად

თუ მოისურვებთ, რომ უზრდელს დაუშვებელ საქციელზე მიუთითოთ, დაფიქრდით, რისთვის გჭირდებათ ეს. ძალიან საეჭვოა, რომ მან თქვას ასეთი ფრაზა: „გმადლობთ, რომ ყურადღება მიაქციეთ ჩემს უხეშობასა და უტაქტობას. პირობას ვდებ, ასე აღარ მოვიქცევი!“

სჯობს, შეეცადოთ, რბილად, მაგრამ დაჟინებით აუხსნათ, რომ არ შეიძლება, უზრდელი ადამიანი ასე მოგექცეთ.

მაგალითად:

**„ვხედავ, რომ უკმაყოფილო ხართ ჩემი საქციელით“, ბოდიშს ვიხდი!** “ შეიძლება გამოიყენოთ სამანიპულაციო ფრაზა: **„რით შემიძლია, დაგეხმაროთ?“** ამ ხერხის გამოყენებით თქვენს ძალას გამოავლენთ და უზრდელის უტაქტო საქციელს არ მიბაძავთ.

კიდევ რომელი ფრაზები შეგიძლიათ გამოიყენოთ?

**„რის საფუძველზე მაძლევთ ასეთ შეკითხვებს?“**

ამით აჩვენებთ აგრესორს, რომ უფლება არ აქვს, თქვენს პირად ცხოვრებაში ჩაერიოს, როგორი სტატუსიც უნდა ჰქონდეს მას.

**„ეს მტკიცებულებაა?“ „ეს მითითებაა?“**

ასეთი ფრაზები უნდა გამოიყენოთ მაშინ, როდესაც გრძნობთ, რომ ძალიან გაწყენინეს, მაგრამ ვერ ხვდებით, რატომ.

**„რა გაიძულებთ, ასეთი რამ მითხრათ?“**

ამ ფრაზით უზრდელს მიახვედრებთ, რომ ის თავისი ემოციების ტყვეა და რეალობას ვერ ითვალისწინებს.

სხვათა შორის, ყოველთვის იძლევა სასურველ შედეგს.

### 4. „ნუ მიყვირით!“ „არ გირჩევთ ჩემთან ასეთი ტონით ლაპარაკს!“

ამით თქვენ თავხედს კუთვნილ ადგილს მიუთითებთ, მაგრამ, თუ რაღაც აბსტრაქტულს იტყვით, მაგალითად, „გთხოვთ, შეწყვიტოთ უზრდელობა“, ამ ფრაზას თავხედი ერთ ყურში შეუშვებს და მეორიდან გამოუშვებს.

გახსოვდეთ: კონფლიქტი იწყება იქ, სადაც ურთიერთგაგების დეფიციტია. როგორც კი მოაგვარებთ ურთიერთობაში შექმნილ პრობლემებს, უზრდელობა გაქრება.

## იცით თუ არა, რომ...

***სოკო ტრიუფელი მიწისქვეშ იზრდება და მისი პოვნა ადამიანის ოთხფეხა მეგობრების (ღორების ან ძაღლების) დაუხმარებლად შეუძლებელია.**

სულ არსებობს ტრიუფელის 9 სახეობა, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოჰყავთ, ამასთანავე, თითოეული სახეობა მისთვის სასურველ ნიადაგში ხარობს. ტრიუფელს აქვს უნიკალური სუნი და გემო, რომელიც მოხალული ნიგვზისა და ტყის კენკრის გემოს ჰგავს. ძველ საბერძნეთსა და რომში ტრიუფელს სამკურნალოდ იყენებდნენ. დღეს ეს სოკო ძალიან პოპულარულია საფრანგეთში.



**ცვლილებების პერიოდია. წარმატებას მიაღწევენ შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანები, განსაკუთრებით — ტყუპისა და თხის ნიშნით დაბადებულები.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**16 - 22 სექტემბრის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი – 20 აპრილი

კარგი პერიოდია იდეებისა და პროექტების განსახორციელებლად. თუ არ იზარმაცებთ და გულმოდგინედ შეუდგებით გეგმების განხორციელებას, დადებით შედეგს აუცილებლად მიაღწევთ. უარი თქვით საეჭვო ფინანსურ ოპერაციებზე.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას თავი შეიკავეთ ნეგატიური ემოციების გადმოფრქვევისგან, რადგან ამან, შესაძლოა, მწვავე კონფლიქტამდე მიგიყვანოთ.

დიდია სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა, ამიტომ ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 16 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 20 სექტემბერი.**

## კურო — 21 აპრილი – 21 მაისი

შეეცდებით ყველა საქმის ერთდროულად კეთებას, შემდეგ მშვიდად რომ დაისვენოთ, მაგრამ, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ყოველდღიურ რუტინას ვერ გაუმკლავდებით, თუმცა ცოტა მოგვიანებით ყველაფერს შესანიშნავად მოაგვარებთ.

ელოდეთ დამატებით ფინანსურ შემოსავალს.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში ახალი შტრიხები შეიტანეთ და თქვენს ოჯახში სიმშვიდე და ჰარმონია დაისადგურებს.

უარი თქვით ალკოჰოლზე და დაიცავით კვების რეჟიმი.

**დადებითი დღე: 22 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 19 სექტემბერი.**

## ტყუპი — 22 მაისი–21 ივნისი

თქვენს ცხოვრებაში დაიწყება ცვლილებები — ეს შეიძლება იყოს ან ახალი სამსახური, ან ახალი გრძნობა. ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორი განწყობა გექნებათ სიახლეების მიმართ, თუმცა ცვლილებები თქვენ გარშემო ატმოსფეროს გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

შეძლებთ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

დაოჯახებულ ტყუპებს შვილებთან შეიძლება ისეთი პრობლემა შეექმნათ, რომელზეც ადრე ვერც იფიქრებდნენ.

ყურადღება მიაქციეთ ჰიგიენას და კვებას. ნუ გადატვირთავთ კუჭს საკვებით.

**დადებითი დღე: 21 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 16 სექტემბერი.**

## კირჩხიბი — 22 ივნისი–22 ივლისი

ხანგრძლივი და დაძაბული ბრძოლა მზის ქვეშ ადგილის მოსაპოვებლად ნებისმიერს გააცლის ქანცს, მით უმეტეს, ისეთ მგრძნობიარე ადამიანებს, როგორიც არიან კირჩხიბები, მაგრამ არ უნდა დანებდეთ და დასახული მიზნებისკენ მიმავალი გზიდან არ გადაუხვიოთ.

კირჩხიბების ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან რთულად წარიმართება — ნაზ გრძნობებს ეჭვიანობა შეცვლის და პირიქით.

გაიწმინდეთ ორგანიზმი მავნე ნივთიერებებისგან და გაიმყარეთ იმუნიტეტი ვიტამინებით.

**დადებითი დღე: 17 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 21 სექტემბერი.**

## ლომი — 23 ივლისი –22 აგვისტო

გულმოდგინე მუშაობა და თქვენი პოზიციების გამუდმებით დაცვა ისეთ შედეგებს არ მოგიტანთ, როგორსაც ვარაუდობდით. დაფიქრდით, ხომ არ გახდით თქვენი ილუზიების ტყვე? ჩაკეტილი წრიდან გამოსვლას შექმნილი ვითარების კარგად გაანალიზებით შეძლებთ.

შეცვალეთ მიდგომა საყვარელი ადამიანის მიმართ, ურთიერთობაში შეიტანეთ ახალი შტრიხები და შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ერთად.

შეიძლება შეგექმნათ გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემა, ამიტომ აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

**დადებითი დღე: 21 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 17 სექტემბერი.**

## ქალწული — 23 აგვ. –23 სექტემბ.

ბევრი ამოცანა გაქვთ დასახული და გსურთ, ყველაფერი მოასწროთ, მაგრამ, თუ აჩქარდებით, თქვენი მცდელობა ფუჭი იქნება. სხვების დაუხმარებლად მაღალი ტემპის შენარჩუნება რთულია, ამიტომ დაიხმარეთ ახლობლები, განსაკუთრებით — გამოცდილი ადამიანები.

ამ პერიოდში თქვენთვის საყვარელი ადამიანი ნებისმიერ სურვილს შეგისრულებთ და საჩუქრებსაც არ მოგაკლებთ.

თუ უძილობა ან თავის ტკივილი შეგაწუხებთ, შეეცადეთ, არატრადიციული სამედიცინო საშუალებებით იმკურნალოთ.

**დადებითი დღე: 19 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 22 სექტემბერი.**

## სასწორი — 24 სექტ. – 23 ოქტ.

შესაძლოა, შეგექმნათ პრობლემები, უწინარესად — ფინანსური და, თუ ახლობლები დახმარების ხელს არ გამოგიწვდიან, თქვენი მდგომარეობა უფრო დამძიმდება. იფიქრეთ, როგორ მოიზიდოთ ახალი ფინანსური წყაროები და თავი შეიკავეთ უძრავი ქონების გაყიდვისგან.

თუ გსურთ, ოჯახის წევრებს შორის თქვენ მიმართ უკმაყოფილება არ გაჩნდეს, გულმოდგინედ შეასრულეთ დაკისრებული მოვალეობები და ვალდებულებები.

თქვენს ჯანმრთელობას არაფერი ემუქრება, თუმცა კარგი იქნება, თუ ფიზიკურად დაიტვირთებით.

**დადებითი დღე: 16 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 21 სექტემბერი.**

## მორიელი — 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

ზოგჯერ განუსჯელად, უგუნურად მოქმედებთ და აშკარა ფაქტებსა და საგნებს ყურადღებას არ აქცევთ, ამით არაფრის გამო იძენთ მტრებს. ხანდახან მაინც გაითვალისწინეთ სხვა ადამიანების ინტერესები და ნუ შეეცდებით, ისინი თქვენს კონტროლს დაუქვემდებაროთ.

მეტი ყურადღება დაუთმეთ საყვარელ ადამიანს — იზრუნეთ მასზე და შეეცადეთ, მისი მოთხოვნები სათანადოდ შეასრულოთ.

გაუფრთხილდით თვალებს — დიდხანს ნუ დაჯდებით კომპიუტერთან.

**დადებითი დღე: 22 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 16 სექტემბერი.**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. – 21 დეკ.

ახლა თქვენთვის აუცილებელია სიმშვიდე და განმარტოება, რადგან ბევრი საქმე დაგიგროვდათ და პრობლემების მოგვარებაზე უნდა იფიქროთ. მეორე მხრივ, თქვენ გარშემო მხიარული ატმოსფეროა და გართობისკენ მიგიწევთ გული. ამ ვითარებამ შეიძლება თქვენი გაღიზიანება გამოიწვიოს, რაც ნეგატიურ შედეგებს გამოიწვევს. სჯობს, ემოციებისგან თავი შეიკავოთ.

გამოიჩინეთ მეტი მზრუნველობა ოჯახის უფროსი წევრების მიმართ.

უარი თქვით სიგარეტსა და ალკოჰოლზე და მეტად დაიტვირთეთ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 19 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 16 სექტემბერი.**

## თხის რქა — 22 დეკემ. – 20 იან.

თქვენ გარშემო შეიძლება ინტრიგების ხლართვას შეეცადონ, მაგრამ ყურადღებას ნუ მიაქცევთ — თანამოაზრეებთან ერთად მშვიდად აკეთეთ საქმე და წარმატება არ დააყოვნებს.

გაუმჯობესდება თქვენი ფინანსური მდგომარეობა, თუმცა გექნებათ იძულებითი ხარჯები — შეიძლება დახმარება დასჭირდეს რომელიმე ახლობელს.

დაქორწინებულ თხის რქებს შვილებმა შეიძლება სასიამოვნო სიურპრიზი მოუწყონ.

თუ გულ-სისხლძარღვთა რომელიმე დაავადება გაქვთ გადატანილი, აუცილებლად მიმართეთ ექიმს და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 19 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 22 სექტემბერი.**

## მერწყული — 21 იან. – 19 თებ.

შეიძლება სასოწარკვეთილება დაგეუფლოთ, თუ შეიცოდებთ თავს იმის გამო, რომ იმას, რაც გულით გსურდათ, ვერ მიაღწიეთ და რაღაც მნიშვნელოვანი დაკარგეთ.

გვერდით გყავთ მოსიყვარულე ადამიანები, რომლებსაც, შეგიძლიათ, თვალდახუჭული ენდოთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას მოთოკეთ ემოციები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მწვავე კონფლიქტი გარდაუვალი იქნება.

ამ პერიოდში მაღალია ფარისებრი ჯირკვლის ქრონიკული დაავადების ალბათობა.

**დადებითი დღე: 20 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 22 სექტემბერი.**

## თევზები — 20 თებ. – 20 მარტი

გსურთ, დარწმუნებული იყოთ ხვალინდელ დღეში, მოიპოვოთ მატერიალური კეთილდღეობა, სტაბილურობა და სიმშვიდე, მაგრამ თქვენი აქტიურობა და ძალისხმევა წვრილმანებზე იხარჯება, შედეგად სურვილებს ვერ ისრულებთ. თუ მოქმედებებს გაანალიზებთ, მიზანს აუცილებლად მიაღწევთ.

თქვენმა წინდაუხედავმა საქციელმა საყვარელ ადამიანთან შეიძლება კონფლიქტი შეგიქმნათ, ამიტომ უყურადღებოთ ნუ დატოვებთ მის თხოვნებსა და მოთხოვნებს.

მაღალია ღვიძლის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა, ამიტომ ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 22 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 16 სექტემბერი.**

# გერმანიამ შენგენის შეთანხმების მოქმედება შეაჩერა




**სირიიდან და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან ლტოლვილთა მოზღვავების გამო გერმანიამ, ავსტრიამ და სლოვაკეთმა თავიანთ საზღვრებზე კონტროლის გაძლიერებული ზომების შემოღების შესახებ განაცხადეს.**



დროებითი საპასპორტო კონტროლის დაწესებაზე პირველმა გერმანიამ განაცხადა 13 სექტემბერს. მას შემდეგ, რაც მიუნხენის სარკინიგზო სადგურში თავი მოიყარა 14 500 ლტოლვილმა, გერმანია-ავსტრიის საზღვარზე მატარებლების მოძრაობა შეწყდა. ქალაქის მერმა **დიტერ რაიტერმა** განაცხადა, რომ ბავარიის დედაქალაქმა მიგრანტების მიღების შესაძლებლობები „მთლიანად ამოწურა".

**გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ტომას დე მეზიერმა** კი სპეციალურ პრესკონფერენციაზე აღიარა, რომ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა დროებით აჩერებს თავის მონაწილეობას შენგენის შეთანხმებაში.

14 სექტემბერს გერმანიას ავსტრიაც შეუერთდა. ვიცე-კანცლერმა **რაინჰოლდ მიტერლაინერმა** გერმანიასა და სლოვაკეთთან საზღვრებზე კონტროლის გამკაცრება დაადასტურა.

ავსტრიას სლოვაკეთმა მიბაძა. ამ ქვეყნის შსს-ის წარმომადგენელმა მიქაელა პოლენოვამ განაცხადა, რომ სლოვაკეთი ჩეხეთის, ავსტრიისა და უნგრეთის საზღვრებთან კონტროლს ამკაცრებს და იქ სამხედრო მოსამსახურეების კონტინგენტს განალაგებს.

უნგრეთი სერბეთის საზღვართან კედელს აშენებს და ლტოლვილთა წინააღმდეგ სპეცოპერაციის ჩასატარებლად სამართალდამცველებს ამზადებს. 15 სექტემბრიდან უნგრეთს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გამო მრავალწლიანი პატიმრობა დაწესდა.

უნგრეთის პრეზიდენტმა **ვიქტორ ორბანმა** მიგრაციულ კრიზისში დაადანაშაულა გერმანიის კანცლერი **ანგელა მერკელი**, რომელმაც ლტოლვილებისთვის გერმანიის საზღვრები გახსნა. გამოცემა „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში ორბანმა აღნიშნა, რომ „ევროპის ქვეყნების ლიდერები ილუზიების სამყაროში ცხოვრობენ".

ჩეხეთის ვიცეპრემიერმა **ანდრეი ბაბიშმა** ევროკავშირს, რომელსაც ასიათასობით ლტოლვილი მიაწყდა, შენგენის ზონის შიგა საზღვრების დახურვისკენ მოუწოდა.

„აუცილებელია, დაიხუროს შენგენის სივრცის გარე საზღვრები და ეს საზღვრები გარედან უნდა დავიცვათ და არა შიგნიდან", — განაცხადა ბაბიშმა.

2015 წლის იანვრიდან ევროკავშირის ტერიტორიაზე 350 ათასზე მეტი ლტოლვილი შევიდა და მათი რიგები დღითი დღე იზრდება.



# მექაში ამწემ 107 ადამიანი იმსხვერპლა

**საუდის არაბეთის ქალაქ მექაში კოშკურა ამწის დაშლის შედეგად 107 ადამიანი დაიღუპა. უზარმაზარი ამწე მორწმუნეებით სავსე მეჩეთს დაეცა. მომხდარს ჭყლეტვაც მოჰყვა. დაშავდა 230-ზე მეტი ადამიანი.** როგორც საუდის არაბეთის სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი სულეიმან ბინ-აბდულაჰ ალ-ამრი აცხადებს, ამწის ჩამოვარდნა ძლიერმა ქარმა და გადაუღებელმა წვიმამ გამოიწვია. მექა მუსლიმანთა წმინდა ქალაქია, რომელსაც ყოველწლიურად ათასობით მომლოცველი სტუმრობს.



# «ალ ქაიდა» და «ისლამური სახელმწიფო» ერთად იბრძოლებენ

**„ალ ქაიდას" ლიდერის — აიმან აზ-ზავაჰირის განცხადებით, მისი მომხრეები მზად არიან დასავლური კოალიციის წინააღმდეგ „ისლამურ სახელმწიფოსთან" ერთად საბრძოლველად სირიასა და ერაყში, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ტერორისტულ დაჯგუფებას შორის უთანხმოება არსებობს.** უსამა ბენ ლადენის მემკვიდრის — აზ-ზავაჰირის აღნიშნული მიმართვა ინტერნეტში გავრცელდა. აზ-ზავაჰირი „ისლამურ სახელმწიფოს" უკანონო მოძრაობას უწოდებს, მაგრამ აცხადებს, რომ მისი მომხრეები კოალიციური ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად აღნიშნულ დაჯგუფებას უერთდებიან.

# ჯორჯ სოროსი: პუტინი, სამწუხაროდ, წარმატებას აღწევს

**ამერიკელი ფინანსისტი, მილიარდერი ჯორჯ სოროსი ამბობს, რომ „პუტინის რუსეთი მსოფლიოში გაბატონებულ წესრიგს დაუპირისპირდა და... წარმატებას აღწევს". ეს წარმატება კი ისეთი დიდია, რომ სოროსი აშშ-ს სთავაზობს, მსოფლიო ჰეგემონობა ჩინეთს გადასცეს.**



„ყირიმის ანექსირებითა და უკრაინაში სეპარატისტული ანკლავების შექმნით პუტინის რუსეთი დაუპირისპირდა მსოფლიოში გაბატონებულ წესრიგს, რომელიც დამოკიდებულია დასავლეთის სახელმწიფოების მხარდაჭერაზე, აგრეთვე, იმ მიზნებსა და პრინციპებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო ევროკავშირს. ვერც ევროპისა და ვერც ამერიკის საზოგადოება სრულად ვერ აცნობიერებს, რა სერიოზულია ეს გამოწვევა. პუტინს არ სურს აღმოსავლეთი უკრაინის სეპარატისტული რაიონების ოკუპირება, რადგან ასეთ შემთხვევაში ეს რაიონები ეკონომიკურად რუსეთზე იქნება დამოკიდებული. თავისი უპირატესობა მან დაუფარავად წარმოაჩინა, როდესაც გარანტირებულად მოგებული ომები ორჯერ გადაიყვანა სამშვიდობო პროცესში, რომელიც სრულიად უკრაინას დესტაბილიზაციით ემუქრება. პუტინი, სამწუხაროდ, წარმატებას აღწევს, რასაც ადვილად მიხვდებით, თუ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მინსკის ორ ხელშეკრულებას ერთმანეთს შეადარებთ. ახლა პუტინს სურს, უკრაინა ევროკავშირში უთანხმოების წარმოსაქმნელად და მასზე გავლენის მოსაპოვებლად გამოიყენოს", — წერს სოროსი სტატიაში „პარტნიორობა ჩინეთთან მსოფლიო ომის თავიდან ასაცილებლად".



**დიდი სამამულო ომის მონაწილეს — ნიკოლოზ სპირიდონის ძე ფოფხაძეს — 100 წელი შეუსრულდა! ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა ირაკლი შიხიაშვილმა, მერის მოადგილემ გიორგი სოლომონიამ და ვაკის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ზვიად ჭილაიამ ვეტერანს იუბილე პირადად მიულოცეს და საჩუქრად ელექტროღუმელი, მაცივარი, საყოფაცხოვრებო ნივთები და ფულადი დახმარება გადასცეს.**


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894